საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№12 (341)
30 მარტი – 5 აპრილი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



2

## ზვიად გამსახურდია

### საქართველოს ეროვნული გმირი

## «რესპუბლიკური ოცნების» დასასრული და პოლიტიკური ჯლიბები

6



ჯლიბა — პარაზიტული ტკიპა, ბოქვენის მკბენარი

## ისტერიული ისტორია და პროპაგანდის SICO*ები

ნამეტანი მონდომებისგან ავტორს იქ, სადაც „ბოლშევიკების“ საშინელ და სასტიკ საქციელზე ლაპარაკობს, ჩამოთვლილი აქვს ასეთი პუნქტი — „ბოლშევიკებმა აიძულეს აჭარელი გოგონები, მოეხსნათ ჩადრები და ევლოთ ქართულ სკოლებში!“ დიახ! დიახ! არ გეჩვენებათ! „ანტიქართველმა“ ბოლშევიკებმა აჭარის მაღალმთიანი რაიონების გოგონები თურმე ასე „ანტიქართულად“ აიძულეს... ქართულ სკოლებში ევლოთ...

10

## ანჯელადან ნადექდამდე





7



## ბრიუსელის ტრაგედია შეცვლის თამაშის წესებს და გეოპოლიტიკური მოძრაობის კანონზომიერებას

5

„საქართველო ტერორიზმთან გასამკლავებლად მზად არ არის, უფრო მეტიც, ტერორისტულ საფრთხეებთან ბრძოლის თვალსაზრისით, სრული კატასტროფა გვაქვს“

## «რექტორი უნდა წავიდეს!»



### «ეს ყველაფერი ლადო პაპავას თაოსნობით დაიწყო»

9

„დამიჯერეთ, სამი წლის წინათ რომ წასულიყო ეს კაცი და ვინმე მისი შემცვლელი მოეყვანათ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა უნივერსიტეტი“

## ურჩხულზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებები

4

„კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი — გამორიცხული არ არის, რომ უნივერსიტეტის დესტაბილიზაციის მცდელობით და სხვა მსგავსი მოქმედებებით „ნაციონალები“ ცდილობენ, ახალი პრემიერმინისტრი „დატესტონ“, დაადგინონ, სად გადის მისი მოთმინების ზღვარი და თუ შეუძლია ხისტი გადაწყვეტილებების მიღება. შესაძლოა, მათ ჰგონიათ, რომ, შედარებით რბილი ხასიათიდან გამომდინარე, კრიტიკულ მომენტში ის იმოქმედებს დაახლოებით ისე, როგორც ავთო ჯორბენაძე 2003-ში ან უკრაინის პრემიერი აზაროვი 2013-ში“



ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## აქცია ნატოსთან თანამშრომლობის წინააღმდეგ




**27 მარტს ბელგრადში გაიმართა სერბეთის ნატოსთან დაახლოების საპროტესტო აქცია, რომელშიც დაახლოებით 20 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.** აქციის მონაწილეებმა მიტინგი გამართეს რესპუბლიკის მოედანზე და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვეს. მათ ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები წარწერით: „წინააღმდეგობა ოკუპაციას“, „სერბეთი კოლონია არ არის“, აგრეთვე, — სერბეთისა და რუსეთის დროშები. პირველი მოწოდება ნატოსთან თანამშრომლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ 20 თებერვალს ბელგრადში გამართულ მიტინგზე გაისმა, როდესაც ცნობილი შეიქნა, რომ სერბეთის პრეზიდენტმა **ტომისლავ ნიკოლიჩმა** ხელი მოაწერა კანონს სერბეთისა და ნატოს ურთიერთობის დამტკიცების შესახებ.



## უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს

**უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს ინფორმაცია უკრაინის გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

უწყების განცხადებით, ბოლო პერიოდში პროკურატურამ დეპუტატთა არაერთი კოლექტიური მიმართვა მიიღო, რომელთა თანახმად, საყვარელიძის თანამდებობა და დღის განრიგი პროკურატურის შესახებ კანონს არ შეესაბამებოდა.

უკრაინის გენერალური პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საყვარელიძის გათავისუფლება უკავშირდება მის მიერ საპროკურორო ეთიკის უხეშ დარღვევას, აგრეთვე, სხვა პროკურორის საქმიანობაში ჩარევას.



### ლევან იზორია:

## სტუდენტები იმ ქვეყნისა, რომელშიც ტერორიზმია, ჩვენს უნივერსიტეტში რა განზრახვით არიან?

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის — ლევან იზორიას განცხადებით, 2015 წლამდე საგანმანათლებლო დაწესებულებებში ე.წ. ოდეერის ინსტიტუტი არსებობდა, მაგრამ 2015 წლის შემდეგ, მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს ინსტიტუტი გაუქმდა. იზორიას თქმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები უსაფრთხო და დაცულია.**

„მაგალითისთვის ვიტყვი, როდესაც უცხო ქვეყნიდან, მათ შორის, ისეთი ქვეყნიდან, რომელშიც ფეხი მოიკიდა ტერორიზმმა, არიან სტუმრად სტუდენტები, საინტერესოა, რა მიზნით არიან, რა სპეციფიკით, რა განზრახვით არიან ჩამოსულები?! შესაბამისად, როდესაც ვამბობ, საგანმანათლებლო სისტემაში არ უნდა იყოს ეს, იმას არ ნიშნავს, რომ მთლად უსაფრთხო და დაცულია საგანმანათლებლო სისტემა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ავტონომიურობის მაღალი ხარისხი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ იქ არ იყოს სახელმწიფო უსაფრთხოების წარმომადგენელი ე.წ. ოდეერის ინსტიტუტი“, — აღნიშნა ლევან იზორიამ.

სუს-ის უფროსის მოადგილემ ლევან იზორიამ, აგრეთვე, განაცხადა, რომ თსუ-ს კანცლერობის ყოფილი კანდიდატი გიორგი გაფრინდაშვილი, როგორც ოდეერი, სუს-ში 2015 წლის აგვისტომდე ირიცხებოდა.

# ზვიად გამსახურდია — საქართველოს ეროვნული გმირი

**31 მარტი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა და სიმბოლურია, რომ სწორედ 31 მარტს (1991 წელს) ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი შეკითხვით: „ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“**



რეფერენდუმის კითხვას ხმის მიცემის მქონე მოსახლეობის 98%-მა დადებითად უპასუხა და სწორედ ამ შედეგის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ეს იყო ქართველი ხალხისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი გამარჯვება, რომლის სულის ჩამდგმელებიც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყვნენ.

2016 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან — 77, დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებიდან კი 25 წელი გავიდა.

ზვიად გამსახურდია 1931 წლის 31 მარტს დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერლის — კონსტანტინე გამსახურდიასა და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში. მამის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა შემოქმედებამ სიჭაბუკეშივე აზიარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეას. ზვიად გამსახურდია თავის იდეურ და სულიერ ძმასთან, **მერაბ კოსტავასთან** ერთად, მეოცე საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ბრძოლის მედროშე იყო. მათ ილიას გზით, ქრისტესმიერი ეკლიანი გზით იარეს და თავი გადადეს სამშობლოს თავისუფლებისთვის.

ძალებმა, რომლებსაც სურდათ, საქართველო თავისუფალი არ ყოფილიყო, ზვიად გამსახურდიას არ აპატიეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა** (უფროსმა) ზვიად გამსახურდიაზე განაცხადა — დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო; პასუხიც დაუყოვნებლივ მიიღო: **„მდინარებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“.**

გამსახურდიას ამ ფრაზაში განზოგადებულია ათასწლეულების განმავლობაში ქართველი ხალხის ნალოლიავები თავისუფლების სულისკვეთება.

თუმცა ისტორიაში ზვიად გამსახურდიას უფრო მკვეთრი და კონკრეტული გამონათქვამებიც არის შემონახული:

„ისინი კაცობრიობის მტრები არიან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მიზნად აქვთ დასახული სხვა ხალხების გენოციდი, პლანეტის მთელი მოსახლეობიდან ერთი გარკვეული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდაა დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მიილტვის მსოფლიო მატიანისკენ, ზოგადად, ამას მე ვუწოდებდი ევროამერიკულ იმპერიალიზმს“.

1991 წლის დეკემბერში ქართველი ხალხის მტრების მიერ წაქეზებულმა ე.წ. ოპოზიციამ, **სიგუა-კიტოვანის** მეთაურობით, იარაღის გამოყენებით დაამხეს ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება, რომელიც იძულებული შეიქნა, სამშობლოდან გადახვეწილიყო. სამშობლოში დაბრუნებულმა ზვიად გამსახურდიამ და მისმა გარემოცვამ 1993 წლის 31 ოქტომბერს თავი სამეგრელოს მთიან ნაწილს შეაფარეს.

1993 წლის 31 დეკემბერს კი ზვიად გამსახურდია ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში დაიღუპა. მისი სიკვდილის გარემოებები დღემდე უცნობია.

**«ისინი კაცობრიობის მტრები არიან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მიზნად აქვთ დასახული სხვა ხალხების გენოციდი, პლანეტის მთელი მოსახლეობიდან ერთი გარკვეული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდაა დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მიილტვის მსოფლიო მატიანისკენ, ზოგადად, ამას მე ვუწოდებდი ევროამერიკულ იმპერიალიზმს»**

# «კანონში ცვლილების მიღებისთანავე რექტორმა თანამდებობა უნდა დატოვოს»



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, „აუდიტორია №115“-ის წევრებმა, 29 მარტს გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, რომ ისინი განათლების სამინისტროსგან დაუყოვნებლივ მოითხოვენ უმაღლესი განათლების კანონში ცვლილებას, რომლის საფუძველზეც შეიცვლება უნივერსიტეტის სტრუქტურა, აკადემიური საბჭოსა და რექტორის არჩევის წესები.**

„განათლების სამინისტროსგან ვითხოვთ, დაუყოვნებლივ შეცვალოს უნივერსიტეტში არსებული სტრუქტურა, აკადემიური საბჭოსა და რექტორის არჩევის წესი.

კანონში ცვლილების მიღებისთანავე აკადემიური საბჭოს წევრებმა და რექტორმა უნდა დატოვონ თანამდებობები.

2 თვის შემდეგ, ახალი წესით, ახალი ინსტიტუტების არჩევა უნდა მოხდეს“, — განაცხადეს „აუდიტორია №115“-ის სტუდენტებმა.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფიდელ კასტრო: კუბას არ სჭირდება იმპერიის მიერ გადმოგდებული საჩუქრები



**აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას კუბაში ვიზიტის შემდეგ კუბის რევოლუციის ლიდერმა ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ მის ქვეყანას ვაშინგტონის მიერ გადაგდებული საჩუქრები არ სჭირდება.** ფიდელ კასტრომ სტატიაში „ობამას ძმა" გაიხსენა, რომ ამერიკის ლიდერმა თავის გამოსვლაში კუბელებს შესთავაზა, დაევიწყებინათ წარსული და ემზირათ მომავლისკენ. „და ეს 60-წლიანი უმოწყალო ბლოკადის შემდეგ? მას შემდეგ, რაც ადამიანები დაქირავებულთა ხელით ილუპებოდნენ კუბის გემებსა და პორტებში? თვითმფრინავის აფეთქებასა და სხვა ძალადობრივი აქტის შემდეგ? აშშ-ის პრეზიდენტის სიტყვებმა შეიძლება ვილაცას გულის შეტევა დამართოს. ჩვენ არ გვჭირდება იმპერიის საჩუქრები. კუბელებს ამერიკელების გარეშეც შეუძლიათ აწარმოონ საკვები და მატერიალური კეთილდღეობის საგნები. ჩვენი მოქმედება კანონიერი და მშვიდობიანი იქნება, რადგან მხარს ვუჭერთ პლანეტის ყველა ხალხთან მშვიდობიანი ცხოვრების იდეას", — წერს კუბის ლიდერი.

# ლონდონის მერი: პალმირას გათავისუფლება რუსებს ღირსებას მატებს და მიუთითებს დასავლეთის ძალისხმევის უეფექტობაზე

**„მას შემდეგ, რაც ვლადიმერ პუტინის ძალისხმევით პალმირა „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტებისგან გათავისუფლდა, ამ უძველესი ქალაქის აღსადგენად დიდმა ბრიტანეთმა საუკეთესო სპეციალისტები უნდა გაგზავნოს. რუსეთის ძალისხმევამ კი აჩვენა დასავლეთის რეაგირების უეფექტობა სირიის კრიზისზე", — ასეთია ლონდონის მერის — ბორის ჯონსონის აზრი სირიაში ბოლო ხანს განვითარებულ მოვლენებზე.**



„პალმირადან მანიაკების გაძევება რუსებს ღირსებას ჰმატებს. მათ დაამტკიცეს, რომ დასავლეთის მიდგომა უეფექტოა და ახლა დადგა დრო, გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომა, წარმოვაჩინოთ ჩვენი ძლიერი მხარეები. ჩვენ გვყავს ცნობილი ექსპერტ-არქეოლოგები. ვიმედოვნებ, რომ მთავრობა სწრაფად დააფინანსებს მათ დახმარებას რესტავრაციის სამუშაოებში. ეს გაცილებით იაფია დაბომბვებთან შედარებით და პერსპექტივაში გამოიწვევს ტურიზმის განვითარებას და ეკონომიკურ აყვავებას.

სირიას დიდებული მომავალი ელის, მაგრამ ეს ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება მსოფლიოს უნარზე, დატკბეს ამ ქვეყნის წარსულით...

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ასადის ოპოზიციას ვეხმარებოდით, მაგრამ ჩვენმა ძალისხმევამ არ გაამართლა, მხოლოდ პუტინმა, რომელმაც ასადი დაიცვა, შეძლო ვითარებაში გარდატეხის შეტანა. თუ მიღებულ ცნობებს დავუჯერებთ, რუსები არა მხოლოდ ჰაერიდან ურტყამდნენ ასადის მოწინააღმდეგეებს, არამედ ხმელეთზეც მოქმედებდნენ", — დაწერა „დეილი ტელეგრაფში" ლონდონის მერმა და კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა.

**«ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ასადის ოპოზიციას ვეხმარებოდით, მაგრამ ჩვენმა ძალისხმევამ არ გაამართლა, მხოლოდ პუტინმა, რომელმაც ასადი დაიცვა, შეძლო ვითარებაში გარდატეხის შეტანა. თუ მიღებულ ცნობებს დავუჯერებთ, რუსები არა მხოლოდ ჰაერიდან ურტყამდნენ ასადის მოწინააღმდეგეებს, არამედ ხმელეთზეც მოქმედებდნენ»**

# ნიკოლა სარკოზი: პუტინი ჩემი მეგობარი არ არის, მაგრამ მის გარეშე «ისლამურ სახელმწიფოს» ვერ დავამარცხებთ

**საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ამჟამად რესპუბლიკელების პარტიის ლიდერმა ნიკოლა სარკოზიმ ფრანგულ ტელეკომპანია „აიტელისთვის" მიცემულ ინტერვიუში სინანულით აღნიშნა, რომ მსოფლიომ ვერ შეძლო გაერთიანება „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი აზრით, დასავლეთმა დაუშვა ტრაგიკული შეცდომა, როდესაც გააფუჭა ურთიერთობა რუსეთთან, რადგან ამ ქვეყნის გარეშე სირიაში მშვიდობის დამყარება შეუძლებელია.**



„4-5 წელია, სირია ქაოსშია. ჩნდება კითხვა: რას ელოდებიან დიდი სახელმწიფოები, რატომ არ უზრუნველყოფენ მინიმალურად აუცილებელ მშვიდობას ამ გატანჯულ ქვეყანაში? ჩვენ ტრაგიკული შეცდომა დავუშვით, როცა რუსებს წავეჩხუბეთ, მიუხედავად იმისა, მშვენივრად ვიცით, რომ ისინი ძალიან გვჭირდება გამარჯვების მისაღწევად. შეგახსენებთ, რომ 2012 წელს არც „ისლამური სახელმწიფო" არსებობდა და არც მილიონობით სირიელი ლტოლვილი. დღეს კი ამ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ევროპაში თურქეთის გავლით მიდის. ეს ყველაფერი დასავლეთის უმოქმედობის ბრალია... პუტინი ჩემი მეგობარი არ არის, მაგრამ მიმაჩნია, რომ მის გარეშე სირიის კრიზისს ვერ მოვაგვარებთ. ევროპამ და რუსეთმა უნდა ითანამშრომლონ", — განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ.

# ტერაქტების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა გაიზარდა



**ბრიუსელის ფედერალური პროკურატურისა და ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, 22 მარტს განხორციელებული ტერაქტისას სხეულის მძიმე დაზიანებების გამო 4 ადამიანი საავადმყოფოში გარდაიცვალა.**

ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 35-მდე გაიზარდა. დაღუპულთა შორის არიან თვითმკვლელი ტერორისტები, ბელგიის, ბრიტანეთის, იტალიის, ნიდერლანდების, აშშ-ის, საფრანგეთისა და შვედეთის მოქალაქეები.




## ბრიტანული მედია «რუსი რემბოს» გმირობამ აღაფრთოვანა

**ბრიტანულმა გამოცემა „მირორმა" სირიაში რუსი სპეცრაზმელის დაღუპვაზე გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ასე დაასათაურა: „ჯიჰადისტებით გარშემორტყმულმა რუსმა „რემბომ" ცეცხლი საკუთარი თავისკენ მიმართა და პირისაგან მიწისა აღგავა „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტები".**

„მამაცმა რუსმა სპეცრაზმელმა, რომელიც, როგორც რემბო, მარტო იმყოფებოდა ამოცანის შესასრულებლად, ავიადარტყმა საკუთარ თავზე მიიღო და ამით „ისლამურ სახელმწიფოს" გარშემორტყმული მებრძოლები გაანადგურა, თუმცა თვითონაც გმირულად დაიღუპა.

უშიშარ მეომარს სირიაში უძველეს ქალაქ პალმირასთან გამართული ბრძოლებისას ჯიჰადისტებმა ალყა შემოარტყეს, მაგრამ მან შეძლო რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების ავიადარტყმები იქეთკენ მიემართა, სადაც თვითონ იმყოფებოდა, შედეგად მტერთან ერთად აფეთქების ეპიცენტრში მოხვდა და გმირულად დაიღუპა, რადგან არ სურდა ტყვედ ჩავარდნილიყო", — წერს ბრიტანული გამოცემა.



## სირიის ჯარმა პალმირა გაათავისუფლა

**სირიის სამთავრობო ჯარებმა და სახალხო ლაშქარმა რუსი სამხედროების დახმარებით ისტორიული ქალაქი პალმირა გაწმინდეს „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტებისგან.** სამთავრობო არმია ახლა მთლიანად აკონტროლებს, როგორც ქალაქის ძველ ნაწილს, ისე საცხოვრებელ რაიონებს.

პალმირა (არაბულად — ტადმირი) უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტია. ქალაქი განლაგებულია ტრასაზე, რომელიც დედაქალაქ დამასკოს სირიის აღმოსავლეთ ნაწილთან აერთებს. ანტიკური ქალაქი პალმირა, რომელიც იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაშია შეყვანილი, ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებმა 2015 წლის მაისში დაიპყრეს.

## ისრაელი თავის მოქალაქეებს თურქეთის დატოვებისკენ მოუწოდებს



**ისრაელის პრემიერ-მინისტრის ოფისმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც თავის მოქალაქეებს მოუწოდა, რომ თურქეთი დატოვონ.** „თურქეთში არსებული ტერორისტული ინფრასტრუქტურა აგრძელებს დამატებითი აქტების მომზადებას ტურისტული ზონების მიმართ, მათ შორის ისრაელის ტურისტების ჩათვლით, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ებრაელებმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ თურქეთი", — ნათქვამია პრემიერმინისტრის ოფისის განცხადებაში.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**...არ შექმნა უშიშროებისგან გესტაპო, ბიუჯეტისგან — პარტიული სალარო, საპატიმროსგან — სასაკლაო და ტელევიზიისგან — პროპაგანდის სამინისტრო...**

# ურჩხულზე ნადირობის ნაციონალური თავისებურებები

**ბრიუსელში 22 მარტის ტერაქტების სერიამ, რომლის შედეგად 35 ადამიანი დაიღუპა და 300-მდე დაიჭრა, კიდევ ერთხელ დააფიქრა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები იმაზე, ეფექტიანად იცავენ თუ არა მთავრობები მათ უსაფრთხოებას. დღეს საქართველო ტერორისტების სამიზნეში არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საფრთხე საერთოდ არ გვემუქრება, მით უმეტეს, რომ ის შეიძლება არა მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოსგან", „ალ ქაიდასგან" და სხვა მსგავსი ორგანიზაციებისგან მომდინარეობდეს.**

„თუ ბელგიელები შოკოლადის ჭამას თავს არ დაანებებენ და ძველებურად ცხოვრებას განაგრძობენ, ტერორს ვერ დაამარცხებენ", — განაცხადა გასულ კვირას რადიოსადგურ „კოლ ისრაელთან" საუბარში დაზვერვის მინისტრმა **ისრაელ კაცმა** და დასძინა, რომ ევროპელებმა მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლის მოსაგებად სამოქალაქო თავისუფლებების ნაწილზე უარი უნდა თქვან (დაზვერვის სამინისტრო ისრაელში 2009 წელს შეიქმნა, რეალურად მას არც ერთი სადაზვერვო უწყება არ ემორჩილება, თუმცა ახლო მომავალში მისი მაკოორდინირებელი ფუნქციები, სავარაუდოდ, გაიზრდება). **ისრაელ კაცმა ყველაზე ლაკონურად ჩამოაყალიბა იდეა, რომელსაც დღეს არაერთი კომენტატორი ავითარებს და ევროპელებს უსაფრთხოების სანაცვლოდ უფლება-თავისუფლებების ნაწილის დათმობა შესთავაზა.**

ერთი მხრივ, ეს სავსებით ლოგიკურად გამოიყურება, რადგან ადამიანის სიცოცხლე და მისი უსაფრთხოება საყოველთაოდ აღიარებული უზენაესი ღირებულებაა, მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს. **ევროპელების გადასახედიდან სამოქალაქო თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა ახალი ევროპული იდენტობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია და ეს პრობლემა, საბოლოო ჯამში, არა იმდენად უსაფრთხოებას, რამდენადაც მსოფლმხედველობას ეხება.**

ევროპა, სადაც უსაფრთხოების სამსახურები იმოქმედებენ ისე, როგორც ისრაელში ან თუნდაც აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, თავისი შინაგანი თავისუფლების მნიშვნელოვან ნაწილს დაკარგავს (ეს კი არა მხოლოდ მისი მიმზიდველობის, არამედ, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, სიძლიერისა და გავლენის ქვაკუთხედია). პრობლემა არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. დღეს, **პარიზისა და ბრიუსელის ტერაქტების მიუხედავად, ევროკავშირი არ არის მზად იმისთვის, რომ ისრაელის ან აშშ-ის გამოცდილების კოპირება დაიწყოს. თუმცა ევროპელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ სერიოზული შეცდომები დაუშვეს; უსაფრთხოების ზომები ბრიუსელის აეროპორტში პრაქტიკულად ნულოვანი იყო, ხოლო კოორდინაცია ბელგიის სხვადასხვა ძალოვან უწყებას შორის, ფაქტობრივად, არ არსებობდა** (სამთავრობო სტრუქტურებში მუდმივი კრიზისის გამო, რომელიც გამოწვეულია ფლამანდიურ-ვალონიური ურთიერთობების პრობლემებით).

ტერორისტებმა არც ისე დიდი ძალებისა და რესურსების გამოყენებით მოახერხეს დიდი ქალაქის პარალიზება, ისინი ევროკავშირისა და ნატოს შტაბ-ბინის სიახლოვეს მოქმედებდნენ. მათი მთავარი მოკავშირე იყო პანიკა, რომელმაც, სოციალური ქსელების საყოველთაო გამოყენების გამო, ბელგიის დედაქალაქი მყისიერად მოიცვა. უამრავმა ევროპელმა თავი სრულიად დაუცველად იგრძნო. დღეს ისინი გაფაციცებით ეძებენ პასუხს კითხვაზე — **რა შეიძლება გაკეთდეს საფრთხის გასანეიტრალებლად ისე, რომ ბელგიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებს მუდმივი საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში ცხოვრება არ მოუწიოს?**

უნივერსალური რეცეპტი, ალბათ, არ არსებობს. **სპეცსამსახურების გაძლიერებას ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ პარალელურად უნდა იხვეწებოდეს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მათ მუშაობას არეგულირებს, და კონტროლის მექანიზმები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ დაახლოებით იმავე სიტუაციას, რომელიც სააკაშვილის მმართველობის წლებში, როდესაც რეჟიმი იყენებდა სპეცსამსახურებს, როგორც საზოგადოების დათრგუნვის ინსტრუმენტს.** ამასთანავე, „გაძლიერება" დღევანდელ პირობებში, ალბათ, უნდა გულისხმობდეს არა შტატების გაბერვას ან ულტრათანამედროვე მოსასმენი აპარატურის შეძენას, არამედ „ინვესტიციას ინტელექტში"; **უშიშროების თანამედროვე სამსახური, უპირველეს ყოვლისა, „ჭკვიანი" უნდა იყოს და ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს ავითარებდეს.**

თუმცა საქართველოში არიან ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს სამსახურები საერთოდ არ გვჭირდება. 15 მარტს „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა **სერგო რატიანმა** განაცხადა: „უნდა გაუქმდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რათა საბოლოოდ გაუქმდეს პოლიტიკური პოლიცია და ზედამხედველობა, ეს არის მნიშვნელოვანი" („ინტერპრესნიუსი"). ეს, ალბათ, უაღრესად საგულისხმო განცხადებაა, ვინაიდან სწორედ „ნაციონალებმა" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში დაიწყეს ყველა სამართალდამცავი სტრუქტურის, მათ შორის, უშიშროების, გარდაქმნა ერთ დიდ გესტაპოდ.

რას ერჩიან უსაფრთხოების სამსახურს მაინცდამაინც ახლა?

შესაძლოა, ეს რადიკალური განცხადება მხოლოდ ფონის შესაქმნელად გაკეთდა, ხოლო შედარებით რეალისტური ინიციატივა შეფუთული იქნება, როგორც სამოქალაქო აქტივისტების წამოწყება და მას „ნაციონალების" ერთ-ერთი სატელიტი არასამთავრობო გაასაჯაროებს. ცნობილი პრინციპია: „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო".

ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რომელსაც სპეცსამსახურების საქმიანობის რეგულირებაში სერიოზული ცვლილებები შეაქვს, გარკვეული პერიოდით მათ, პარალიზებას თუ არა, ადაპტაციის აუცილებლობით გამოწვეულ დაბნეულობას იწვევს. ასეთ ვითარებაში რაღაც დროით წამყვანი სახელმწიფოების სპეცსამსახურებიც კი „იბნევიან". ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ბაზა არ უნდა იხვეწებოდეს, მაგრამ **მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის პროცესი პრობლემურ პერიოდს არ დაემთხვეს. ასეთად კი დღევანდელ საქართველოში წინასაარჩევნო თვეები გვევლინება, როდესაც მზადება „მაიდნისთვის" (რეალურად კი, სახელმწიფო გადატრიალებისთვის), რომელზეც ამდენს საუბრობენ, წესით, გადამწყვეტ სტადიაში უნდა შევიდეს.**

კომენტატორები, რომლებიც ამ თემაზე ხშირად მსჯელობენ, „მაიდნის" მოახლოების რამდენიმე გარეგნულ ნიშანს გამოყოფენ:

**1. მიზანმიმართულად ინერგება მოსაზრება, რომ ხელისუფლება არჩევნებს აუცილებლად გააყალბებს;**

2. თაღლითობაში არაერთგზის შემჩნეული ორგანიზაციები აქვეყნებენ შიზოფრენიულ რეიტინგებს, რომლებსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს და ამით ამზადებენ ნიადაგს არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად;

**3.ხდება რიტორიკის შესამჩნევი რადიკალიზაცია. როგორც ჩანს, არც ისე ბევრი დრო რჩება „გამარჯვება ან სიკვდილი", „ან ჩვენ ან ისინი" ტიპის ლოზუნგების გამოფენამდე;**

4.სავარაუდოდ, უკრაინული „პრავი სექტორის" გამოცდილების გათვალისწინებით, ხდება მცირე რადიკალური ახალგაზრდული ჯგუფების შექმნა, ზოგიერთი მათგანი უნივერსიტეტში ბოლო კრიზისის დროს გამოჩნდა. ისინი ცალ-ცალკე არც ისე მრისხანედ გამოიყურებიან, მაგრამ ვითარება შეიძლება შეიცვალოს, თუ „მაიდნის" გარშემო გაერთიანდებიან, როგორც ეს კიევში მოხდა. მერე უკვე ვერავინ გაარჩევს, ვინ იმალება ნიღბის ქვეშ — იდეალისტი სტუდენტი თუ პროფესიონალი ბოევიკი.

**5. რაც მთავარია, ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" არ ძალუძს არჩევნების გზით ხელისუფლებაში დაბრუნება და, რაც უფრო მეტი დრო გადის, მისი მდგომარეობა უარესდება. გამორიცხული არ არის, რომ დღეს არჩევნის გაკეთება მხოლოდ ნელ კვდომასა და ვა-ბანკს შორის შეუძლია.**



**თუ რეალურად მიმდინარეობს მზადება სახელმწიფო გადატრიალებისთვის, რომელზეც ამდენს საუბრობენ სოციალურ ქსელებში, ის ვერ დაიმალება ისეთი სუსტი სპეცსამსახურებისგანაც კი, როგორიც დღევანდელ საქართველოს ჰყავს. სხვა საქმეა, ადეკვატური თუ იქნება ხელისუფლების რეაქცია**

ნებისმიერი „ფერადი რევოლუციის" წარმატების აუცილებელი წინაპირობაა ხელისუფლებში მყოფთა ნაწილის მოქმედება მეამბოხეთა სასარგებლოდ, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, ჩუმ საბოტაჟსა და სახელისუფლო სტრუქტურების პარალიზებაში გამოიხატება. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ბერკეტის როლი, „მეხუთე კოლონის" გამოყენებასთან ერთად, შეიძლება დროულად მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმაც შეასრულონ, რომლებიც სპეცსამსახურებს გარკვეული დროით მაინც შესაძლებლობებს შეუზღუდავს და გაურკვევლობაში ამყოფებს. ამიტომ, ალბათ, მიზანშეწონილია ამ სფეროსთან დაკავშირებული ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა ამ რაკურსიდანაც გავაანალიზოთ. ცხადია, ეს არ ნიშნავს რეფორმებზე უარის თქმას (ღმერთმა დაგვიფაროს), მაგრამ სასურველია, ცვლილებები სავარაუდო დესტაბილიზაციის პერიოდს არ დაემთხვას.

კიდევ ერთი საინტერესო ნიუანსი — გამორიცხული არ არის, რომ **უნივერსიტეტის დესტაბილიზაციის მცდელობით და სხვა მსგავსი მოქმედებებით „ნაციონალები" ცდილობენ, ახალი პრემიერმინისტრი „დატესტონ", დაადგინონ, სად გადის მისი მოთმინების ზღვარი და თუ შეუძლია ხისტი გადაწყვეტილებების მიღება.** შესაძლოა, მათ ჰგონიათ, რომ, შედარებით რბილი ხასიათიდან გამომდინარე, კრიტიკულ მომენტში ის იმოქმედებს დაახლოებით ისე, როგორც **ავთო ჯორბენაძე** 2003-ში ან უკრაინის პრემიერი **აზაროვი** 2013-ში (ეს ასე არ არის, თუმცა ამის შესახებ ჯერ არ იციან). ამასთანავე, **მათ, სავარაუდოდ, აინტერესებთ რადიკალური ოპონენტების რეაქცია, მზად არიან თუ არა ისინი, ძველი შემართებით დაუპირისპირდნენ „ნაციონალებს" და გამოვარდებიან თუ არა ქუჩაში, როდესაც დაინახავენ, რომ სახელმწიფო გადატრიალების პროცესი დაიწყო.**

აშკარაა, რომ ხელისუფლებას არ სურს მკაცრი ზომების გატარება და არ უნდა, რომ დასავლეთში ოპოზიციის დევნისთვის გააკრიტიკონ. **თუმცა მას, ვისაც არ სურს სიმკაცრის გამოვლენა დღეს, შემოდგომაზე შეიძლება სისასტიკის გამოვლენა მოუწიოს, რადგან პრევენციას მსგავს საქმეებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.**

ფაქტია: **თუ რეალურად მიმდინარეობს მზადება სახელმწიფო გადატრიალებისთვის, რომელზეც ამდენს საუბრობენ სოციალურ ქსელებში, ის ვერ დაიმალება ისეთი სუსტი სპეცსამსახურებისგანაც კი, როგორიც დღევანდელ საქართველოს ჰყავს. სხვა საქმეა, ადეკვატური თუ იქნება ხელისუფლების რეაქცია.**

ბრიუსელის ტერაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ბოროტმოქმედთა ერთ-ერთი რესურსი მოსახლეობის შიში და ნერვიული დაძაბულობაა, ამიტომ, ალბათ, ურიგო არ იქნება, ხელისუფლებამ არჩევნების წინ მოსახლეობას მისცეს ერთმნიშვნელოვანი და მკაფიო გარანტია იმისა, რომ ქვეყნის დესტაბილიზაციის შესაძლებლობას არავის მისცემს. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფილი ხელისუფლების რადიკალურმა მოწინააღმდეგეებმა შეიძლება წინასაარჩევნოდ „თავდაცვის რაზმების", „სამოქალაქო პატრულებისა" და სხვა მსგავსი ფორმირებების შექმნა დაიწყონ, რადგან ბევრ მათგანს არ სჯერა, რომ მთავრობა მოსალოდნელ საფრთხეს გაანეიტრალებს. ეს კი, დიდი ალბათობით, სამოქალაქო დაპირისპირებამდე და სისხლისღვრამდე მიგვიყვანს.

პრინციპში, ერთი მანიაკის გეგმების დამსხვრევა არც ისე რთულია, მაგრამ (ცნობილი სიუჟეტის არ იყოს) მთავარი ის კი არ არის, რომ ურჩხული დაამარცხო, არამედ ის, ამის შემდეგ თვითონ რომ არ გადაიქცე ურჩხულად და არ შექმნა უშიშროებისგან გესტაპო, ბიუჯეტისგან — პარტიული სალარო, საპატიმროსგან — სასაკლაო და ტელევიზიისგან — პროპაგანდის სამინისტრო. ხელისუფლების წინაშე ძალიან მალე, სავარაუდოდ, სწორედ ეს ამოცანა დადგება — როგორ მოკლას ურჩხული ისე, რომ თვითონ არ გადაიქცეს ურჩხულად.

„ადამიანებს სჭირდებათ ინფორმაცია, როგორ არიან დაცულები მოსალოდნელი საფრთხისგან. არ ვლაპარაკობ აგენტურასა და ტაქტიკის გამჟღავნებაზე, რომელიც ნამდვილად საიდუმლო უნდა იყოს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინფორმაცია სწორედ მათთვის არის ხელმისაწვდომი, ვისთვისაც საიდუმლო უნდა იყოს, თუკი ქვეყანას რაიმე ამგვარი აქვს. მტერმა ჩვენ შესახებ იმდენი იცის, რომ თავისუფლად შეძლებს ჩვენს გაცურებას, ჩაჩოჩებასა და გადაგდებას“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბრიუსელის ტრაგედია შეცვლის თამაშის წესებს და გეოპოლიტიკური მოძრაობის კანონზომიერებას

**2016 წლის 22 მარტს ევროპის შუაგულში, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, ტერაქტების სერია განხორციელდა. აეროპორტის აფეთქებიდან დაახლოებით ერთ საათში ასაფეთქებელი მოწყობილობა მეტროპოლიტენის ორ სადგურში ამოქმედდა, რომლებიც ევროკავშირის შენობებთან ახლოს მდებარეობს.**
**ბელგიელმა ძალოვანებმა ქვეყნის ტერიტორიაზე განგაშის უმაღლესი დონე გამოაცხადეს და შინაგანი ჯარი სრულ მზადყოფნაში მოიყვანეს. სრული მზადყოფნა საქართველოს ძალოვანმა სტრუქტურებმაც გამოაცხადეს და ქვეყნის ყველა შესასვლელ-გამოსასვლელთან კონტროლი გააძლიერეს.**
**არის თუ არა ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურები მზად ტერორიზმთან საბრძოლველად და აქვს თუ არა ქვეყანას შემუშავებული თავდაცვის მეთოდები? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სამხედრო ექსპერტს — ვახტანგ მაისაიას ვესაუბრეთ:**



— ბრიუსელი ყველაზე სუსტი რგოლი იყო იმ ჯაჭვში, რომელსაც ანტიტერორისტული კოალიცია ჰქვია. ტერორისტებმა ბრიუსელი სხვადასხვა მიზეზით აირჩიეს. ბრიუსელზე დარტყმა გლობალური ჯიჰადის გამოცხადება იყო. მოგეხსენებათ, ბრიუსელი მართლაც არის ევროპის დედაქალაქი. იქ მდებარეობს მნიშვნელოვანი ორგანიზაციების შტაბ-ბინები — ევროკავშირისა და ნატოს, აგრეთვე, ევროპარლამენტი. შესაბამისად, ბრიუსელზე განხორციელებული თავდასხმა აღიქმებოდა, როგორც სრულიად ევროპაზე თავდასხმა, რომელსაც, პრინციპში, „ისლამური სახელმწიფოს“ მესვეურებმა მიაღწიეს კიდეც.

ანალოგიური რამ ჰქონდათ ჩაფიქრებული რუსეთსა და ამერიკაშიც, უბრალოდ, ამ ქვეყნებში შესაბამისმა სამსახურებმა გამოავლინეს დივერსიული, ტერორისტული ჯგუფების მისწრაფებები და სასწრაფოდ გაანეიტრალეს.

ბრიუსელის ტრაგედია შეცვლის თამაშის წესებს და გეოპოლიტიკური მოძრაობის კანონზომიერებას.

უნდა ვაღიაროთ, რომ გამოჩნდა სერიოზული აქტორი — „ისლამური სახელმწიფო“ და ამ ტერორისტულ დაჯგუფებასთან ერთად „ალ ქაიდამაც“ განახორციელა მალის დედაქალაქ ბამაკოში ევროკავშირის მისიაზე თავდასხმა. მიუხედავად იმისა, რომ „ისლამური სახელმწიფო“ და „ალ ქაიდა“, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგეები არიან, ერთნაირ იდეოლოგიურ პლატფორმაზე დგანან და სტრატეგიული მოკავშირეები არიან. ეს დაადასტურა ტერაქტების სერიებმა. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაიწყება ახალი ბრძოლა. **დასავლეთი, რუსეთი და კვაზისახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რომლებსაც „ისლამური სახელმწიფო“ და „ალ ქაიდა“ წარმოადგენენ, იქნებიან დაპირისპირებული მხარეები, დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის გეოპოლიტიკური ვექტორის ფორმით. ეს ვერსია რეალურია. არ არის გამორიცხული და დღის წესრიგიდან არ არის მოხსნილი დაპირისპირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მაგრამ შესაძლებელია, აქცენტი გაკეთდეს ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირებაზე და განხორციელდეს კიდეც.**

**— რატომ ვერ მოახერხა ბრიუსელმა თავის დაცვა?**

— არავის ეგონა, თუ მსგავსი რამ მოხდებოდა. ევროკავშირის ლიდერები საფრანგეთის ტარაქტის შემდეგ თვლიდნენ, რომ ადეკვატური ღონისძიებები გატარებული ჰქონდათ, ეგონათ, რომ ტერაქტისგან დაცულები იყვნენ და თავიდან აირიდებდნენ.

ბიუსელი არ იყო ასეთი ტერაქტისთვის მზად, არ იყვნენ მზად ინსტიტუტები, რომელთაც პრევენციული ზომები უნდა მიეღოთ. ბოლო პერიოდში სპაცსამსახურები ხშირად მოწოდების სიმაღლეზე არ არიან. ბრიუსელშიც შესაბამისი სამსახურები არ აღმოჩნდნენ მზად, ასეთი სიმძლავრის ტარაქტისგან თავი დაეცვათ, მაგრამ მთავარია, ევროპელ პოლიტიკოსებს ასეთი ტერაქტის მოლოდინი არ ჰქონდათ.

**— თუ ბრიუსელმა ვერ მოახერხა თავისი მოქალაქეები დაეცვა, ჩვენ საქართველოში დაცულები ვართ? ბრიუსელში მომხდარი ტერაქტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ, შესაბამის სამსახურებთან ერთად, დაიწყო პრევენციული ზომების გატარება. გაძლიერებულია დაცვა ყველა საბაჟოსთან, იცავენ ყველა შემოსასვლელსა თუ გასასვლელს. როგორ ფიქრობთ, ზომები, რომლებსაც ჩვენი სპეცსამსახურები ატარებენ, საკმარისია „ისლამური სახელმწიფოსგან“ თავის დასაცავად?**

— საზოგადოებას ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს, ყველაფერი ტაბუდადებულია. ხელისუფლება მზად არ არის და არც სურვილი აქვს, რომ ითანამშრომლოს იმ ადამიანებთან, რომლებსაც ცოდნა და გამოცდილება აქვს. სპეცსამსახურები ჩაკეტილნი არიან, მათ „სააკაშვილის სინდრომი“ სჭირთ. საქართველოს სპეცსამსახური „მინითალიბანს“ ჰგავს.

**მიუხედავად იმისა, რომ ყველა სპეცსამსახურის ფულს ჩვენი ჯიბიდან ვიხდით, თავს ვალდებულად არ თვლიან, მოსახლეობას რაიმე აუხსნან.**

აუცილებელია, ტაქტიკურ დონეზე ჩვენმა ხელისუფლებამ ღონისძიებები ჩაატაროს, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენად ესმით მოსალოდნელი საფრთხის სიმძაფრე. კონცეფციურად, დოკუმენტების დონეზე, **საქართველო ტერორიზმთან გასამკლავებლად მზად არ არის, უფრო მეტიც, ტერორისტულ საფრთხეებთან ბრძოლის თვალსაზრისით, სრული კატასტროფა გვაქვს.**

**აქამდე არ შეგვიმუშავებია ტერორიზმთან ბრძოლის კონცეფცია და სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ტერორიზმთან ბრძოლის ასპექტებს. არ ვიცით, როგორ ხედავს ჩვენი მთავრობა ტერორიზმს, ანუ რა ფენომენია ტერორიზმი, როგორი ტიპის ტერორიზმს განიხილავს საქართველო, როგორ და რა ფორმით შეიძლება ჩვენ წინააღმდეგ იმოქმედონ ტერორისტებმა და რა პრევენციული ზომები უნდა გატარდეს. როგორ დაგვიცავენ ან, თუ ვერ დაგვიცვეს, როგორ მოხდება ტერორიზმის შედეგების აღმოფხვრა.** ეს არ ჩანს. ჩვენი მდგომარეობა გაურკვეველია ასევე, ინსტიტუციონალურადაც. ჩვენ გააზრებული არ გვაქვს, ტერორიზმი პოლიტიკური თუ სამხედრო გამოწვევა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან, თუ სამხედრო გამოწვევაა, მაშინ სულ სხვა კუთხით სჭირდება განხილვა. ის, რაც ბრიუსელში მოხდა, იყო სამხედრო ტიპის გამოწვევა. იქ სამხედრო დივერსია მოხდა, იგივე იყო საფრანგეთშიც.

აი, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები არ აქვს შემუშავებული ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურებს და, სიმართლე გითხრათ, რა პრევენციული ზომების გატარებას ცდილობენ, არ ვიცი.

ბრიუსელში მომხდარი ტერაქტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების არა ერთი წარმომადგენელი არ გამოსულა და თავისი აზრი მომხდარზე არ გამოუთქვამს.

**— იქნებ მიზანშეწონილი არ არის, რომ ხმამაღლა ისაუბრონ იმაზე, როგორ აპირებენ თავდაცვას?**

— კარგი რა, ეს არის „ზღაპარი სულელებისთვის“. ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდები არ არის ჩაკეტილი სფერო, ის არ არის მხოლოდ სპეცსამსახურებისთვის, ეს საზოგადოებრივი პრობლემაა და ადამიანებს სჭირდებათ ინფორმაცია, როგორ არიან დაცულები მოსალოდნელი საფრთხისგან. არ ვლაპარაკობ აგენტურასა და ტაქტიკის გამჟღავნებაზე, რომელიც ნამდვილად საიდუმლო უნდა იყოს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინფორმაცია ვისთვისაც საიდუმლო უნდა იყოს, სწორედ მათთვის არის ხელმისაწვდომი, თუკი, ქვეყანას რაიმე ამგვარი აქვს. **მტერმა ჩვენ შესახებ იმდენი იცის, რომ თავისუფლად შეძლებს ჩვენს გაცურებას, ჩაჩოჩებასა და გადაგდებას. საქართველოს უსაფრთხოება ფუტლარების ხელშია.**

**— ვდგავართ თუ არა რეალური საფრთხის წინაშე?**

— რა თქმა უნდა, საფრთხე რეალურია, რადგან დაიწყო გლობალური ჯიჰადი. ბრიუსელში მოწყობილმა ტერაქტებმა ყველაფერი ნათლად დაგვანახვა და შეცვალა კიდეც. **იმედია, ჩვენი სპეცსამსახურები გამოიჩენენ კეთილგონიერებას და ითანამშრომლებენ შესაბამისი დონის სპეცსამსახურებთან, გააცნობიერებენ საფრთხის მოცულობას და საზოგადოებას გააცნობენ, როგორ აპირებენ ქვეყნის დაცვას. ის მაინც გვითხრან, რომ ვითარებას აკონტროლებენ და ხალხი დამშვიდდება.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მიუხედავად იმისა, რომ ყველა სპეცსამსახურის ფულს ჩვენი ჯიბიდან ვიხდით, თავს ვალდებულად არ თვლიან, მოსახლეობას რაიმე აუხსნან»**

**«მტერმა ჩვენ შესახებ იმდენი იცის, რომ თავისუფლად შეძლებს ჩვენს გაცურებას, ჩაჩოჩებასა და გადაგდებას. საქართველოს უსაფრთხოება ფუტლარების ხელშია»**

მსოფლიო



## ისრაელის დაზვერვის მინისტრი: ბელგიელებმა შოკოლადის ჭამას თავი უნდა დაანებონ

**ისრაელის დაზვერვის მინისტრი ისრაელ კაცი ამბობს, რომ „თუ ბელგია განაგრძობს შოკოლადის ჭამას, დატკბება ცხოვრებით, გამართავს აღლუმებს, როგორც დიდი ლიბერალები და დემოკრატები, და არ მიაქცევენ ყურადღებას იმ მუსლიმებს, რომლებიც იქ ტერორისტულ აქტებს აწყობენ, ტერორიზმთან ბრძოლაში არაფერი გამოუვათ“. ეს მან ისრაელის საზოგადოებრივი რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.** ბელგიის უსაფრთხოების სამსახური აშშ-ის დაზვერვის ერთ-ერთმა ოფიცერმაც გააკრიტიკა. მისი თქმით, „ბელგიის უსაფრთხოების სამსახურები ბავშვივით გულუბრყვილოები არიან“.



პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თამაზ მეჭიაურმა, არც მეტი, არც ნაკლები, ქართული თავისუფალი სიტყვის ბაირახტარს – ნაპროკურორალ და აწ ბლანჟეიან ნიკა გვარამიას ის დაარქვა, რასაც ბევრი გულში ფიქრობდა, მაგრამ ხმამაღლა ვერ ამბობდა: „ეს მანდაუშკა „პრესტიჟული“ საკნის „პარაშასთან“ რომ არ ზის, მისი ფილმების მთავარ გმირ ყავარჯნიანთან, იმიტომ „გაბლატავდა“.**

# «რესპუბლიკური ოცნების» დასასრული და პოლიტიკური ჯლიბები*

**პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერებით ადუღებულ ქართულ მედიასა და პოლიტელიტას ისე წამოეწია რესპუბლიკელების მორიგი ფინტი, რომ ეს ორი თემა უმალ ჩაიწნა ერთმანეთში. თანაც დღეს სრულდება იმ ულტიმატუმის ვადა, რომლითაც ფარული კადრების გავრცელებით დაემუქრნენ მათ, ვინც არ გადადგება თანამდებობიდან. ანონსში ხსენებულ გვარებში თინა ხიდაშელიც ფიგურირებდა.**



**რამდენ რამეს ისწავლის ადამიანი ჩვენი პოლიტიკოსებისგან! არადა, რა ზუსტად არის მორგებული ეს სიტყვა არა მხოლოდ ბლანჟეიან გვარამიაზე, არამედ მთელ რესპუბლიკურ პარტიაზე! ტილის, თუნდაც გენიტალიის ტილის, ყველაზე უებარი წამალი თმის გაპარსვაა, მათ შორის, უხერხულ ადგილებში და, რაც უფრო მალე გააკეთებს ამას ბიძინა ივანიშვილი, მით უფრო დროულად მოხდება ამ პოლიტიკური ჯლიბების მოცილება!**

კაჭრეთში, აი, იქ, სადაც, როგორც ამბობენ, **ვანო მერაბიშვილი** ციხიდან მწვადის საჭმელად დაჰყავთ, რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტი შეიკრიბა. ისე, პარადოქსი არ არის? ამ პარტიაში ეროვნული არაფერია და რაღა მთავარ პარტიულ ორგანოს დაარქვეს „ეროვნული კომიტეტი“? მოკლედ, **შეიკრიბნენ და არჩევნებში მონაწილეობის ფორმატზე შეთანხმდნენ, ოღონდ ჯერ არ გვიმხელენ, მაინც რა ფორმატზე შეაჩერეს არჩევანი. მერე გეტყვითო! აბა, თუ გამოიცნობთ, ეს რამდენიმე დღე რაში სჭირდებათ? სწორია – ივანიშვილთან სავაჭროდ! რაიმე გარანტიებს თუ დასტყუებენ, გამოვლენ და იტყვიან — კოალიციასთან ერთად ვიყრით კენჭსო, თუ არადა — ცალკე გავდივართო!**

პარლამენტის რესპუბლიკელმა თავმჯდომარემ დინჯად გვაუწყა, კოალიციიდან გასვლას არ ვფიქრობთო. დანარჩენებმა მხარი აუბეს — ძალით თუ არ გაგვაგდებენ, სკამებიდან არ წამოვდგებითო!

**თინა ხიდაშელმა** ნერვიული სიცილით გვამცნო: „ნამდვილად არ ვაპირებ გადადგომას, არც მე და არც ერთი რესპუბლიკელი მინისტრი. არც კოალიციიდან წასვლას ვგეგმავთ. საერთოდ ცხოვრებაში არაფერია გამორიცხული, მაგრამ ჩვენ არ ვგეგმავთ არც კოალიციიდან წასვლას და არც არანაირი მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებების მიღებას“.

იქვე კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ „გაუგებარი ადამიანები“, მას კი არა, საქართველოს თავდაცვის მინისტრს ებრძვიან (პიროვნების გაორებას ჰგავს ეს სიტყვები): „ბრმა უნდა იყო, ვერ ხედავდე, რომ მასიურად ხდება შეტევა პირადად თავდაცვის მინისტრზე. პირადად თინა ხიდაშელზე არ არის საუბარი, საუბარია თავდაცვის მინისტრზე შეტევაზე. შეტევა დაწყებულია გაუგებარი პოლიტიკური წარმოშობის ადამიანებისგან (არც მინდა მათი სახელების და გვარების დასახელება), დამთავრებული ამხელა მეზობელი ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებით“.

**ერთი სიტყვით, მე ნუ მებრძვით, თორემ პრორუსის იარლიყი გარანტირებული გაქვთო. და კიდევ, თუ მაინც მოგვიწია კოალიციიდან წასვლა, „იმხელა მეზობელი ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირების“ და თქვენი ბრალი იქნებაო! პირველად რომ ხდებოდეს, ამ წინასწარ შემუშავებულ დაზღვევებს კიდევ დაიჯერებდა ვინმე, მაგრამ ვინც რესპებს იცნობს, ისედაც გაოცებულია, რომ ამდენ ხანს შეინარჩუნეს თავი მმართველ უმრავლესობაში. დამოუკიდებლად ბარიერის ვერგადამლახავი ეს პარტია მუდმივად ასე იქცეოდა — მორიელივით მოაჯდებოდა კისერზე პარლამენტში მის შემყვან ძალას და ფონს გასული მერე გესლავდა.**

ასე იყო სააკაშვილის შემთხვევაში (პირდაპირ შეგეცოდება მიშა რესპების ხელში!), როცა ჯერ ერთად დააფუძნეს „ნაციონალური მოძრაობა“, შემდეგ კი უგანეს და კრიჭაში ჩაუდგნენ. ასე იყო შევარდნაძის შემთხვევაში, რომელმაც 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დაუნანებლად შეუშვა პარლამენტში ყველა პარტია (მაშინ რესპები არჩევნების გაყალბებას ჯიუტად არ იმჩნევდნენ). და, რაც მთავარია, ასე იყო **ზვიად გამსახურდიას** შემთხვევაში, რომლის დამხობაში იდეოლოგიური ავანგარდის როლი სწორედ რესპუბლიკურმა პარტიამ იკისრა!

ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი **ცოტნე გამსახურდიას** გამოხმაურება პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებაზე: **„გაგვაოცა, რაღა! კომედიაა რა, ქართული პოლიტიკა! ეს „ვეჩნი პიონერი“ რომ სერიოზული სახით მსჯელობს: „არა, რესპუბლიკელები არ ფიქრობენ კოალიციიდან გასვლაზე!“ ვააჰ, ნუთუ მართლაა? და რომ გავიდნენ, კრამიტები არ დაამტვრიონ! ოღონდ ბარიერი გადალახონ და მაგიდის ქვეშ არ შეძვრება, რომ...“**

შეძვრება კი არა, უკვე შემძვრალია და, ეს სამი წელიწადია, კბილებით აკავებს „გვერდზე გახტომაში“ დახელოვნებულ ძმებ ბერძენიშვილებს. ერთ-ერთმა ძმამ (ლევანმა) დღეს დაადასტურა, რომ არსადაც არ მიდიან (თანამდებობებიდან): რესპუბლიკური პარტიის არც ერთი წევრი არც ერთ თანამდებობას არ ტოვებს, ჩვენ საპარლამენტო უმრავლესობას არანაირ პრობლემას არ ვუქმნით — ყველა თავის ადგილზე რჩება“.

**„ინტელექტუალური დონის“ პოლიტიკოსი იმასაც ვერ ხვდება, რომ ამ როყიო განცხადებებით კიდევ უფრო ზრდის იმ ადამიანთა რაოდენობას, რომელთათვისაც რესპუბლიკური პარტია მიუღებელია.** იქვე ლევან ბერძენიშვილმა იმ ინტრიგაზეც ილაპარაკა, თუ რატომ არ აქვეყნებენ რესპები თავიანთ გადაწყვეტილებას:

„რესპუბლიკურმა პარტიამ არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე იმსჯელა, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომელიც რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. ის, თუ რატომ არ ვამბობთ დღეს და რატომ ვიტყვით რამდენიმე დღეში, ითქმება მაშინ, როცა ითქმება ინფორმაცია. არაფერია საიდუმლო — მიღებული გვაქვს გადაწყვეტილება, მათ შორის ვადასთან დაკავშირებით, თუ როდის უნდა გამოვაცხადოთ აღნიშნული გადაწყვეტილება“.

ამ მობეზრებულ და მრავალჯერ ნანახ სპექტაკლს ჩვეული ენაკვიმატობით გამოეხმაურა „ოცნების“ დეპუტატი **თეიმურაზ ჭკუასელი:** „მარცხი ელანძეაო. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველამ კარგად იცის რესპუბლიკური პარტია, მიუხედავად იმისა, რომ მათი ინტელექტუალური დონე პოლიტიკაში ძალიან მაღალია და ძალიან დიდი ხანია, გამოცდილი პოლიტიკოსები არიან, საზოგადოების დიდი ნაწილს მაინცდამაინც არ უნდა, რომ ისინი იყვნენ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების არენაზე. მე მათ ვურჩევ დარჩენას“.

ანუ **ჭკუასელმა მიანიშნა, რომ, თუ კოალიციაში არ დარჩებიან, „საზოგადოების დიდი ნაწილი“ მათ არჩევნებზე უარს ეტყვის, მიუხედავად იმისა, რომ „ინტელექტუალურ დონეზე“ დიდი პრეტენზია აქვთ.**

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერმა **სანდრო ბრეგაძემ** კი სოციალურ ქსელში კულისებში შეგვახედა და თანამდებობაზე დარჩენისთვის უკადრებელის კადრება აღწერა: **„ვინმე კეთილისმსურველი არ ჰყავს თავდაცვის მინისტრს? უთხრას მაინც, რომ ხვეწნა და თავმოყვარეობის ბოლომდე დაკარგვა მინისტრობის გამო სამარცხვინო საქციელია. თავდაცვის მინისტრი რომ იტირებს და ისტერიკაში ჩავარდება, არ გადამაყენოთო, ანომალიური და სირცხვილი არაა?!**

მტირალა თავდაცვის მინისტრი — ასეთი რამ მსოფლიოს არ უნახავს! რესპებზე მეფე გიორგის ეს სიტყვები მახსენდება: „ჩემთან ჯიბრი გადაგიტანს, იცოდე, გირშელ“! ძალიან ბევრი იწვალეს ხიდაშელმა და „ინაურის ბიჭებმა“, მაგრამ კოალიციიდან მაინც გააგდეს. **მახსენდება თავდაცვის მინისტრის უთავმოყვარეობა, თუ როგორ იყო სკამს ჩაბღაუჭებული. რა ლიბერალური იდეოლოგია, რის დასავლური ღირებულებები?! სკამი, ფული, დიდი კაბინეტი, შავი ჯიპები, დაცვა და ა.შ. — ესაა რესპებისთვის ერთადერთი ღირებულება! ADIOS, პოლიტიკურ სანაგვისკენ მიმავალ გზაზე“!**

მტირალა თავდაცვის მინისტრი კი არა, სულ ახლახან ატირებული ევროკომისარი **მოგერინიც** ვნახეთ, მაგრამ ის ბრიუსელის ტერაქტმა აატირა და არა სკამის დაკარგვის შიშმა.

ამ მოვლენებამდე კარგა ხნით ადრე გახმიანებულმა ამბავმა, რომ **მიხეილ სააკაშვილი** ოდესიდან ხიდაშელისა და რესპების მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა საკუთარ პარტიას, ახლა იჩინა თავი და „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **სერგო რატიანმა** დროულად დაუჭირა მხარი თანამოაზრეთა ჯგუფს: „დღეს „ქართული ოცნების“ რეპუტაცია არის შელახული. მოლოდინი თავად ამ პარტიაში არის, რომ შეიძლება წააგონ არჩევნები, დანარჩენებსაც აქვთ ეს მოლოდინი და, რასაკვირველია, პარტიიდან ყველა გარბის. არსებობს ასევე მოლოდინი, რომ თვით ამ პარტიის წევრებმაც დატოვონ ის. მე ამასაც ველოდები. სწორედ ეს ქმნის იმ ვითარებას, რომ რესპუბლიკელებმაც და სხვებმაც შეიძლება დატოვონ კოალიცია და პარტია“.

მოკლედ, **რესპები იმიტომ გადიან, რომ არჩევნების მომგები არ ხართ და სხვებსაც თუ გააგდებთ, ჩვენ ვიტყვით, რომ თვითონ გავიდნენო!**

რა ქნას, კიდევ როგორ დაუჭიროს მხარი რესპებს?!

ამასობაში რესპუბლიკელებთან დაპირისპირებაში უკვე გამობრძმედილმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელმა **თამაზ მეჭიაურმა, არც მეტი, არც ნაკლები, ქართული თავისუფალი სიტყვის ბაირახტარს — ნაპროკურორალ და აწ ბლანჟეიან ნიკა გვარამიას ის დაარქვა, რასაც ბევრი გულში ფიქრობდა, მაგრამ ხმამაღლა ვერ ამბობდა: „ეს მანდაუშკა „პრესტიჟული“ საკნის „პარაშასთან“ რომ არ ზის, მისი ფილმების მთავარ გმირ ყავარჯნიანთან, იმიტომ „გაბლატავდა“.**

მეჭიაურის ამ სიტყვებს თბილისის საკრებულოს წევრი **სოსო მანჯავიძე** გამოეხმაურა: „სულისკვეთებას ვეთანხმები, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, ავტორს გამოეყენებინა ქართული სიტყვები, რომლებიც არანაკლებ გამომხატველია. მაგალითად, **„მანდაუშკას“** მაგივრად უნდა ეხმარა სიტყვა **„ჯლიბა“**. ეს ხელს შეუწყობდა ამ შესანიშნავი სიტყვის პოპულარიზაციას ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში, სადაც ის ბევრს ზუსტად შეესაბამება. რაც შეეხება **„პარაშას“**, აი, აქ სულხან-საბაც კი უძლურია. „ქოთანი“ აშკარად ვერ ასახავს კონტექსტს“.

რამდენ რამეს ისწავლის ადამიანი ჩვენი პოლიტიკოსებისგან! არადა, რა ზუსტად არის მორგებული ეს სიტყვა არა მხოლოდ ბლანჟეიან გვარამიაზე, არამედ მთელ რესპუბლიკურ პარტიაზე! ტილის, თუნდაც გენიტალიის ტილის, ყველაზე უებარი წამალი თმის გაპარსვაა, მათ შორის, უხერხულ ადგილებში და, რაც უფრო მალე გააკეთებს ამას ბიძინა ივანიშვილი, მით უფრო დროულად მოხდება ამ პოლიტიკური ჯლიბების მოცილება!

**თამარ დავითულიანი**

* ჯლიბა — პარაზიტული ტკიპა, ბოქვენის მკბენარი

ეს უაღრესად განათლებული ქალბატონი, სოციოლოგი, პუბლიცისტი, პირველ რიგში, რასობრივ დისკრიმინაციას ებრძოდა, შავკანიანთა უფლებებს იცავდა, სეგრეგაციის წინააღმდეგ ილაშქრებდა (დიახ, იმ ქვეყანაში, ახლა დემოკრატიას რომ ასწავლის მსოფლიოს, სულ რაღაც, 50-60 წლის წინათ ჯიშიან ძაღლებს უფრო მეტი პატივით ეპყრობოდნენ, ვიდრე „უჯიშო“ აფროამერიკელებს) და ამიტომაც ჩასვეს ციხეში ანჯელა დევისი, რომელიც არა მხოლოდ საბჭოეთმა, არამედ ცივილიზებულმა სამყარომ პოლიტპატიმრად აღიარა.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანჯელადან ნადეჟდამდე

**თავისუფლება ანჯელა დევისს!
უუფ, ნადეჟდა სავჩენკო უნდა მეთქვა.
ანჯელა დევისი პოლიტპატიმარი იყო გასული საუკუნის 70-იანი წლების ამერიკაში. „ჩვენი“ ნადეჟდა სავჩენკოც „პოლიტპატიმარია“, ოღონდ თანამედროვე რუსეთში...**



მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ წერილის საწყისი პასაჟი პერიფრაზია ერთი ეპიზოდისა მშვენიერი ქართული ფილმიდან „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ — სწორედ გერასიმებელაფონტე გამახსენდა, როდესაც რუსეთის ყოფილ საელჩოსთან ნადეჟდა სავჩენკოს მხარდამჭერი საპროტესტო აქციის კადრებს ვუყურებდი, რომელიც სუხიშვილების ხორუმით დასრულდა. ხორუმით, რომელმაც, ჩემს სიცოცხლეში პირველად, აღტაცების ნაცვლად, სირცხვილი განმაცდევინა — **ვის იცავ, ვისგან იცავ, რატომ და რისთვის, შვილო, რა გესავჩენკოება, ქვეყანა თავზე გვენგრევა?!**

აჯელა დევისი და ჩემი ჯეელობა განუყოფელია — ყოველი დღე ანჯელა დევისის გათავისუფლების მოთხოვნით იწყებოდა და ამითვე მთავრდებოდა.

**ეს უაღრესად განათლებული ქალბატონი, სოციოლოგი, პუბლიცისტი, პირველ რიგში, რასობრივ დისკრიმინაციას ებრძოდა, შავკანიანთა უფლებებს იცავდა, სეგრეგაციის წინააღმდეგ ილაშქრებდა (დიახ, იმ ქვეყანაში, ახლა დემოკრატიას რომ ასწავლის მსოფლიოს, სულ რაღაც, 50-60 წლის წინათ ჯიშიან ძაღლებს უფრო მეტი პატივით ეპყრობოდნენ, ვიდრე „უჯიშო“ აფროამერიკელებს) და ამიტომაც ჩასვეს ციხეში ანჯელა დევისი, რომელიც არა მხოლოდ საბჭოეთმა, არამედ ცივილიზებულმა სამყარომ პოლიტპატიმრად აღიარა.**

იგი ლეონიდ ბრეჟნევმა ლენინური პრემიით დააჯილდოვა.

ანჯელა დევისის გახსენება, რომელსაც ახლახან 70 წელი შეუსრულდა, მხოლოდ ნადეჟდა სავჩენკოს კონტექსტში დამჭირდა...

ნადეჟდა სავჩენკოს შემთხვევაში აშკარაა ხელოვნურობა, მანკიერი კოლექტივიზმი და ვის დასაცავად? — უკეთეს შემთხვევაში, სინდისის უსინდისო პატიმრის, რეალურად კი უკრაინელი ფაშისტისა, რომელსაც ბრალი კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულში ედება — რუსი ჟურნალისტების მკვლელობების ორგანიზებაში, რომლისთვისაც რუსეთის სასამართლომ „პოლიტპატიმარ“ ალქაჯს (სასამართლოს დარბაზში მისი ქმედებიდან გამომდინარე, სხვას ვერაფერს უწოდებ), უკაცრავად და, 22 წელი მიარჭო!

**„პუტინის პირადი პატიმარი“ — ასე მონათლეს სააკაშვილის ნაცებმა მკვლელი დედაკაცი და ამ მორიგ შანტაჟს დაემორჩილა ქოცების ხელისუფლება. დიახ, მორიგს, რადგანაც 4 წელიწადია, სააკაშვილის ნაცები აშანტაჟებენ ბიძინა ივანიშვილის უნიათო ქოცებს და ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ნაცების სცენარით იმართება!**

პუტინის „პირად პატიმარზე“ ის ნაცები მოთქვამენ, რომლებსაც ლამის საქართველოს მოსახლეობის მესამედი პირად პატიმრად ჰყავდათ.

თავი დავანებოთ ზნეობრივ-მორალურ კატეგორიებს და რამდენიმე კითხვა დავსვათ:

**დავუშვათ, ნადეჟდა სავჩენკო უმანკო კრავია, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ვერ გაბედა პუტინის წინაშე ნადეჟდა სავჩენკოზე ისეთი კატეგორიული ტონით ლაპარაკი, როგორითაც ჩვენ, ქართველები, ვმართავთ საპროტესტო აქციებს რუსეთის საელჩოსთან და რისი და ვისი იმედით — ამერიკის შეერთებული შტატების აღშფოთების?**

**ევროპა-ამერიკის ლიდერები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ვლადიმერ პუტინთან ხელის ჩამორთმევას გაურბოდნენ, ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან კრემლში აუდიენციის მიღებაში. ეს იმიტომ, რომ მსოფლიო გეოპოლიტიკა, თუ თავიდან ბოლომდე რუსეთის სცენარით არა, დიდწილად მაინც, ადრე სტალინთან შეთანხმებით იმართებოდა, ახლა კი — ვლადიმერ პუტინთან**

ისე, ჯონ კერის ბოლო ვიზიტი მოსკოვში ცალკე საუბრის თემაა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანს სტატუსით მხოლოდ მისი რუსი კოლეგა, საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი,** უნდა შეხვედროდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ბარაკ ობამამ დაურეკა და სთხოვა პუტინის, ჯონ კერის შეხვედროდა. შეხვდა კიდეც. დახურულ კარს მიღმა 4(!) საათი ისაუბრეს და, როგორ გგონიათ, რაზე — სავჩენკოს დასაცავად საქართველოში გამართულ საპროტესტო აქციაზე?

თუ გავიხსენებთ ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ნათქვამის შინაარსს, როცა კერიმ მხოლოდ წაიკნავლა ყირიმის თემაზე (სავჩენკო საერთოდ არ უხსენებია) და იმასაც, რომ, მისივე განცხადებით, თურმე ახლა აშშ-ს უკეთ ესმის პუტინის მოქმედებებისა სირიაში — ასეა — აშშ მხოლოდ ძალას სცემს პატივს და მხოლოდ ძალის დემონსტრირების შედეგად ეხსნება უკეთ სასმენი ორგანო.

**ევროპა-ამერიკის ლიდერები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ვლადიმერ პუტინთან ხელის ჩამორთმევას გაურბოდნენ, ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან კრემლში აუდიენციის მიღებაში. ეს იმიტომ, რომ მსოფლიო გეოპოლიტიკა, თუ თავიდან ბოლომდე რუსეთის სცენარით არა, დიდწილად მაინც, ადრე სტალინთან შეთანხმებით იმართებოდა, ახლა კი — ვლადიმერ პუტინთან.**

ზემორე თქმულიდან გამომდინარე, კვლავ ვიმეორებ:

რა გინდა, შვილო, რას და ვის სასარგებლოდ აპროტესტებ? დაგავიწყდა, რომ დასავლეთში პუტინის პირად პატიმრებს ეძახდნენ იმ კახპების როკ-ანსამბლსაც, რომლის წევრებმაც მართლმადიდებელი ეკლესიის საკურთხეველი წაბილწეს მოსკოვში?

ან ეს რას ჰგავს, რომ ადგებით ჩვენი ეს პოლიტიკოსებად წოდებული პოლიტიკანები და ერთხმად შესჩივით აშშ-ის საელჩოს, — არიქა, კარასინი დაგვემუქრა, გვიშველეთო?!

**არანაირი სახელმწიფოებრივი ინტერესი, ყოველთვის აშშ-ის დაკრულზე ცეკვა, ამჯერად პირდაპირი მნიშვნელობით — რუსეთის საელჩოსთან ხორუმის როკვით! მუდმივ ისტორიულ მტრად ერთმორწმუნე რუსეთი შევრაცხეთ, ხოლო მუდმივ ისტორიულ მეგობრად — ჩვენი ისტორიულად დაუძინებელი მტერი და სარწმუნოების ამომგდები თურქეთი!**







ვისთან მიდიხართ საჩივლელად, ვისგანაც იმართება ეს ყველაფერი? ვერ ხვდებით, თვითონ ვერაფერს უბედავენ ძლევამოსილებისა და პოპულარობის (და არა მხოლოდ რუსეთში) ზენიტში მყოფ ვლადიმერ პუტინს და რუსეთის წინააღმდეგ ჩვენ გვაქეზებენ?

**არანაირი სახელმწიფოებრივი ინტერესი, ყოველთვის აშშ-ის დაკრულზე ცეკვა, ამჯერად პირდაპირი მნიშვნელობით — რუსეთის საელჩოსთან ხორუმის როკვით! — ეს არის ჩვენი „სიბრძნე“?**

**მუდმივ ისტორიულ მტრად ერთმორწმუნე რუსეთი შევრაცხეთ, ხოლო მუდმივ ისტორიულ მეგობრად — ჩვენი ისტორიულად დაუძინებელი მტერი და სარწმუნოების ამომგდები თურქეთი!** თურქეთი, რომლის პრეზიდენტსაც ისლამური სახალიფოს ტახტი სათავისოდ ეგულებოდა, მაგრამ ამ ოცნებას რუსეთის ავიაკოსმოსურმა ძალებმა მოუღო ბოლო სირიაში!

კვლავ მინდა განვაცხადო, რომ, **თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში კვლავ ნეოლიბერალ ხლისტებს დარჩებათ ბურთი და მოედანი, საქართველო დაიღუპება!**

**დავით მხეიძე**

## პოლიციამ ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით 2 პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ. კვიჟიძე და 1977 წელს დაბადებული, ასევე წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ. ღამბაშიძე დაბა ჩოხატაურში ჯგუფის მიერ ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით დააკავეს.**

სამართალდამცველებმა დაკავებულებს ჩხრეკისას ყალბი კუპიურები უპოვეს. ყალბი კუპიურების რაოდენობამ, საერთო ჯამში, 1040 ლარი შეადგინა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, ყალბი კუპიურები თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში, ფერადი ლაზერული პრინტერის საშუალებით დაამზადეს. გასაღების მიზნით ისინი ჩოხატაურის რაიონში ჩავიდნენ, „საკოლმეურნეო ბაზარში“ 2 ტომარა თხილი შეიძინეს და საფასური ყალბი ფულით გადაიხადეს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემი თაობა არ არის საკმარისად ინფორმირებული იმაზე, თუ რა გავლენა ჰქონდა სტალინს მსოფლიოზე. ხშირად შევსწრებივარ პოლემიკას, როცა კამათის მოგების მიზნით, საწინააღმდეგო არგუმენტად სტალინის მიერ მიხეილ ჯავახიშვილისა და პაოლო იაშვილის დახვრეტა დაუსახელებიათ, არადა, მათი არც ერთი ნაწარმოები არ ჰქონიათ წაკითხული. არ შეიძლება ადამიანზე მხოლოდ ცუდი ინფორმაცია ვრცელდებოდეს, ამიტომ შევქმენი გვერდი'„იოსებ სტალინი“ და ისტორიულ ფაქტებს ვაქვეყნებ“.**



# თათა მურაჩაშვილი: საქართველო არის ქვეყანა, სადაც მიცვალებულების ეშინიათ, ხომ ხედავთ, სტალინის ძეგლის დადგმაზე დღესაც რა ამბავში არიან?

**უკვე რამდენიმე კვირაა, სოციალურ ქსელში უფროსი თაობის ყურადღება ერთმა გოგონამ მიიპყრო — თათა მურაჩაშვილმა, რომელიც სტალინის თაყვანისმცემელთა მეგობარი გახდა. ჩვენ დავინტერესდით, რატომ დაიწყო ბელადის ფენომენის შესწავლა თათა მურაჩაშვილმა. მასთან საუბარი საინტერესო აღმოჩნდა.**

**— თათა, რამდენი წლის ხარ და სად სწავლობ?**

— 20 წლის ვარ. თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობ.

**— სოციალურ ქსელში სახელი სტალინზე წერილით გაითქვი, რატომ გაგიჩნდა სურვილი, მასზე დაგეწერა?**

— ჩემი თაობა არ არის საკმარისად ინფორმირებული, თუ რა გავლენა ჰქონდა სტალინს მსოფლიოზე. ხშირად შევსწრებივარ პოლემიკისა, როცა კამათის მოგების მიზნით, საწინააღმდეგო არგუმენტად სტალინის მიერ მიხეილ ჯავახიშვილისა და პაოლო იაშვილის დახვრეტა დაუსახელებიათ, არადა, მათი არც ერთი ნაწარმოები არ ჰქონიათ წაკითხული. არ შეიძლება ადამიანზე მხოლოდ ცუდი ინფორმაცია ვრცელდებოდეს, ამიტომ შევქმენი გვერდი'„იოსებ სტალინი“ და ისტორიულ ფაქტებს ვაქვეყნებ.

— **როდის და რატომ გადაწყვიტე, სტალინის ცხოვრების დეტალები შეგესწავლა?**

— რამდენიმე წლის წინათ შევესწარი სტალინის შესახებ უბრალო კამათს, რომელიც ფიზიკურ დაპირისპირებაში. იმ დღიდან დამაინტერესა სტალინის პიროვნებამ და მასზე ინფორმაციის შეგროვება, საბოლოოდ, ინტერნეტგვერდის შექმნით დავასრულე.

— **ბევრს კითხულობ სტალინზე?**

— კი, ბევრს ვკითხულობ, ოღონდ ვერიდები გამოცემებს, რომლებშიც სტალინზე უარყოფითი არაფერი წერია, ან სადაც მხოლოდ ცუდს წერენ. ვკითხულობ **მიხეილ თევდორაძის, აკაკი მგელაძის, ნიკო ბერძენიშვილის, ირემაშვილისა** და სტალინთან დაახლოებული სხვა პირების ჩანაწერებს. ეს გაცილებით სანდო და საინტერესო ინფორმაციაა.

**— რას ფიქრობენ შენი თანატოლები იმაზე, რომ სტალინის ფენომენს ასე გულდასმით სწავლობ?**

— თავდაპირველად უკვირდათ, ახლა, თუ რამის გადამოწმება სურთ, პირველ რიგში, მე მიკავშირდებიან ხოლმე. სოციალურ ქსელში ბევრი ისეთი შეტყობინება მომდის, რომელიც ძალას მმატებს. მეუბნებიან, გამბედავი ხარ და არავითარ შემთხვევაში გვერდი არ გააუქმოო.

**— რას ეტყვი იმ ახალგაზრდებს და ზრდასრულებსაც, რომლებიც ამბობენ, რომ სტალინს საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებია?**

— მცირე მონოლოგი მათთვის, ვისაც სტალინის ხსენებაზე, 1937 წლისა და ტაო-კლარჯეთის გარდა, არაფერი ახსენდებათ.

* 1917 წელს აღდგენილი საქართველოს ავტოკეფალია არ ცნო რუსეთის ეკლესიის სინოდმა. ასე გაგრძელდა 1943-მდე. 1943 წელს კი სწორედ სტალინის ბრძანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინეს.

* საფრანგეთში მენშევიკების მიერ გატანილი ქართული საგანძური მანამდე არ დაუბრუნეს საქარტველოს, სანამ ხმა სტალინამდე არ მივიდა. ქართული განძი (რაც მისგან დარჩა) სამშობლოს 1945 წლის 11 აპრილს სტალინის ძალისხმევით დაუბრუნდა.

* 1933-1934 წლებში სრულიად საბჭოთა კავშირში აბორტი და ჰომოსექსუალიზმი კანონით აიკრძალა. დღევანდელი გადმოსახედიდან იმედია, ხვდებით, ეს რასაც ნიშნავს.

* სტალინის ბრძანებით გადაიღეს ეროვნული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი შედევრი „გიორგი სააკაძე“, გადაღების დამთავრებისთანავე (1943 წ.) ფილმის ასლები სტალინმა თეირანის კონფერენციაზე პირადად დაურიგა შეხვედრის მონაწილეებს. ფილმზე 7 მილიონი მანეთი დაიხარჯა, 2 წელიწადში 40 მილიონმა ადამიანმა ნახა.

* სტალინის ბრძანებით ააშენეს რუსთავი, რომელიც 1948 წლიდან უკვე ქალაქად იხსენიება

* სტალინის მმართველობის პერიოდში ჭიათურაში ყველაზე მეტი საბაგირო გზა იყო გაყვანილი (სტალინის ბარელიეფები საბაგიროებზე დღესაცაა შემორჩენილი)

* სტალინის ბრძანებით აიგო და გაკეთდა — თბილისის ზღვა (1947წ), რიონჰესი (1927), ზაჰესი (1927), აწჰესი, რომელიც აჭარაში მდებარეობს (1941 წელი), სამგორის სარწყავი სისტემა (1947-51 წწ).

* მუშტაიდის ბაღში საბავშვო რკინიგზა 1935 წელს სტალინის ბრძანებით აიგო.

* სტალინის ბრძანებით ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“, როდესაც ბელადს შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად ნათარგმნი პოემა არ მოეწონა, თვითონ შეიტანა კორექტივები, კერძოდ, 1402-ე სტროფი სტალინმა გადათარგმნა.



**«სტალინის დონის პოლიტიკოსი ქართველებს არ გვყოლია, ის იყო ადამიანი, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ნახევარი მსოფლიო თავის ნება-სურვილზე ატარა. მას თვალებში შესციცინებდნენ ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ ჩერჩილი, რუზველტი და მაო-ძედუნი»**

* როდესაც ფაშისტური ორგანიზაციის ერთ-ერთმა მონაწილემ აღიარა და დაადასტურა გამოძიების ხელთ არსებული ყველა მასალა ივანე ჯავახიშვილის ფაშისტური საქმიანობის შესახებ, დიდი ქართველი მეცნიერი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილით დასჯას — ჯავახიშვილის ამბავი იოსებ სტალინს აცნობეს და ბელადმა კრემლიდან თითი დაიქნია — ქართველებს მაგის ტოლი მეცნიერი სხვა ვინ გყავთო?! ასე გადაურჩა ცნობილი ისტორიკოსი დაღუპვას.

* როდესაც პენტაგონმა, ამერიკის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დავალებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ცივი ომის პირობებში შეიმუშავა საბჭოეთის 20 ქალაქზე ატომური თავდასხმის სტრატეგიული გეგმა, სამიზნეში ამოღებული ქალაქებიდან ერთ-ერთი თბილისი იყო. გეგმის შესახებ სტალინს აცნობეს. მან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ჩარკვიანი დაიბარა და უბრძანა, რაც შეიძლება სწრაფად გაიყვანათ ქალაქში მეტროპოლიტენიო. „მეტრო არ არის მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება, იგი ომის შემთხვევაში თავდაცვის შეუცვლელი საშუალებაა“, — ბრძანა სტალინმა. 1951 წელს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა დაიწყო.

* ყველას შეუძლია წაიკითხოს აკაკი მგელაძის მემუარები, როგორ არ დააცადა სტალინმა ჰიტლერს ოპერაცია „ედელვაისის“ განხორციელება, რომელიც კავკასიონის დაპყრობას გულისხმობდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ჰიტლერის უშუალო ბრძანებით, იალბუზის დაპყრობა და კავკასიონის გადალახვა 49-ე მსროლელ კორპუსს დაევალა გენერალ **რუდოლფ კონრადის** მეთაურობით.

პირველი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სამხედრო გზით თბილისზე, მეორე — ქუთაისზე, ხოლო მესამე დარტყმა ითვალისწინებდა კავკასიონის დასავლეთი უღელტეხილის გადალახვას და სოხუმზე გასვლას.

კრემლში მაგიდასთან სულ ხუთი კაცი იჯდა. ხუთი კაცი, რომლებზეც იყო დამოკიდებული არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ კაცობრიობის ბედი — **სტალინი, მოლოტოვი, ბერია, ვოროშილოვი, მალენკოვი.**

„მდგომარეობა კავკასიაში სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. ეს შორს მიმავალი პოლიტიკა და იდიოლოგიაა, მათ სურთ, დაარწმუნონ თურქეთი, რომ კავკასია დაპყრობილია, მათ სურთ ჩვენს საზღვრებთან მომდგარი მილიონიანი თურქული არმია საქართველოში შემოიჭრას და დაიკავოს ამიერკავკასია. შევინარჩუნებთ თუ არა კავკასიონს, ამას ომის მიმდინარეობა დაგვანახვებს. კავკასიონის უღელტეხილების დაცვას უშუალოდ თქვენ უხელმძღვანელებთ, ამხანაგო ლავრენტი. კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის აღების ტოლფასია. შეგიძლია თუ არა, დაიცვა კავკასიონი და შენი ქვეყანა? სვანეთის უღელტეხილებისა და, კერძოდ, ბეჩოს გადასასვლელის დაცვა თქვენი უპირველესი დავალებაა.“ — წარმოთქვა სტალინმა.

— მზად ვარ, მოვკვდე სამშობლოსათვის, დავიცვა მისი ღირსება და დამოუკიდებლობა, — უპასუხა ბერიამ.

— უნდა მოკვდნენ გერმანელები და არა თქვენ“, — ღიმილით შეუსწორა სტალინმა.

კავკასიისათვის გადამწყვეტი ბრძოლა ჰიტლერმა 1942 წლის 23 ივლისს დაიწყო.

ძალიან მძიმე დღეების შემდეგ, ქართულმა დანაყოფებმა შეძლეს ამ ბრძოლაში გამარჯვება, ეს სტალინური გენიის ნაყოფია, რომელიც მსოფლიო ომების ისტორიაშია შესული, როგორც ომის კლასიკური ნიმუში, და არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას.

რაც შეეხება ტაო-კლარჯეთის საკითხს, მოკლედ გეტყვით, რომ **ტაო-კლარჯეთის დაკარგვა ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური რუსეთის მთავრობასა და თურქეთის მთავრობას შორის ქართული ტერიტორიების გადანაწილების შედეგია, რომელიც გაფორმდა 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსის ხელშეკრულებით.**

**ვინმე იმის მტკიცებას თუ დაიწყებს, რომ სტალინს შეეძლო წინ აღდგომოდა ლენინის ხელისუფლებას აღნიშნული ტერიტორიების შესანარჩუნებლად, ეს დიდი უმეცრება იქნება.** თვითონ ლენინი ერიდებოდა თურქეთთან მდგომარეობის დაძაბვას, რადგან თურქეთის უკან ინგლისი იდგა და, დიდი ვარაუდით, ბათუმის შემოერთებაც წითელი არმიის მიერ უკვე დამარცხებულ ქართულ ჯარს და მის მეთაურს გენერალ **მაზნიაშვილს** იმიტომ დაავალეს, რომ ინგლისელთა პროტესტის შემთხვევაში ეს მოვლენა ძველი ქართული მთავრობისა და მისი ჯარის „თვითნებობისთვის“ დაებრალებინათ.

სტალინმა დიდ სამამულო ომში გამარჯვების წინა პერიოდში ჩაიფიქრა საქართველოსა და სომხეთისთვის თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება. ამის გამო თურქეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში სტალინმა ფრონტის ზურგში თურქი მოსახლეობის არსებობა მიზანშეუწონლად ჩათვალა და ასპინძისა და ახალციხის რაიონების სოფლებიდან შუა აზიაში გადაასახლა. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები დოკუმენტურად დადასტურებულია, შეგიძლიათ, არქივსა და მუზეუმში შეამოწმოთ. სტალინის დონის პოლიტიკოსი ქართველებს არ გვყოლია. ეს იყო ადამიანი, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ნახევარი მსოფლიო თავის ნება-სურვილზე ატარა. მას თვალებში შესციცინებდნენ ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ **ჩერჩილი, რუზველტი** და **მაო-ძედუნი.** ხშირად აღვნიშნავ ხოლმე, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც მიცვალებულების ეშინიათ. ხომ ხედავთ, სტალინის ძეგლის დადგმაზე დღესაც რა ამბავში არიან?

**— საინტერესო იყო შენთან საუბარი. სტალინის პიროვნების გარდა, კიდევ რით ხარ დაინტერესებული?**

— ჟურნალისტი ვარ. რაც უნდა გასაკვირი იყოს, დაინტერესებული ვარ სამხედრო ავიაციითა და ისტორიული პიროვნებების ფობიებით.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„მე, როგორც თსუ-ს სტუდენტი, ვფიქრობ, რომ ესენი არიან თსუ-ისთვის სამარცხვინო პროფესორები. როგორ შეიძლება ლექტორმა დაყო შენი სტუდენტები — ერთი ნაწილი ლანძღო და საშინელი სიტყვები უძახო, ყველაფერი დააბრალო — მილიონის ჭამა და რა აღარ; მეორეს კი მოეფერო, — ჩემო საყვარლებო, თქვენ ხართ ნამდვილი სტუდენტები და, თქვენ ხელში თუ ვიქნებით, გადავრჩებითო?! რომელ რექტორს ან ლექტორს აქვს ამის უფლება?!“**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რექტორი უნდა წავიდეს!»

# «ეს ყველაფერი ლადო პაპავას თაოსნობით დაიწყო»

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სტუდენტური თვითმმართველობისა“ და „აუდიტორია 155“-ის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დღემდე ბევრმა არ იცის, რა იყო ამის მიზეზი, მათ შორის, სტუდენტებმაც. რა მოხდა სინამდვილეში, რას აპროტესტებდნენ სტუდენტები — ამ საკითხზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი — ეკატერინე დვალიშვილი.**



**— როგორც ვიცი, სტუდენტური თვითმართველობა ლადო პაპავას გათავისუფლებას მოითხოვდა.**

— **როდესაც სტუდენტთა ჯგუფმა, რომელიც თავს უწოდებს „აუდიტორია 115“-ს, სენატი აღარ შეუშვა კაბინეტში, ხოლო რექტორმა არაფერი გააკეთა ამ სიტუაციის განსამუხტავად, ყველას დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ რექტორს ხელს აძლევდა ეს სიტუაცია და მისგან იყო პროვოცირებული.** პაპავას არც დაუმალავს, რომ არ უნდოდა, გიორგი გაფრინდაშვილი აერჩიათ. შემდეგ თვითმმართველობამ დაიწყო კონტრაქცია, თუ ისინი ითხოვენ გაფრინდაშვილის გადადგომას, ჩვენ მოვითხოვთ, მან არ მოხსნას თავის კანდიდატურაო. შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცის — ფიზიკური დაპირისპირება და ა.შ.

მაგრამ გიორგი გაფრინდაშვილმა მაინც მოხსნა თავისი კადიდატურა და განცხადა, რომ არ უნდოდა, დაპირისპირების მიზეზი გამხდარიყო. შემდეგ „აუდიტორია 115“-ის სტუდენტებმა მოითხოვეს, აკადემიურ საბჭოს შეწყვიტა არსებობა და თანამდებობა დაეტოვებინა რექტორს. თვითმმართველობა კი ჯერ რექტორის წასვლას ითხოვდა, შემდეგ აკადემიური საბჭოს გაუქმებას. მგონია, რომ ეს არის, უბრალოდ, ბავშვური დაპირისპირება. **„აუდიტორია 155“-ის წევრებმა იციან, რომ რექტორი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, იციან, რომ რექტორისთვის ცნობილია „ოდეერის“ არსებობის შესახებ, იციან, რომ რექტორის თანხმობით იყო გიორგი გაფრინდაშვილი კანცლეროების კანდიდატი, იციან, რომ რექტორმა მოუწერა ხელი თვითმმართველობას ზემოაღნიშნულ თანხაზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც დაუჭირეს მხარი რექტორს, დაუპირისპირდნენ სტუდენტურ თვითმმართველობას და ჩაუდგნენ ჯიბრში.** ვუშვებ, რომ ეს ყველაფერი იყო ლადო პაპავას თაოსნობით დაწყებული.

**— სტუდენტების გარდა ლექტორებიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს?**

— დიახ. ზოგი ამბობდა, პაპავა არ უნდა წავიდესო, ზოგი კი, რომ წავიდეს არაფერი დაშავდებაო. რამდენიმე ლექტორმა გამოაცხადა შიმშილობა, — არ გადადგეს რექტორიო. აი პაპავასთან შეხვედრაზე კი რაც მოხდა, ნამდვილად სამარცხვინო იყო. **მე, როგორც თსუ-ს სტუდენტი, ვფიქრობ, რომ ესენი არიან თსუ-ისთვის სამარცხვინო პროფესორები. როგორ შეიძლება, ლექტორმა დაყო შენი სტუდენტები, ერთი ნაწილი ლანძღო, ყველაფერი დააბრალო — მილიონის ჭამა და რა აღარ; მეორეს კი მოეფერო, — ჩემო საყვარლებო, თქვენ ხართ ნამდვილი სტუდენტები და თქვენ ხელში თუ ვიქნებით, გადავრჩებითო! რომელ რექტორს ან ლექტორს აქვს ამის უფლება?!** ლექტორებიც გაიყვნენ და მათაც არ იცოდნენ, მგონი, რა უნდოდათ, მაგრამ მათ, ვინც ამბობდა, რომ დიდი პრობლემა არ შეიქმნება ლადო პაპავას წასვლითო, ვეთანხმები. ამდენი დავიდარაბის შემდეგ პაპავას ერთადერთი არგუმენტი კითხვაზე — რატომ არ მიდიხარ? — იყო ის, რომ უნივერსიტეტი ჩიხშია შესული და მისი წასვლა სიტუაციას გაამძაფრებდა. მაგრამ **დამიჯერეთ, სამი წლის წინათ რომ წასულიყო ეს კაცი და ვინმე მისი შემცვლელი მოეყვანათ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა უნივერსიტეტი, რადგან ჩიხიდან კი არ გამოვსულვართ, უფრო უარეს ჩიხში შევდივართ. სასაცილოა, რომ პაპავა პასუხისმგებლობას არ იღებს არაფერზე. ჩვენს უნივერსიტეტში ისეთი ტიპები მუშაობენ, რომლებიც ადრე უშიშროებაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე იყვნენ. არავინ იცის, სად აქვთ მათ კაბინეტი, უნივერსიტეტში მათ სახეზეც კი ვერავინ ცნობს. ასე რომ, ამდენი წლის განმავლობაში ტყუილად იღებენ ხელფასს.** რაღაცის წამყვანი და პირველი პირი რომ ხარ, სჯობს, როდესაც კითხვას დაგისვამენ, რაც უნდა ცუდი იყოს, უნდა უპასუხო, ვიდრე თქვა, რომ არ ვიცოდიო, რაც პირდაპირ მიუთითებს, რომ უვიცი ხარ და არ გაქვს ინფორმაცია დაქვემდებარებულ ობიექტზე. **როგორ შეიძლება, სამსახურში იღებდე ისეთ ადამიანებს, რომლებიც, არ იცი, ვინ არიან, უნიშნავდე ხელფასს და უშვებდე მივლინებებში?! თანაც, ეს ყველასთვის უცხო ტიპები საფინანსო განყოფილებაში მუშაობენ და, ფინანსებზე რამე შეკითხვა და დახმარება რომ დაგვჭირდეს, ამ ადამიანებთან ვერ მივალთ იმიტომ, რომ სახეზეც კი არ ვიცნობთ.** ვლადიმერ პაპავა აკადემიკოსია, მაგრამ არ აქვს ლიდერობის უნარი, ვერ მართავს უნივერსიტეტს. ის კარგი მეცნიერია და ჯობს, მეცნიერებაში ილვაწოს, რექტორობას კი თავი დაანებოს.

**გულსატკენია ისიც, რომ ამდენი ადამიანი იდგა ამ აქციებზე და, მათგან ხუთი კაცი რომ გამოგეყვანა და გეკითხა, აქ რატომ ხარო, ოთხი გეტყოდა, რა ვიცი, ბავშვები იყვნენ შეკრებილი და მეც მოვედიო. ერთმაც კი არ იცოდა, გაფრინდაშვილი კანცლეროვაზე რომ იყო წარდგენილი და ხან გიორგის ეძახდა, ხან — ლევანს.** ყველა ადამიანი, რომელიც ერკვეოდა ამ სიტუაციაში, იჭერდა ნეიტრალურ პოზიციას, მათ შორის, მეც. ერთი უნივერსიტეტის სტუდენტებს არაფერი გვაქვს ერთმანეთში გასაყოფი, ყველას გვინდა კარგი კედლები და სამართლიანი გარემო.

**— დასასრულ, რა ბედი ელის რექტორს — ვლადიმერ პაპავას?**

— მე მრცხვენია იმ რექტორის გამო, რომელიც პასუხისმგებლობას არ იღებს ამ სიტუაციაზე. **შემირცხვენია ის რექტორი, რომელსაც არანაირი ბერკეტი არ აქვს არც ერთი მხარის დასამორჩილებლად და რომელიც თავისი სკამისა და 3600 ლარის შესანარჩუნებლად, მზად არის, სტუდენტები დაუპირისპიროს ერთმანეთს.** როგორც ვიცი, თვითონ არ აპირებს გადადგომას. აკადემიურმა საბჭომ აღძრა მისი გადაყენების საკითხი იმპიჩმენტის წესით, მათ აღნიშნეს, რომ გონივრულ ვადაში გამოვიტანთ გადაწყვეტილებასო. სამწუხაროდ, არავინ იცის, რამდენია ეს გონივრული ვადა.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

**«შემირცხვენია ის რექტორი, რომელსაც არანაირი ბერკეტი არ აქვს არც ერთი მხარის დასამორჩილებლად და რომელიც თავისი სკამისა და 3600 ლარის შესანარჩუნებლად, მზად არის, თავის სტუდენტები დაუპირისპიროს ერთმანეთს»**

**«როგორ შეიძლება, სამსახურში იღებდე ისეთ ადამიანებს, რომლებიც, არ იცი, ვინ არიან, უნიშნავდე ხელფასს და უშვებდე მივლინებებში?! თანაც, ეს ყველასთვის უცხო ტიპები საფინანსო განყოფილებაში მუშაობენ და, ფინანსებზე რამე შეკითხვა და დახმარება რომ დაგვჭირდეს, ამ ადამიანებთან ვერ მივალთ იმიტომ, რომ სახეზეც კი არ ვიცნობთ»**



## «თალიბანმა» ავღანეთის პარლამენტს რაკეტები დაუშინა

**ქაბულში პარლამენტის ახალაშენებულ შენობას, სულ ცოტა, 4 ხელით მართვადი რაკეტა ესროლეს „თალიბანის“ მებრძოლებმა. ეს მოხდა იმ მომენტში, როდესაც ავღანეთის დაზვერვის უფროსსა და უშიშროების ოფიცრებს პარლამენტისთვის უნდა მიემართათ.**

პარლამენტის შენობის ფანჯრები ჩაიმსხვრა და კედლები დაზიანდა, მაგრამ არავინ დაშავებულა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა „თალიბანმა“ დაიკისრა. დაჯგუფების სპიკერის განცხადებით, არის დიდი მსხვერპლი.

პარლამენტის ახალი შენობა 90 მილიონი დოლარი დაჯდა, ის ინდოეთის მთავრობამ ააშენა და გახსნის ცერემონიას 2015 წლის დეკემბერში ინდოეთის პრემიერმინისტრი ესწრებოდა.



## პაკისტანში აფეთქებას 70 ადამიანი, მათ შორის, 30 ბავშვი ემსხვერპლა

**უცხოური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პაკისტანის ქალაქ ლაჰორში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი ქალაქის ცენტრში მდებარე საბავშვო სათამაშო მოედნის მახლობლად აიფეთქა.**

ტერაქტს 70 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის, 30 ბავშვია. დაშავებულთა რაოდენობამ 300-ს გადააჭარბა.

ტერაქტის გამო პროვინციაში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა.



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საზოგადოების ეს ნაწილი უშვებს საქართველოს ორი ისტორიის არსებობას — „საქართველოს ანტირუსული ისტორიისა“ და „საქართველოს პრორუსული ისტორიისა“ ანუ, თუ ჩვენ ისტორიულ ფაქტებს არ მივცემთ „ანტირუსულ შეფერილობას“, ზემოაღნიშნული ნაწილის აზრით, გამოდის, რომ მათ „პრორუსულ შეფერილობას“ ვაძლევთ.**

# ისტერიული ისტორია და პროპაგანდის SICO*ები

**დიდი ისტორიული მოვლენები ხდებოდა 100-150 წლის წინათ სრულიად საქართველოში და, განსაკუთრებით — მის უძველეს მხარე აჭარაში, თუმცა ტერმინი „ისტორიული“ ხომ უკვე პირობით ცნებად აქციეს „პატრიოტებმა“, ისევე, როგორც ისტორია იქცა „გუნება-განწყობილების“ გამოხატვის საშუალებად და არა წყალგაუვალი ფაქტების კრებულად.**

როგორ? — როგორ და, მაგალითად, ასე:

საქართველოს ისტორიული ნაწილები ახალციხე, ბათუმი და ამ ორი დიდი ადმინისტრაციული ერთეულის გარშემო ტერიტორიები ქართველებმა დაიბრუნეს ოსმალებთან ბრძოლის შემდეგ. **რუსები? — არა! რა რუსები, რუსეთი ამ ამბებში საერთოდ არ მონაწილეობდა. პირიქით — რუსეთის იმპერიამ საქართველოს დააკარგვინა ტერიტორიები და ის ოსმალებს აჩუქა. თურქები? თურქები, საერთოდ, რა შუაში არიან? ისინი იყვნენ ოსმალები, თანამდეროვე თურქები კი, საერთოდ, სხვა ხალხია...**

რაო, ფიქრობთ, რომ გავგიჟდი? — მაშინ თქვენ ნორმალური, დალაგებული, დინჯი და აზრიანი მკითხველი ბრძანდებით. სამწუხაროდ, თქვენნაირებისგან განსხვავებით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ ბოდვას, რომელიც ზედა აბზაცში შემოგთავაზეთ, სრულ ჭეშმარიტებად ასაღებენ.

ამის მიზეზი, მათ რომ ჰკითხოთ, არის მათივე „პატრიოტიზმი“, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულმა მავანმა ინდივიდებმა „პატრიოტის“ ცნებაც პირობითი გახადეს. **მათთვის „პატრიოტიზმი“ რუსეთის უპირობო სიძულვილში, პუტინის გინებაში, ისტორიული ფაქტების დამახინჯებასა და ამ ფაქტების მკვეთრად გამოხატული ანტირუსული „სოუსით“ მიწოდებაში გამოიხატება.**

„მოიცა, აბა, როგორ, მკვეთრად გამოხატული პრორუსული სოუსით მიწოდებაში უნდა გამოიხატებოდეს?“ — მკითხა ერთმა ნაცნობმა, როდესაც ჩემგან ზემოთ ნათქვამი ფრაზა მოისმინა. აი, სწორედ ეს კითხვა ასახავს იმ სამწუხარო რეალობას, როგორ არის დამახინჯებული დღეს საზოგადოების ნაწილის აზროვნება და გონება.

**საზოგადოების ეს ნაწილი უშვებს საქართველოს ორი ისტორიის არსებობას — „საქართველოს ანტირუსული ისტორიისა“ და „საქართველოს პრორუსული ისტორიისა“, ანუ, თუ ჩვენ ისტორიულ ფაქტებს არ მივცემთ „ანტირუსულ შეფერილობას“, ზემოაღნიშნული ნაწილის აზრით, გამოდის, რომ მათ „პრორუსულ შეფერილობას“ ვაძლევთ.**

არადა, ისტორია სწორედ იმას ჰქვია, რომ მას არანაირი შეფერილობა არ უნდა მისცე და მშრალი ფაქტები უნდა გამოამზეურო.

მაგალითად ასეთი:

*** 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა და საქართველოს შეუერთდა ძველი მესხეთის ნაწილები — ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და აბოცი (ჩილდირი), ანუ ძველი სამცხე-ჯავახეთი და ერუშეთი. შემდეგ — 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, პარიზის ზავით შემოერთებული იქნა მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთ ნაწილი — ოლთისი.**

ეს ისტორიაა, მაგრამ ამ უტყუარი ფაქტების „ანტირუსული სოუსით“ მომწოდებლებიც მოიძებნებიან...

შორს რომ არ წავიდეთ, თვითონ „ვიკიპედიაში“ არსებულ ამ ძალიან მშრალ და ძუნწ ცნობაშიც სიტყვები „საქართველოს შემოუერთდა“ სწორედ ასე ბრჭყალებშია მოცემული!

**როგორც ჩანს, „ვიკიპედიაში“ ამ ცნობის განმათავსებელმა, ყოველი შემთხვევისთვის, თავი დაიზღვია — ემანდ „მოღალატის“ იარლიყი არ მომაკერონო.**

დიახ. საქმეც ეგაა, რომ, **თუკი წამოგცდება, საქართველომ რუსეთის დახმარებით დაიბრუნა თავისი ისტორიული მიწები, იმწამსვე გამოჩნდებიან გონებამოწამლული ტიპები, რომლებიც „პუტინის მონას“ დაგიძახებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორიული ფაქტი და რეალობა არ დაამახინჯე.**

საპირისპირო არგუმენტს მოსთხოვ და, მე შენ გეტყვი, გაუჭირდებათ. ისეთი გამაოგნებელი „არგუმენტები“ აქვთ, დიდი ხნით დაგრჩება პირი ღია:

**„რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ახალციხე, საქართველოს კი არა, თბილისის გუბერნიას შეუერთდა!“** — ისეთი ჰონორითა და სიბრძნით მოგწერს ზოგი ტვინამსუბუქებული ამ უკვე ფართოდ გავრცელებულ კლიშეს, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ „თბილისის გუბერნია“ სადმე აღმოსავლეთ ციმბირის მხარესაა და არა საქართველოს ტეროტორიაზე.

გასაგებია, რომ ამით მავანი ხაზს უსვამს რუსეთის იმპერიისა და იმპერატორის განზრახულობას, ანუ იმას, რომ რუსეთის საზრუნავი საკუთარი იმპერიის გაფართოება იყო და არა საქართველოს დახმარება. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ **განა ზრდასრულ, ნორმალურ და გონიერ ადამიანს შეიძლება იმის ახსნა სჭირდებოდეს, რომ იმ კონკრეტულ დროსა და ვითარებაში რუსული იმპერიალიზმის მიზნების გამოყენება საჩვენოდ იყო ერთადერთი შანსი იმისა, რომ საქართველოს თავისი ისტორიული მხარე დაებრუნებინა?**

**განა შეიძლება გონიერი და ჩამოყალიბებული ადამიანი ფიქრობდეს, რომ რომელიმე უცხო ქვეყანა მხოლოდ შენი მიზნებისთვის დაღვრის სისხლს და საკუთარ ხალხსა და ჯარისკაცებს შეწირავს იმას, რომ შენი ინტერესები გაატაროს, დაგეხმაროს, მიწები დაგიბრუნოს და თვითონ სანაცვლოდ არაფერი მიიღოს?**

დიახ, რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიას თავისი ზრახვები და მიზნები ჰქონდა და, რა თქმა უნდა, ვერც ვერასოდეს დაუშვებდა მაშინ ვინმე, რომ მალე რუსეთში იმპერია დაემხობოდა ისევე, როგორც მოგვიანებით ვერ დაუშვებდა ვერავინ, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა... და **საბოლოოდ სად წავიდა შემოერთებული მიწები? აიღო რუსეთმა და ვლადივოსტოკისკენ გადაიტანა?**



**არაერთი «პატრიოტი» სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ 1921 წელს ქართული მიწები თურქებმა კი არ მიიტაცეს, არამედ მათ ეს მიწები ლენინმა და სტალინმა აჩუქეს. გამოდის, თურქებს სასტიკად არ სურდათ «მოძმე» ქართველებისთვის მიწების წართმევა და ლენინსა და სტალინს სულ ძალით «შეუტენიათ» მათთვის ეს მიწები**

თუნდაც საბჭოთა ანექსიის დროს, ვითომ არ ჯობდა, უაზრო აჯანყებებისა და ცალკეული გამოხდომების გარეშე ჩავყოლოდით იმას, რაშიც იმხანად დაუძლეველი ძალა გვითრევდა? იქნებ აღარც ის ტერიტორიები დაგვეკარგა, რომლებიც მაგ პერიოდში დავკარგეთ? თუნდაც სულ ახლახან, 90-იანებში „ესენგე“-ში არშესვლის „პატრიოტული“ გაჯიუტების ფასად „ავაფეთქეთ“ სოხუმსა და ცხინვალში ჩადებული ნაღმები და ახლა ამ რეგიონების დაბრუნებაზე ვფიქრობთ და ვიხეთქავთ გულსა და ტვინს. „ესენგე“ (დსთ) კი შარშანდელი თოვლივით გადნა და, იქ შევიდოდით თუ არა, უკვე ნათლად ჩანს, რომ ბევრს არაფერს გვიწყვეტდა ემოციური „პატრიოტობანას“ თამაშის გარდა... დღეს? — **„ევარზიულ კავშირში“ არშესვლის ყიჟინა და გულზე მჯიღის ბრახუნია დღეს მოდური! სანაცვლოდ „მცოცავ ოკუპაციას“ და მავთულხლართებს ვიღებთ...**

არიქა, პრორუსულ პროპაგანდას აღვივებსო, — შესძახებს ახლა ვინმე „ძაანპატრიოტი“!

არადა, მე, პირადად, პატრიოტიზმი ჭკუა და გონება უფრო მგონია, ვიდრე მყვირალა ლოზუნგები. პატრიოტის მოღვაწეობა კი შედეგში უნდა აისახებოდეს და არა იმაში, ვინ უფრო ხმამაღლა ყვირის პატრიოტულ ლოზუნგებს...

სიტყვამ მოიტანა და, ამის საუკეთესო ილუსტრაცია იყო ამას წინათ არსახსენებელი ტელევიზიის არსახსენებელ „თოქ-შოუში“ მომხდარი ამბავი. დარბაზში დამსწრე აჭარელმა სტუმრებმა განაცხადეს, რომ ისინი, დიდი ხანია, ითხოვენ ბათუმში აჭარის დედასამშობლოსათვის დაბრუნების ფაქტისადმი მიძღვნილი მონუმენტის დადგმას...

და როგორი იყო ასევე დარბაზში მყოფი „დიდი პატრიოტის“ — **თამარ ჩერგოლეიშვილის** რეაქცია? **ეს ქალი უტიფრად წამოუხტა აჭარელ სტუმრებს და სულ „რუსული პროპაგანდის გამტარებლები“, „პუტინის აზრების გამავრცელებლები“ და სხვა მსგავსი სისულელეები უძახა.**

ხედავთ? **თურმე უკვე აჭარის ნაწილის თურქთაგან საბოლოოდ ანექსირების, ხოლო დანარჩენი ნაწილის 1921 წელს მიტაცების მცდელობის შესახებ საუბარი „რუსული პროპაგანდა“ ყოფილა!**

მთავარი, რამაც შთამაგონა ამ თემაზე საგაზეთო პუბლიკაციის დაწერა, სწორედ აჭარა და მის გარშემო 1921 წელს განვითარებული მოვლენებია, უფრო ზუსტად, დღევანდელ საქართველოში დამკვიდრებული „ორმაგი ისტორიის“ სტანდარტი. თებერვლის ბოლოს ქართული პოლიტიკური ელიტა, აგრეთვე, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც თავს „ძაანპატრიოტად“ ასაღებს, ფრიად დამწუხრებული სახეებით ეწვევიან ხოლმე ტაბახმელა-კოჯორს, მიიტანენ გვირგვინებს და წარმოთქვამენ გულისამაჩუყებელ ფრაზებს ქართველ იუნკერთა გმირობაზე... ყველა ქართული ტელეარხი 24 საათი იუნკერთა ხსენებაშია და „ბოლშევიკური რუსეთის“ ლანძღვით იჟღინთება ეთერი...

სამაგიეროდ, **მარტის განმავლობაში არავის ახსენდება, ჯეროვანი პატივი მიაგოს აჭარის დამცველ ასევე გმირ ქართველ ჯარისკაცებს, რომლებმაც სიცოცხლის ფასად დაიცვეს ბათუმი ქალაქში შემოჭრილი თურქი ასკერებისგან!**

ბათუმის ბრძოლები მარტის ბოლომდე გრძელდებოდა და იქ გაცილებით მეტი ქართველი დახოცეს თურქებმა, მაგრამ ამის თქმაც რუსულ პროპაგანდად შეიძლება ჩაგვითვალოს მავანმა. თუმცა ვინ იცის, დღეს ამ თემაზე ისეთი წარმოუდგენლად აბსურდული აზრებია მოდური, რომ...

მაგალითად, **არაერთი „პატრიოტი“ სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ 1921 წელს ქართული მიწები თურქებმა კი არ მიიტაცეს, არამედ მათ ეს მიწები ლენინმა და სტალინმა აჩუქეს. გამოდის, თურქებს სასტიკად არ სურდათ „მოძმე“ ქართველებისთვის მიწების წართმევა და ლენინსა და სტალინს სულ ძალით „შეუტენიათ“ მათთვის ეს მიწები.** სავარაუდოდ, მალე აღმოაჩენენ „ისტორიულ წყაროებს“, რომელთა მიხედვითაც, ჩვენი მოძმე და მოჭირისუფლე თურქები დაჟინებით იმეორებდნენ — არა, ბატონო, ჩვენ ქართველებს მიწებს ვერ წავართმევთ, მაგას როგორ ვიკადრებთ, მაგრამ ლენინმა და განსაკუთრებით სტალინმა სულ მუქარითა და დაშინებით აიძულეს თურქები, ეს მიწები წაეღოთო...

სასაცილოა? რა თქმა უნდა, მაგრამ ასეთ აზრს სრული სერიოზულობით წააწყდებით ინტერნეტსივრცეში მსგავს თემებზე კამათისას. სხვათა შორის, ერთ-ერთ საიტზე კიდევ უფრო საინტერესო ფრაზასაც წავაწყდი: **მოთხრობილი იყო 1929 წლის მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთ ხეობის მცხოვრებთა აჯანყება რუსი „ბოლშევიკების“ წინააღმდეგ. ავტორი დიდი მონდომებით ცდილობდა, დაეხატა, რომ ეს აჯანყება თურქი იმპერიალისტების ინსპირირებული კი არ იყო, არამედ მას ჰქონდა სრულიად ლეგიტიმური საფუძვლები ქართველთა მოძულე და მჩაგვრელი „ბოლშევიკების“ წინააღმდეგ.** ნამეტანი მონდომებისგან ავტორს იქ, სადაც „ბოლშევიკების“ საშინელ და სასტიკ საქციელზე ლაპარაკობს, ჩამოთვლილი აქვს ასეთი პუნქტი — **„ბოლშევიკებმა აიძულეს აჭარელი გოგონები, მოეხსნათ ჩადრები და ევლოთ ქართულ სკოლებში!“**

დიახ! დიახ! არ გეჩვენებათ! „ანტიქართველმა“ ბოლშევიკებმა აჭარის მაღალმთიანი რაიონების გოგონები თურმე ასე „ანტიქართულად“ აიძულეს... ქართულ სკოლებში ევლოთ...

ასეა — **ჩვენი ქვეყნისთვის თავშეწირული გმირებიც კი ასეთ „პატრიოტებს“ ორ ნაწილად — „ხელსაყრელ გმირებად“ და „მიუღებელ მსხვერპლად“ ჰყავთ დაყოფილი, ერთ მტერთან მებრძოლებს პატივს მიაგებენ, მეორე მტერთან მებრძოლებს არც კი ახსენებენ, ტაბახმელა „პატრიოტიზმის სიმბოლოა“, ბათუმი-სარფი კი, უბრალოდ, — ჩვენი „მოძმე“ თურქეთის მოსაზღვრე რაიონი...**

**მაშ, რაღა გინდა გააწყო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ვითომდა „პრორუსულ პროპაგანდას“, აი, ასეთი „ძალიან პატრიოტი“ ადამიანები, აი, ასეთი „რკინის ლოგიკით“ უპირისპირდებიან?!**

რა გინდა გააწყო, როდესაც ამ ადამიანებმა ისტორია უკვე ისტერიად გადააქციეს, ხოლო ისტორიული ფაქტებისგან ისეთ პროპაგანდისტულ ქაოსს ქმნიან, ბოლოს ამ ქაოსში თვითონვე იხლართებიან და უმწეოდ ფართხალებენ...

* SICO — პრეზერვატივის მარკა

**გიორგი მარგველაშვილს სასტიკად გაუპროტესტებია პრეზიდენტის როლზე რომელიმე მსახიობის აყვანა. იგი ამბობს, რომ საკუთარი თავი თავად უნდა განასახიეროს, რადგან ამით მოსახლეობა კიდევ უფრო დაარწმუნოს და ხაზი გაუსვას, რომ მათ პრეზიდენტს ჟერაც შესწევს ძალა და უნარი მდიდრული სექსისა.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ავლაბრული ესკიზები» — «იმერული ესკიზების» ახალი, ეროტიკული ვერსია

**ჩვენი ძალიან სკანდალური კორესპონდენტისთვის ცნობილი შეიქნა ძალიან სკანდალური ახალი ამბავი — პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადება „მდიდარ სექსზე“ თურმე სულაც არ ყოფილა ჰაერზე ნათქვამი ფრაზა. როგორც გვატყობინებენ, საქართველოს პრეზიდენტი ძალიან გაუბრაზებია საზოგადოების დამცინავ და ირონიულ რეაქციას მის ამ განცხადებაზე, ამიტომ, მარგველაშვილის მოთხოვნით, უკვე შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც დაიწყებს მუშაობას რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადაღებაზე. ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ფილმმა გიორგი მარგველაშვილის წარსულის, აწმყოსა და მომავლის მდიდრული სექსუალურ ცხოვრება უნდა ასახოს.**



წყარო იმასაც გვატყობინებს, რომ გიორგი მარგველაშვილს სასტიკად გაუპროტესტებია პრეზიდენტის როლზე რომელიმე მსახიობის აყვანა. უთქვამს, რომ საკუთარი თავი თავად უნდა განასახიეროს, რადგან ამით მოსახლეობა კიდევ უფრო დაარწმუნოს და ხაზი გაუსვას, რომ მათ პრეზიდენტს ჟერაც შესწევს ძალა და უნარი მდიდრული სექსისა.

დიახ! სიტყვები — „მე თქვენ დაგიცავთ! მე თქვენ აუცილებლად დაგიცავთ!“ — ლიტონ სიტყვებად არ უნდა დარჩეს და ფილმში ძლევამოსილი, ცეცხლოვანი, ვნებიანი და თავდაჯერებული პრეზიდენტის ნახვამ საბოლოოდ უნდა განუმტკიცოს რწმენა თითოეულ მოქალაქეს, რომ მათ ნამდვილად ჰყავს ძლიერი დამცველი და მოამაგე სამშობლოს წინაშე სექსუალურ-მოქალაქეობრივი ვალის მოხდის საქმეში!

როგორც ჩანს, მარგველაშვილმა უკვე დაარწმუნა რეჟისორ-პროდიუსერ-სცენარისტები და ის უკვე დაამტკიცეს პრეზიდენტის როლზე. ეგ კი არა, საიდუმლოდ გეტყვით, რომ ერთ-ერთი საცდელი სცენა უკვე გადაღებულიც კი არის და მან უდიდესი მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა ფილმზე მომუშავე ჯგუფის წევრებისა.

კერძოდ, ეს ეპიზოდი მარგველაშვილის ბავშვობაზეა, როდესაც მომავალი პრეზიდენტი ჯერ კიდევ იწყებდა თავის საამაყო მდიდარ სექსუალურ ცხოვრებას. მოქმედება ვითარდება სკოლაში. ცნობილი ფილმის — „იმერული ესკიზების“ მსგავსად, აქაც მასწავლებელი დააბიჯებს საკლასო ოთახში და მოსწავლეებისგან დაბეჯითებით ითხოვს პასუხს კითხვაზე:

— აბა, ბავშვებო, რა სარგებლობა მოაქვს პრეზიდენტს?

ამ მომენტში, გიორგი მარგველაშვილი ორ თითს წევს მაღლა და მასწავლებელი მას მიმართავს:

— ჰო, თქვი, აბა, შე უბედურო, მთელი წელია, ხმა რომ არ ამოგიღია!

აქ ხაზგასმულია მარგველაშვილის ის ხასიათიც, რომელიც მას დღემდე შემორჩა, — კაი ხანს გატრუნულია ხოლმე და ბოლოს ერთს დააბრეხვებს და ისეთს, შეიძლება სულ გადარიოს ქვეყანა!

ჰოდა, მასწავლებლის ასეთ ალერსიან მიმართვაზე მარგველაშვილი ფეხზე დგება და, დარწმუნებული იმაში, სწორედ თვითონ არის საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, მესამე პირში კი არა, დიახაც – პირველ პირში და თანაც არა მორიდებით, არამედ დიდი სიამაყით წარმოთქვამს:

– ვჩინჩლავ!

აქ, ფილმის შემოქმედებით ჯგუფს განზრახული აქვს, დაგვანახვოს, რომ მასწავლებელიც და სხვა დანარჩენებიც არა ჩამორჩენილი და ბნელი, არამედ გამოსული, „პრადვინუტი“ და აზრზე მოსული უნდა იყოს! ამიტომ, „იმერული ესკიზებისგან“ განსხვავებით, მასწავლებელი კი არ უყვირის — „გაეთრიე კლასიდან!“, არამედ პირიქით — შეაქებს და ეუბნება:

– დაჯექი, მარგველაშვილო, ათიანი!

სწორედ ამ დროს მოქმედება აღწევს კულმინაციას — კლასში შემოიჭრებიან ჟურნალისტები, საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, უბრალო მოქალაქეები და ოვაციებს გამოხატავენ პატარა მარგველას მისამართით. — ბრავო! ბის! რეპეტე! – გაჰყვირიან ისინი.

როგორც ამბობენ, თავად მარგველასაც და შემოქმედებით ჯგუფსაც ეს საცდელი ეპიზოდი ისე მოეწონათ, რომ გადაწყვიტეს, მთელი ფილმი სწორედ „იმერული ესკიზების“ ხაზით გადაიღონ. ეს ფილმი ეკრანებზე „ავლაბრული ესკიზების“ სახელწოდებით გამოვა.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კიდევ ერთ ეპიზოდზე, რომელიც „იმერული ესკიზებიდან“ ყველამ ვიცით და რომელსაც პირობითად „მიცვალებული ადგა“ ეწოდება. თუმცა, **როგორც შემოქმედებითი ჯგუფის სამზარეულოდან ხმამ გამოჟონა, „ავლაბრული ესიკეზების“ ეროტიკულ სცენაში „მიცვალებულში“ სულ სხვა რამ იგულისხმება და სიტყვა „ადგა“-საც სულ სხვა დატვირთვა ექნება...**

# «ბიძინას ხე» ნაციონალებმა ნაპირზე გამორიყეს

**ციხისძირიდან ექსკლუზიურად გვატყობინებენ, რომ „ბიძინას ხე“ შუა ზღვაში გაიჭედა და, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ადგილიდან ვერ დაძრეს. ხან შეულოცეს, ხან ეხვეწნენ, ხან ვინ ეჯიკავა, ხან — ვინ, ქურდებიც კი ჩარიეს საქმეში, მაგრამ ასწლოვანმა ტიტამ პოზიცია არ შეიცვალა და თქვა: ან აქ, ან არსადო.**



ჩვენმა სანდო წყარომ, რომელიც ყოველთვის მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფება, ამჯერადაც სკანდალური ინფორმაცია მოგვაწოდა. ამ შემთხვევაშიც ჩვენი ინფორმატორი ციხისძირში შემთხვევით აღმოჩნდა, როგორც ამბობს, საღამო ხანს სუფთა ჰაერზე გასეირნება გადაწყვიტა.

„ასე 10 საათი იქნებოდა, სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა გადავწყვიტე და გამოვუყევი ნაპირს. ვიჯექი ზღვასთან ფიქრებმოძალებული, როდესაც ჩემგან რამდენიმე მეტრის მოშორებით შავი „რაფი“ გაჩერდა. იქიდან 3 ადამიანი გადმოვიდა, ყველაზე მეტად მათმა სპეციფიკურმა ჩაცმულობამ დამაეჭვა და გადავწყვიტე, იქვე, ბუჩქებში მივმალულიყავი.

ეს ხალხი ერთმანეთში საუბრობდა. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ რომელიმე სექტის წარმომადგენლები იყვნენ და ცოტა შემეშინდა, მაგრამ ერთ-ერთმა ნიღაბი მოიხსნა და ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იმ ღამეს ციხისძირში **თამარ ჩერგოლეიშვილი** ვნახე. სიგარეტს მოუკიდა და მის გვერდით მდგომს გადაძახა, — ისე უნდა ვქნათ, ეს ხე ადგილიდან ველარავინ დაძრას, დროზე შევუდგეთ საქმეს, ფოტოები ოდესაში უნდა გადავგზავნოო.

ამასობაში სამივემ მოიხსნა ნიღაბი, რას წარმოიდგენდნენ, თუ მე იქვე ვიყავი და ამ ყველაფერს ვუყურებდი. დავინახე, როგორ ამოალაგა რაღაც საგნები **ხათუნა გოგორიშვილმა,** იქვე იყო **გივი თარგამაძეც,** რომელსაც ხელში ბაწარი ეჭირა და ჩერგოლეიშვილთან ერთად შლიდა, თან თავისთვის ამბობდა: „სულს ამოგხდიო“, სავარაუდოდ, ივანიშვილის მისამართით.

გივიმ და ხათუნამ წყალში შეცურეს, გივიმ ჩაყვინთა და ხათუნამ ბაწრის ერთი ბოლო მიაწოდა, მეორე კი ხის ტოტს მოაბა და რამდენიმე წნული გაუკეთა. ნაპირზე ჩერგო იდგა და ფოტოებს იღებდა, სავარაუდოდ, ოდესაში გასაგზავნად.

ამასობაში კიდევ ერთი შავი „რაფი“ მოადგა ნაპირს, იქიდანაც სამნი გადმოვიდნენ. მათ ნიღბები არ ეკეთათ და მაშინვე ვიცანი, **ნინო დანელია, ნინია კაკაბაძე** და **ელენე ხოშტარია** იყვნენ. მიესალმნენ თამარას, ჩანთიდან არაყი ამოიღეს, ჭიქებში ჩამოასხეს და სიცილ-კისკისით დაცალეს ბოთლი.

— რა ქენი, გაუგზავნე ფოტოები? — ჰკითხა ელენემ თამარას.

— კი, ახლა მიიღო და მაგარი იღადავა: მაგრად დაამაგრეთ, ხვალ „რუსთავი 2“ უნდა მოვიდეს და, ხე რომ გაიჭედება, ეგ კადრები უნდა გადაიღოსო.

ღამის 12 საათი ხდებოდა, მოულოდნელად ქარი ამოვარდა და წვიმა წამოვიდა. შუაგულ ზღვაში მდგარი ხიდან გოგორიშვილის განწირული ყვირილის ხმა შემომესმა, რომელიც ნაპირზე მყოფებს შველას სთხოვდა. როგორც დავაკვირდი, ხათუნა ბაწრის მოსაბმელად კენწეროზე ასულა და ველარ ჩამოდიოდა. უნდა გენახათ, როგორ არხევდა ქარი ტიტის ტოტებზე შემომჯდარ ხათუნას, რომელიც სასოწარკვეთილი ითხოვდა შველას, მაგრამ ნაპირზე მყოფი ქალები კარგად შეზარხოშებულები იყვნენ და ღრმად ჩასძინებოდათ.

არც გივის ესმოდა მისი ხმა, წყლის სიღრმეში იყო ჩაყვინთული, რათა ბაწარი დაემაგრებინა და ასე შეეკავებინა ლეგენდარული „ბიძინას ხე“. ხათუნას ყვირილმა შედეგი ვერ გამოიღო და ასე მთელი ღამე ხის კენწეროზე გათენება მოუხდა.

მეც ჩამძინებია, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი, მეფხიზლა. უცებ რაღაც ხმაურმა გამაღვიძა, გავახილე თვალი და რას ვხედავ – სპეცფორმაში ჩაცმული ბიძინა, რომელსაც თავზე ე.წ კასკა ეხურა და ხისკენ იშვერდა ხელს.

**მოულოდნელად საშინელი ხმა შემომესმა და ზღვის ტალღის მჩქეფარებამ რამდენიმე მეტრს მიაღწია, როგორც შემდგომში გავარკვიე, ბიძინას დანახვაზე ხათუნა გოგორიშვილი შიშისგან გადმომხტარა ხის კენწეროდან და წყალში მოუდენია ბრაგვანი. გივიმ კი ის-ის იყო ზედაპირზე ამოყო თავი, რომ ბიძინას დანახვაზე ისიც წყალში ჩაიმალა.**

აქ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — ხათუნას წყალში ბრაგვანმა იმდენად დიდი ტალღა წარმოქმნა, რომ გაჭედილი ხე ადგილიდან დაძრა და ინერციით ნაპირზე გამორიყა. ხათუნა, გივი და მისი თანამოაზრეები კი ერთმანეთს შეშფოთებული სახეებით უყურებდნენ და თან იგინებოდნენ, უკვე ყველაფერი გვიან იყო — ხე წყლიდან გამოვიდა და ბიძინამაც ღიმილღიმილით დატოვა ციხისძირის ტერიტორია.

გაწბილებული ნაცები კი სასწრაფოდ ჩასხდნენ შავ „რაფში“ და ასევე ელვის სისწრაფით დატოვეს ტერიტორია.

**გრიგოლ ინგაძე**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიუსელის ტრაგედიამ ნათლად წარმოაჩინა ე.წ. მულტიკულტურიზმის ევროპული პოლიტიკის კრახი, ამასთანავე, ბელგია ამ კრახის ქრესტომათიული მაგალითია. ამ აფეთქებებს ევროპას შესეული მიგრანტების დიდ ტალღას ვერავინ მიაწერს, რადგან ბრიუსელის ტერაქტის ყველა მონაწილე ბრიუსელის მკვიდრია, ბელგიის პასპორტის მფლობელი, მაგრამ ამ გარემოების გამო ევროპელებად არ ქცეულან. ისინი ცხოვრობდნენ მოლებენკში და სულაც არ შეუსისხლხორცებიათ ევროპული ქცევისა და ზნეობის ნორმები, როგორც ამას ვარაუდობდნენ მულტიკულტურიზმის იდეების მქადაგებლები.**

# მულტიკულტურიზმის პოლიტიკის კრახი და ფაშიზმის მისტრალი ევროპაში

## ქართველი პოლიტიკოსის კიდევ ერთი პროგნოზი, რომელიც ზედმიწევნით ახდა

**XXI საუკუნეში 2016 წლის 22 მარტი ყველაზე საშინელი დღეა ბელგიის ისტორიაში. ყველაფერი კი ბრიუსელის აეროპორტ ზავენტემში ორი აფეთქებით დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ მეტროპოლიტენის სადგურ „მალბეკთან“ მატარებლის ვაგონი აფეთქდა — ევროკომისიისა და ევროპარლამენტის შენობებთან ახლოს. ბოლო მონაცემებით, ტერორის მსხვერპლი 35 ადამიანია, 300-მდე — დაჭრილი.**

**იყო კი ეს ტერორისტული აქტი მოულოდნელი?** — რა თქმა უნდა, არა, რადგან არათუ თვეების, წლების განმავლობაში მიდიოდა ამისკენ საქმე.

2015 წლის ნოემბერში, როდესაც სამართალდამცველებმა პარიზის ტერაქტის კვალს ბრიუსელში მიაგნეს, ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **იან ჟამბონმა** აღიარა, რომ მისი ქვეყანა მზად არ არის, სრულფასოვანი წინააღმდეგობა გაუწიოს ტერორიზმს. მას შემდეგ ტერორისტული საფრთხის მაღალი დონის გამო ბრიუსელის რაიონ მოლენბეკ-სენ-ჟანში მრავალჯერ მოაწყვეს ჩასაფრება და ჩხრეკა, მაგრამ ამან ბრიუსელი ტერორისგან ვერ იხსნა.

**ბრიუსელის ტრაგედიამ ნათლად წარმოაჩინა ე.წ. მულტიკულტურიზმის ევროპული პოლიტიკის კრახი, ამასთანავე, ბელგია ამ კრახის ქრესტომათიული მაგალითია. ამ აფეთქებებს ევროპას შესეული მიგრანტების დიდ ტალღას ვერავინ მიაწერს, რადგან ბრიუსელის ტერაქტის ყველა მონაწილე ბრიუსელის მკვიდრია, ბელგიის პასპორტის მფლობელი, თუმცა ამ გარემოების გამო ევროპელებად არ ქცეულან. ისინი ცხოვრობდნენ მოლებენკში და სულაც არ შეუსისხლხორცებიათ ევროპული ქცევისა და ზნეობის ნორმები, როგორც ამას ვარაუდობდნენ მულტიკულტურიზმის იდეების მქადაგებლები.**

აღსანიშნავია, რომ ბელგიის ბიუჯეტიდან უზარმაზარი თანხები ირიცხება შეიარაღებაზე ნატოს ბიუჯეტში. ეს თანხები იმ საფრთხის გასანეიტრალებლად უნდა დახარჯულიყო, რომელიც თითქოს რუსეთიდან მოდის, ამიტომ ძალებიც, საშუალებებიც და ყურადღებაც მიმართული იყო მითოსური საფრთხისკენ, ნამდვილი საფრთხე კი მხედველობიდან გამორჩათ, მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელში ტერაქტის მოწყობის დიდ ალბათობაზე ყველა ლაპარაკობდა, ვისაც არ ეზარებოდა.

**ტერაქტებს ელოდნენ, მაგრამ წინ ვერ აღუდგნენ.**

ბოლოს და ბოლოს, სწორედ ბრიუსელშია ევროკავშირისა და ნატოს შტაბ-ბინები და ქალაქის უსაფრთხოება საერთო ევროპული ძალისხმევით უნდა დაეცვათ, მაგრამ საჭირო ზომები არავის მიუღია, არადა, ტერორისტული საფრთხის შესახებ სიგნალი საკმარისზე მეტი იყო.

**„ჰუმანური“ მიდგომა პატიმრებისადმი ციხეებში, უსაფრთხოების ზომებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, იმიგრანტული გეტოს შექმნის შესაძლებლობის მიცემა, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა და რელიგიური ღირებულებების, საზოგადოდ, ეკლესიის როლის დაკნინება — აი მულტიკულტურიზმის კრახის ძირითადი მიზეზები ევროპაში, რომლებსაც ექსპერტები ვარაუდობდნენ.**

**აი, რას ამბობდა 4 წლის წინათ, 2012 წლის მაისში, ცნობილი პოლიტიკოსი ალექსანდრე ჭაჭია** გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

**„ევროპული ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის — ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. როგორც ჩანს, ნორმალური ადამიანები ხვდებიან, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება“.**

მულტიკულტურიზმის კრახი და ანტიქრისტიანული, საზოგადოდ, ადამიანური ღირებულებების დევალვაცია ევროპაში ულტრანაციონალური, ფაშისტური იდეოლოგიის აღმოცენებას გამოიწვევს.

არის კიდეც ამის ნიშნები —




მაგალითად, გერმანიაში ახალი წლის ღამეს მიგრანტების მხრიდან ქალებზე სექსუალური ძალადობით გამწარებულმა ნაციონალისტებმა ლტოლვილთა ბანაკებს ცეცხლი წაუკიდეს, ბანაკის ღობეზე კი ღორის თავები ჩამოაცვეს.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.



ამონარიდი **ალექსანდრე ჭიჭიას** იმავე ინტერვიუდან:

**„თუ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელობა, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას საკუთარი ერების მზარდ უკმაყოფილებას, არ დააბრუნებენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას ეროვნულ კალაპოტში, მაშინ შედეგი უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე, უბრალოდ, ევროკავშირის დაშლაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა ფაშიზმის სამშობლოა. ფაშისტური და ნახევრადფაშისტური რეჟიმები გასული საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო, სრულიად ევროპა დაავადდა ფაშიზმით. და დღეს დაუკმაყოფილებელი ეროვნული მოთხოვნები შეიძლება რეალურ ფაშისტურ განწყობილებებში გადაიზარდოს. ამ ტრანსფორმაციის პროვოცირება ნებისმიერ მსხვილ კატაკლიზმს ძალუძს — ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს, ტექნოგენურ კატასტროფას, მსხვილ მოწინააღმდეგესთან, მაგალითად, ირანთან ომს“.**

ევროპის დეგრადაციის მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელნი თავიანთი ეროვნული ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. ისინი ისევე, როგორც საქართველო, დიდად არიან დამოკიდებულნი აშშ-ის იმ ძალებზე, რომლებსაც საკუთარი კეთილდღეობის გარდა არაფერი ადარდებთ.

ან რა ზნეობასა და დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ჯონ კერი,** მას შემდეგ, რაც ამერიკაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონეს, მსოფლიოს ყველა ქვეყანას დაემუქრა, ანალოგიური რამ თქვენთანაც ლეგალიზებული უნდა იყოსო.

სწორედ ამას პროგნოზირებდა ბატონი ალექსანდრე ჭაჭია „საქართველო და მსოფლიოსთვის“ 3 წლის წინათ მიცემულ ინტერვიუში:

**„დღეს ევროპაში არ არსებობს არც ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ანუ ისეთი სახელმწიფო, რომელიც ატარებს პოლიტიკას თავისი ქვეყნის ინტერესებში ან თუნდაც ევროპის ინტერესებში. მეტიც, მსოფლიოში დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიძლება ერთი ხელის თითებზე ჩამოვთვალოთ. თუ გამოჩნდება სახელმწიფო, რომელსაც სურს, საკუთარი რესურსები გამოიყენოს თავისი ხალხის და არა საერთაშორისო კაპიტალის სასარგებლოდ, იქ მაშინვე ამერიკული ბომბდამშენები მიფრინავენ“...**

თანამედროვე ევროპელების დამოკიდებულებამ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ გაუკუღმართებული სახე მიიღო. არადა, მორალური, რელიგიური და, უბრალოდ, ადამიანური პრინციპების უარყოფას ადამიანი ბოროტების მონობისკენ მიჰყავს და არა თავისუფლებისკენ. აი ასეთ თვალსაზრისს ავითარებს ცნობილი პოლიტიკოსი იმავე ინტერვიუში:

**„ადამიანური მორალი იწყება იქ, სადაც ყალიბდება აკრძალვები. მორალი არის პრაქტიკულად აკრძალვათა სისტემა. ადამიანი ათასწლეულების წინათ მიხვდა, რომ იგი ვერ შექმნის საზოგადოებას, ტომს, ერს, ანუ ვერ გადარჩება, თუ არ შეზღუდავს თავისუფლებას. თავისუფლება შეზღუდვების გარეშე არის გზა პირუტყვობისკენ. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში პლატონი ამბობდა, რომ აბსოლუტური** ▶

**«ტერაქტებს ელოდნენ, მაგრამ წინ ვერ აღუდგნენ. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ბრიუსელშია ევროკავშირისა და ნატოს შტაბ-ბინები და ქალაქის უსაფრთხოება საერთო ევროპული ძალისხმევით უნდა დაეცვათ, მაგრამ საჭირო ზომები არავის მიუღია, ტერორისტული საფრთხის შესახებ სიგნალი კი საკმარისზე მეტი იყო. «ჰუმანური» მიდგომა პატიმრებისადმი ციხეებში, უსაფრთხოების ზომებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, იმიგრანტული გეტოს შექმნის შესაძლებლობის მიცემა, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა და რელიგიური ღირებულებების, საზოგადოდ, ეკლესიის როლის დაკნინება — აი მულტიკულტურიზმის კრახის ძირითადი მიზეზები ევროპაში, რომლებსაც ექსპერტები ვარაუდობდნენ»**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებში გარკვეული ძალების აქტიურობას ვხედავ, რომლებიც განათლების სამინისტროდან იმართებიან. პრემიერმა განათლების მინისტრს დაავალა, მისულიყო უნივერსიტეტში და ზომები მიეღო, მაგრამ სანიკიძემ დავალება არ შეასრულა. როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს უნივერსიტეტში არეულობის მოწყობა სურთ.**

**◀ თავისუფლებისგან ყოველთვის წარმოშობა უდიდესი და უსასტიკესი მონობა. იცით, როგორ გეგმავდა ჰიტლერი დაპყრობილი ერების მორჩილებაში ყოლას, მათი გამრავლებისა და ბუნებრივი განვითარების არდაშვებას? ხალხის უმრავლესობას კინოფილმების გავლენით შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი აპირებდა მკაცრი დისციპლინის დამყარებას, ერების მუდმივ შიშში ყოლას, მათთვის ყველანაირი თავისუფლების შეზღუდვას... მაგრამ იყო აბსოლუტურად პირიქით! ჰიტლერი საჭიროდ თვლიდა დაპყრობილი ერებისთვის ინდივიდუალური თავისუფლებების მაქსიმუმის მინიჭებას, მათზე სახელმწიფო კონტროლის ყოველგვარი ფორმის გაუქმებას და სწორედ ამ გზით იმის მიღწევას, რომ ეს ერები ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე აღმოჩნდებოდნენ. სიტყვასიტყვით მოგიყვანთ ჰიტლერის ფრაზას: „რაც უფრო პრიმიტიულია ხალხი, მით მეტად აღიქვამს თავისუფლების შეზღუდვას, როგორც ძალადობას მის მიმართ!“ იგი თვლიდა, რომ ამ ერებს უნდა მინიჭებოდა სრული სექსუალური თავისუფლება, ნებადართული ყოფილიყო ყველანაირი რელიგიური სექტა, სახელმწიფომ არ უნდა დააძალოს სწავლა, მკურნალობა; ყველანაირად უნდა წაახალისოს უდარდელი ცხოვრებისკენ, რომლისთვისაც ყველა ქალაქსა და სოფელში უნდა დაეყენებინათ რეპროდუქტორები, რომლებიდანაც დღე და ღამე ისმის მხიარული მუსიკა. ცხოვრების მთავარი სტიმული ამ ერებისთვის უნდა ყოფილიყო სამრეწველო პროდუქციის შექმნა, მაგრამ ამ ერებს გერმანელებისგან ცალკე უნდა ეცხოვრათ. გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ ვალდებულნი, დაეცვათ მკაცრი მორალური ნორმები, ეროვნული ტრადიციები, განევითარებინათ ეროვნული კულტურა, ბეჯითად ესწავლათ, დაუფლებოდნენ მაღალტექნოლოგიურ პროფესიებს, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, უმკურნალოს ყველა გერმანელს, შეუქმნას მას ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისთვის საჭირო პირობები, არ დაუშვას რელიგიური სექტების ჩამოყალიბება. დისციპლინა და ვალდებულებები — მხოლოდ გერმანელებისთვის, ყველა დანარჩენს — სრული თავისუფლება. როგორც ხედავთ, ალენ დალესი საბჭოთა კავშირის დაშლის თავისი ცნობილი დოქტრინით, უბრალოდ, ჰიტლერის მოსწავლეა. ახლა კი შეადარეთ ის თავისუფლებები, რომლებიც ჰიტლერს უნდოდა ჩვენთვის მოენიჭებინა ჩვენივე დეგრადაციისთვის, იმ თავისუფლებებს, რომლებსაც ჩვენი საზოგადოების ლიბერალური ნაწილი და მათი დასავლური კურატორები ითხოვენ. ერთი და იგივე არ არის?!“**

საქართველოს გზა კი ზნეობრიობაზე, მართლმადიდებელ ქრისტიანულ მორალზე უნდა გადიოდეს, გზაზე, რომელმაც გადაგვარჩინა და აქამდე მოგვიყვანა. თუმცა ახლა ამ ღირებულებებს გააფთრებით უტევს დასავლეთის ზნედაცემული ძალებისგან გულუხვად დაფინანსებული მეხუთე კოლონა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და რიგი პოლიტიკოსების სახით.

**„ევროპა ჩიხში მოექცა და ევროპელი ინტელექტუალები დაბნეულად აღიარებენ, რომ არსებული საზოგადოებრივი სისტემა ვერ გამოიყვანს მათ ამ ჩიხიდან. სავარაუდოდ, საქმე ფაშიზმით დამთავრდება, ევროპას სხვა გამოცდილება არ აქვს. ისლამური სამყარო კატეგორიულად არ იღებს დასავლურ დემოკრატიას, აქტიურად ეწინააღმდეგება მის შემოტევას და ამის გამო ღვრის ზღვა სისხლს. მსოფლიო მრავალფეროვანია, ერთგვაროვანი მიდგომები, პრინციპები და წესები შეუძლებელია და არ იმოქმედებს. უცხოს, მიუღებელს კი მხოლოდ დანგრევა შეუძლია, ამიტომ დღეს მსოფლიოს ინტელექტუალური ელიტები განვითარების ახალი გზების, ახალი ფორმების ძიებით არიან დაკავებულები. ამაზე უნდა იფიქრონ პატარა ქვეყნებმაც, მათ შორის საქართველომ, საკუთარ ისტორიულ გამოცდილებაზე, ეროვნულ სპეციფიკასა და კულტურულ თავისებურებებზე დაყრდნობით“,** — ამბობს **ალექსანდრე ჭაჭია** კიდევ ერთ ინტერვიუში (2013 წლის აგვისტო).

როგორც ხედავთ, „ევროკავშირისა და ნატოს დედაქალაქის“ გადაქცევას ჩირქოვან ფურუნკულად, რომელიც ახლახან გასკდა, ღრმა ფესვები აქვს, ამიტომ ჩვენ, პატარა ერის შვილები, ისევე, როგორც ევროპელები, კარგად უნდა დავფიქრდეთ, საით მივისწრაფვით — ზნეობისგან დაცლილ, ქრისტიანულ ღირებულებებზე უარისმთქმელ საზოგადოებად ჩამოყალიბებისკენ, რომელმაც ბრიუსელისა და პარიზის მსგავსი ტერაქტების შიშით უნდა იცხოვროს, თუ ისეთ საზოგადოებად ჩამოყალიბებისკენ, რომელიც თავისი ისტორიული გამოცდილების, ეროვნული სპეციფიკისა და რელიგიურ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით განვითარდება...

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**




დენის დავითაშვილი:

# ქართველი დამსაქმებლები დაუფარავად ამბობენ, რომ ურჩევნიათ, არაბი, ჩინელი ან ირანელი მუშები დაიქირაონ

**პროფესიული განათლების პროფკავშირის ხელმძღვანელი, განათლებისა და მეცნიერების დარგებში არსებული ნაკლოვანებების შემსწავლელი წარმომადგენლობითი საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დენის დავითაშვილი საქართველოს განათლების მინისტრ თამარ სანიკიძეს არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებს და პროფესიული განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრობს:**



— საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განათლების მინისტრ თამარ სანიკიძესთან ერთად, ახლახან პროფესიული განათლების სფეროში ახალი რეფორმის დაწყების შესახებ განაცხადა. თქვა, რომ ამ რეფორმის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა აღორძინდება და ხალხიც დასაქმდება, რაც, ბუნებრივია, მისასალმებელია. მაგრამ, როდესაც გავეცანით ამ ახალ მოდელს, უამრავი შეკითხვა გაგვიჩნდა. საქმე ის არის, რომ ერთი თვის წინათ განათლების მინისტრმა ქვეყანაში ახალი გერმანული დუალური პროფესიული განათლების მოდელის დანერგვაზე განაცხადა და მალე გერმანული დუალური განათლების სისტემის მხოლოდ გარკვეული ელემენტები დაინერგება, რაც პროფესიული განათლების სფეროში ფუნდამენტური რეფორმების ჩატარებას არ ნიშნავს. **ასე ხელაღებით რომელიმე ქვეყნის მოდელის დანერგვა არასწორია.** გერმანია ევროპაში ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყანაა. იქ უამრავი საწარმოა, დამსაქმებლებმა კი იციან, საქმე კარგად რომ წაუვიდეთ, საჭიროა, მომზადდეს შესაბამისი უნარ-ჩვევების, მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტები, ამიტომ მათი მთავარი ამოცანაა, თავიანთ საწარმოებში კოლეჯების სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ისეთი პირობები შეუქმნან, რომ დაოსტატდნენ. **ევროპელი დამსაქმებელი დარწმუნებულია, რომ თავის საწარმოში სხვა ქვეყნის მუშახელი კი არ უნდა დაასაქმოს, არამედ თვითონ აღზარდოს კვალიფიციური მუშახელი. საქართველოს განათლების მინისტრი კი, რომელსაც ჯერჯერობით არანაირი შეხვედრები არ გაუმართავს და დამსაქმებლებისგან თანხმობა არ მიუღია, რაზე ლაპარაკობს?!** ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი დამსაქმებლები დაუფარავად ამბობენ, რომ უცხოელი მუშახელის დაქირავება ურჩევნიათ (მაგალითად, არაბის, ჩინელის ან ირანელის), ვიდრე ქართველების, რადგან ქართველების მომზადების დონით უკმაყოფილონი არიან.

**— არაბ და ჩინელ მუშახელს უფრო მაღალი მომზადების დონე აქვს?**

— ესეც საკამათო საკითხია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **ქართველ დამსაქმებლებს უცხოელთა დაქირავება იმიტომაც ურჩევნიათ, რომ დაბალ ხელფასს უხდიან და, რაკი საქართველოს მოქალაქეები არ არიან, შეუძლიათ ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ სამსახურიდან.**

ამ რეფორმის ვითომდა „სიახლე“ არის ისიც, რომ პროფესიული კოლეჯის სასწავლო გეგმის საათობრივი რაოდენობის 60% საწარმოში სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას უნდა დაეთმოს, ხოლო დანარჩენი 40% — თეორიულ სწავლებას პროფესიულ კოლეჯში. **ეს ახალი მოდელი, რომელიც სანიკიძემ მთავრობას შესთავაზა, გულისხმობს, რომ, ფაქტობრივად, ხელახლა უნდა შემუშავდეს ახალი პროფესიული სტანდარტები და, შესაბამისად, პროგრამებიც. არადა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით 5 მილიონზე მეტი ლარი დაიხარჯა. ამ ფონზე განათლების მინისტრისა და ამ სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებები გაუაზრებელი და სრულიად უპასუხისმგებლოა. მათ არ უფიქრიათ, რა დრო დასჭირდება ამ პროგრამებისა და სტანდარტების ხელახლა შემუშავებას. ამას გარდა, თუ აქამდე პროფესიულ განათლებას სტუდენტს პროფესიული განათლების კოლეჯის პედაგოგი აძლევდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში, საწარმოო პრაქტიკა უკვე დამსაქმებლების წარმომადგენლებმა უნდა განახორციელონ. ასეთი წარმომადგენელი კი ჯერჯერობით არც ერთ დამსაქმებელს არ ჰყავს. საჭირო იქნება ახალი სამუშაო ადგილების გამოყოფაც, რაც ასევე არ არის დამსაქმებელთან შეთანხმებული.**

**განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე და მისი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი აზრზე არ არიან, რას ნიშნავს პროფესიული განათლება. თვეში ორჯერ უცხოეთში დასეირნობენ, წავლენ მივლინებით რომელიმე ქვეყანაში, მაგალითად, ფინეთში, მოეწონებათ იქაური განათლების მოდელი და გადაწყვეტენ საქართველოში მის დანერგვას; შემდეგ მიხვდებიან, რომ ეს უტოპიაა. აქამდე საქართველოში ესტონური განათლების მოდელის პოპულარიზაცია მიმდინარეობდა. ახლახან განათლების სამინისტროს წარმომადგენლები გერმანიაში იმყოფებოდნენ და ახლა გერმანული განათლების მოდელის გადმოღება მოინდომეს...**

ჩვენთან არავინ ფიქრობს, რომ რეფორმები საქართველოს რეალობაზე მორგებული უნდა იყოს. ჩამოჰყავთ ვიღაც ექსპერტები, რომლებიც არაფერს აკეთებენ, მაგრამ 2-3 წლის განმავლობაში უზარმაზარ ხელფასებს იღებენ, დროს ატარებენ, წასვლის წინ კი ერთ პრესკონფერენციას ჩაატარებენ. როდესაც მათ შეეკითხები, საქართველოში რა გააკეთეთო, გიპასუხებენ, ამ საკითხებზე გადაწყვეტილება თვითონ უნდა მიიღოთო.

**— ეს ექსპერტები საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდებიან?**

— ევროკავშირი გამოყოფს გრანტებს, ახლაც არის 27 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოყოფილი. ზის, მაგალითად, ექსპერტი გერმანიიდან, **გიუნტერ დივალდი,** პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტში და, რაც უნდა ვკითხოთ ან როდესაც ვეპატიჟებით შეხვედრაზე, ყველაფერზე გვიპასუხებს ხოლმე, — ჩემი უფროსი დეპარტამენტის უფროსია და მან ამიკრძალა თქვენთან მოსვლაო. და **ესენი არიან დამოუკიდებელი ევროპელი ექსპერტები?** ევროკავშირის მეორე ექსპერტი **ოლივერ რიზი** კი ნორმალური პიროვნებაა. ის ორჯერ დაესწრო ჩვენს კონფერენციას და გულახდილად გვირჩია, პროფესიულ განათლებაში რეფორმის ჩასატარებლად ფრთხილად იმოქმედეთ, ნურც ერთი ქვეყნის მოდელს ნუ გადმოიტანთ, საკუთარი მოდელი შეიმუშავეთო.

**— პროფესიული განათლების სფეროში არსებული პრობლემების შესახებ თქვენ წინა პრემიერსაც მიმართეთ. რა პასუხი მიიღეთ მაშინ, გაითვალისწინა ხელისუფლებამ თქვენი რომელიმე მოსაზრება?**

— ყოფილმა პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ორჯერ მითხრა, თამარ სანიკიძემ მომატყუაო. მარტო არ ვყოფილვარ, როდესაც ეს მითხრა, ამ შეხვედრას ხუთი მინისტრი, მოადგილეები, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და სხვა პირებიც ესწრებოდნენ. მესამე შეხვედრაზე პირდაპირ განმიცხადა, თამარ სანიკიძე მალე განათლების მინისტრი აღარ იქნებაო. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, განათლების მინისტრი მოადგილესთან ერთად ხშირად დადის უცხოეთში და, როგორც ჩანს, სანიკიძეს ქვეყნის გარეთ, ამერიკასა და ევროპაში, სერიოზული ლობისტები ჰყავს, მფარველები ჰყავს ქვეყნის შიგნითაც, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი, რომლის დაჟინებული თხოვნითაც ყოფილმა პრემიერმინისტრმა თანამდებობაზე დატოვა.

მეტსაც გეტყვით, მე, პირადად, **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებში გარკვეული ძალების აქტიურობას ვხედავ, რომლებიც განათლების სამინისტროდან იმართებიან. პრემიერმა განათლების მინისტრს დაავალა, მისულიყო უნივერსიტეტში და ზომები მიეღო, მაგრამ სანიკიძემ დავალება არ შეასრულა. როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს უნივერსიტეტში არეულობის მოწყობა სურთ.**

**— ხმაური მიმდინარეობს საქართველოს საჯარო სკოლებში ორი ახალი საგნის „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ სწავლების დანერგვის გამო. მართალია, განათლების სამინისტრო ამბობს, რომ საფრთხეს ვერ ხედავს, თუ მოსწავლეები ამ საგნებს ისწავლიან, მაგრამ საზოგადოების ნაწილი და სასულიერო პირები ამ საგნების სწავლებაში მომავალი თაობის დაღუპვის საფრთხეს ხედავენ...**

— მე ვმონაწილეობდი ამ საგნების სწავლების დანერგვასთან დაკავშირებულ განხილვებში და მიმაჩნია, რომ დაწყებითი კლასის მასწავლებელს, რომელსაც ისედაც რამდენიმე საგნის სწავლება ევალება, ეს საგნები აღარ უნდა დაემატოს. მით უფრო, რომ პედაგოგების 83%-მა (და მათ შორის დიდი ნაწილი იყო დაწყებითი კლასების პედაგოგები) ახლახან კომპეტენციის მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა და გამოცდები ვერ ჩააბარა. როგორ უნდა ასწავლონ ბავშვებს ეს საგნები იმ პედაგოგებმა, რომელთა ცოდნის დონეც ასე დაბალია?! ასევე მნიშვნელოვანია, როგორ მიაწვდის პედაგოგი მოსწავლეს ამ ყველაფერს ან ვინ გააკონტროლებს, რომ ესა თუ ის მასწავლებელი მავნე პროპაგანდას არ უწყობს ხელს?! მე **არ ვენდობი დღევანდელი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას, რადგან ვხედავ, რომ ისინი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არსებული გარკვეული ძალების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კომპანია საქართველოში ახლა იწყებს შემოსვლას, თუმცა 22 წელიწადია, მსოფლიოს ბაზარზე გამოჩნდა და დიდი წარმატებით მუშაობს. კომპანია აპირებს, იყოს ყველგან, სადაც პრობლემა გაჩნდება. „ატინაკს“ სხვადასხვა ქვეყანაში ასობით მილიონი დოლარის სამუშაოები აქვს შესრულებული. გეგმაშია რამდენიმე მილიონი დოლარის დახარჯვა ქალაქ ფოთის წყალ-კანალიზაციის გაყვანა-მოწესრიგება-აღდგენაზე. მთავარია, რომ კომპანიისთვის პროექტის სიდიდეს მნიშვნელობა არ აქვს, ვიმუშავებთ ყველან, სადაც პრობლემაა“.**

# საქართველოში წყალგაყვანილობის ახალი კომპანია შემოდის

**2016 წლის 28 მარტს სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში თურქული კომპანია „ატინაკის“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების მასპინძელი გახლდათ LCHL ის აღმასრულებელი დირექტორი, „ატინაკის“, მსოფლიო რეპუტაციის მქონე კომპანიის წარმომადგენელი საქართველოში — ირაკლი კერესელიძე.**




ამ პრეზენტაციით კომპანიის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ბიზნესმენებისთვის გაეცნოთ „ატინაკის“ განვლილი გზა და გაწეული სამუშაო.

შეხვედრას ესწრებოდნენ დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი** და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

კომპანია „ატინაკის“ პროფესიული მიმართულებაა წყალგაყვანილობის სისტემების დამონტაჟება. როგორც კომპანიის ხელმძღვანელები ამბობენ, მათ არაერთი წარმატებული პროექტი განუხორციელებიათ.

„ატინაკი“ არის კომპანია, რომელიც გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით. მან არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა მსოფლიოს მასშტაბით. უდიდესი სამუშაოები აქვს ჩატარებული აფრიკაში, მოლდოვაში, აზერბაიჯანში, თურქეთში. კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოები უნაკლოა და ყოველთვის უმაღლეს შეფასებას იმსახურებს.

კომპანია „ატინაკი“ ამჟამად საქართველოში მუშაობას აპირებს. ვცდილობთ, სახელმწიფოს გვერდით დავუდგეთ ისეთი პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც დიდი ხანია, მოსახლეობას აწუხებს. „ატინაკი“ ცდილობს, დამკვიდრდეს ქართულ ბაზარზე და ტენდერებში მონაწილეობა მიიღოს.

**გეგმაშია ქალაქ ფოთში წყლის სისტემის მოწესრიგება და არა მხოლოდ ფოთში. ჩვენი მიზანია, საქართველოს მასშტაბით მოხდეს წყლის სისტემის მოწესრიგება, აღდგენა და დამონტაჟება.**

კომპანია საქართველოში ახლა იწყებს შემოსვლას, თუმცა 22 წელიწადია, მსოფლიოს ბაზარზე გამოჩნდა და დიდი წარმატებით მუშაობს. კომპანია აპირებს, იყოს ყველგან, სადაც პრობლემა გაჩნდება. „ატინაკს“ სხვადასხვა ქვეყანაში ასობით მილიონი დოლარის სამუშაოები აქვს შესრულებული. გეგმაშია რამდენიმე მილიონი დოლარის დახარჯვა ქალაქ ფოთის წყალ-კანალიზაციის გაყვანა-მო- ▶





# «თელასი», სემეკი და «ენერგოპროჯორჯია», რომლებშიც უამრავი «ნაციონალია» დასაქმებული, საბოტაჟს აწყობენ ამჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ»

**ჩვენს სახელმწიფოში ყოველდღე ახალ-ახალი „სიდამპლე“ რომ ხდება, ბევრისთვის კარგად არის ცნობილი. ერთ-ერთი ასეთი „სიდამპლე“ წილად ხვდა ცნობილ ფოტოხელოვან გივი (გიორგი) ჟოლბორდს. ბატონმა გივიმ სამი წლის წინათ (12.02.2013) გმირ კურსანტთა ქუჩის 22 ნომერში იყიდა ბინა, რასაც ადასტურებს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.**
**ეს დოკუმენტი გვაუწყებს, რომ ბინა დატვირთული არ არის იპოთეკით, მისი ყადაღა/აკრძალვა რეგისტრირებული არ არის, ისევე, როგორც მოვალეთა რეესტრი. ცხოვრობდა ბატონი გივი ამ ბინაში და პატიოსნად იხდიდა კომუნალურ გადასახადებს, მაგრამ ამა წლის 2 თებერვალს...**



— გავილვიძე და გადავწყვიტე, გადამეხადა მოხმარებული დენის საფასური, — **ყვება გივი ჟოლბორდი.** — მივედი ე.წ. ფეიბოქსთან, შევიყვანე მასში ჩემი მონაცემები და მივიღე „სასიკვდილო განაჩენი“ — რამდენიმე ლარის მაგივრად ეკრანზე ეწერა ასტრონომიული რიცხვი!

**— კონკრეტულად?**

— კონკრეტულად, ეს რიცხვი რამდენჯერმე შეიცვალა. პირველად იყო, თუ არ ვცდები, 5500 ლარი, მერე — 4200 ლარი. საბოლოოდ, „ფეიბოქსის“ ეკრანმა 4035 ლარი „გამომინათა“. რა თქმა უნდა, რაღაც გაუგებრობაა, შეცდომაა-მეთქი, — გავიფიქრე და მყისვე „თელასს“ მივაშურე. იქ მისულმა გასაჭირზე ვუამბე: ასტრონომიული თანხა მომივიდა, რა ხდება, რაშია საქმე, რა დავალიანებაზეა საუბარი-მეთქი? — აჰ! — წამოიძახა იქ მომუშავე ქალბატონმა და ატეხა ერთი ამბავი. — მაგ თემაზე მე ნუ მელაპარაკებით, ჩვენ ნუ გველაპარაკებით, წადით სემეკშიო! — უხეშად მირჩია მან.

მივედი სემეკში. „თელასისგან“ განსხვავებით, თავაზიანად მიმიღეს, თავად დამიწერეს განცხადება და შემატანინეს კიდეც. მითხრეს, ერთ თვეში განვიხილავთ თქვენს საკითხსო.

**ბატონი გივის განცხადება სემეკმა „თელასს“ გაუგზავნა და ერთი თვის შემდეგ „თელასმა“ სემეკის აღმასრულებელ დირექტორს — ზურაბ გაბელაიას პასუხი მისწერა, არც ბატონი ჟოლბორდიც დაივიწყა და „სანუგეშოდ“ ასლი გაუგზავნა. ამ პასუხს ხელს აწერს სს „თელასის“ კომერციული დირექტორი დიმიტრი გოვორუხინი.** გაგაცნობთ ამ წერილის ფრაგმენტებს (სტილი დაცულია): „საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 13 ივლისის №654 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გმირ კურსანტთა ქ. №22-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად — 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაეცათ ფიზიკურ პირებს (მიწისძვრით დაზარალებულ მოსახლეობას), დაკავებული ფართების პროპორციულად, კომუნალური დავალიანების დაფარვის პირობით.

რაც შეეხება მოთხოვნას (გივი ჟოლბორდის მოთხოვნას – **ავტ.**), ბარათზე დავალიანების ხანდაზმულად ცნობისა და ჩამოწერის თაობაზე, გაცნობებთ შემდეგს: განმცხადებელმა უძრავი ქონება საკუთრებაში მიიღო კომუნალური დავალიანებების დაფარვის პირობით, რაც უსაფუძვლოს ხდის მის მოთხოვნას დავალიანების ხანდაზმულობის შესახებ.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უთხრათ უარი“.**

აი, ასეთი პასუხი მიიღეს სს „თელასისგან“ გივი ჟოლბორდმა და სემეკის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ გაბელაიამ. დასაწყისში უკვე მოგახსენეთ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ბატონი გივის ბინა არ არის იპოთეკის „ტყვეობაში“, მისი ყადაღა/აკრძალვა რეგისტრირებული არ არის, არც მოვალეთა რეესტრია რეგისტრირებული და, საერთოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერში არსად არის ნაჩვენებ-მითითებული იმ უზარმაზარ ვალზე, რომლის გასტუმრებას „თელასი“ მოითხოვს გივი ჟოლბორდისგან. აგრეთვე, სიტყვაც არ არის ნათქვამი, რომ ბინის მყიდველი ვალდებულებას იღებს „თელასის“ ვალის დაფარვაზე. არ არის და მორჩა!

საბედნიეროდ, გივი ჟოლბორდი მებრძოლი ადამიანი აღმოჩნდა: **„მოვიკითხე ინტერნეტში ჩემი „დავალიანების“ ისტორია და აღმოვაჩინე, რომ მრიცხველის დადგმის დღიდან (11.02.2011) არც ერთ ქვითარში ეს დავალიანება ნაჩვენები არ არის. მეტიც, როდესაც ეს ბინა გადმოვიფორმე, „თელასში“ დამიბარეს და მითხრეს: შენს გვარზე გადაიტანე აბონენტის ნომერიო, მაგრამ ჩემთვის არც მაშინ უთქვამთ, უზარმაზარი დავალიანება თუ მქონდა. ვალზე საერთოდ ლაპარაკი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, დღესაც კი, როცა „ფეიბოქსში“ ჩემი, ანუ აბონენტის ნომერი შემყავს, გადასახადი წინა მეპატრონის გვარზე მოდის, დაბეჭდილ ქვითარზე კი ჩემი გვარი წერია.**

**— ვალის გადანაწილება ხომ არ შემოგთავაზეს?**

— შემომთავაზეს, მაგრამ რამდენი წელი სიცოცხლე დამრჩენია, რომ 120-ლარიანი ხელფასით 4035-ლარიანი ვალი გავისტუმრო? ყველაზე საწყენი ის არის, რომ არ ვიცი, ვისი ვალი უნდა გადავიხადო.

**— ეს ხომ თქვენს კორპუსში მცხოვრები მიწისძვრით დაზარალებულების ვალია, რომლებსაც 2010 წელს სააკაშვილმა მიჰყიდა ფართობი ერთ ლარად. სამაგიეროდ, მათ დაიკისრეს ვალდებულება ვალის დაფარვაზე.**

— ადამიანს ერთ ლარად ბინას რომ აჩუქებ, რასაკვირველია, ის დაიკისრებს ვალის დაფარვას, მაგრამ მე ხომ ამ ბინაში ერთი ლარი არ გადამიხდია? **ძალიან რომ მჭირდებოდა ორი ათასი ლარი, მშვენიერი ბინა გავყიდე, შემდეგ** ▶

**„16 წლის გოგონა ვაჟკაცურად ამომიდგა მხარში, მაგრამ უსაბუთობის გამო ორივე ციხეში მოვხვდით. ისევ ბერძენი ოჯახი დაგვეხმარა — კატერინა, 6 შვილის დედა, გვაკითხავდა და დარბოდა ადვოკატებთან ერთად, დიახ, 6 შვილის დედა. რომ გავეთავისუფლებინეთ და ქვეყნიდან არ გავეძევებინეთ, საჭირო შეიქნა 2000 ევროს გადახდა, ... და ვინ გადაიხადა? — ვისთანაც ადრე ვმუშაობდი, ლიკუდი პიგის ოჯახმა, ისევ ბერძნები დამეხმარნენ“**

შორია შუახლისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ წესრიგება-აღდგენაზე. მთავარია, რომ კომპანიისთვის პროექტის სიდიდეს მნიშვნელობა არ აქვს, ვიმუშავებთ ყველან, სადაც პრობლემაა“, — განუმარტა დამსწრე საზოგადოებას „ატინაკის“ საქართველოს მხარის წარმომადგენელმა **ირაკლი კერესელიძემ.**

„ატინაკის“ ქართული მხარის წარმომადგენელს შეკითხვები ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმაც დაუსვა. ის დაინტერესდა, რა ურთიერთობები ექნებათ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“, რაზეც მას უპასუხეს, რომ კომპანია აბსოლუტურად კეთილი ზრახვებით შემოდის ქართულ ბაზარზე, აქვს თავისი პროფილი, არ ეშინია ახლებური ხედვების. კომპანიის წარმომადგენლები ამაყობენ იმით, რომ მათ მიერ შესრულებული ყველა სამუშაო მაღალ შეფასებას იმსახურებს, ამიტომ არ ფიქრობენ, რომ საქართველოში უკვე არსებულ რომელიმე კომპანიას პრობლემებს შეუქმნიან.

ასევე აღინიშნა, რომ „ატინაკი“ ყველა სამუშაოს ასრულებს დაკვირვებით, ისე, რომ არ დააზიანოს გარემო, დიდ ყურადღებას ანიჭებს ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალას, არ აზიანებს მწვანე საფარს. წყალსაქაჩებზე მუშაობისას შემუშავებული აქვთ ისეთი მეთოდი, რომელიც ელექტროენერგიას ზოგავს. რაც მთავარია, ყველაფერს გარემოს დაცვის სამსახურთან ერთად აკეთებს.

„თუ საქართველოს ხელისუფლება მოგვცემს საშუალებას, სრულად ჩავერთოთ საქართველოში არსებული წყლის სისტემის მოწესრიგების სამუშაოებში, ნახავენ მთავრობის წევრებიცა და მოსახლეობაც, როგორი მაღალი დონის შესრულებული იქნება ყველა პროექტი“, — განაცხადა „ატინაკის“ პროექტების ხელმძღვანელმა **გოჰან ნოგაიმ.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

◀ **ამ ჟურღმულში გადმოვბარგდი, ნაკლებ ფართობში, არაპრესტიჟულ უბანში და თურმე 4 ათასი ლარი ვალად ამიღია! ამ საბუთების გარდა, რაც თქვენ გაჩვენეთ, ფსიქიატრიული დასკვნაც ასაღები მაქვს — ვარ თუ არა ნორმალური, რადგან უკვე ეჭვი მეპარება ჩემს ადეკვატურობაში.**

ბატონმა გივიმ მაჩვენა „თელასის“ ქვითრები. ყურადღებით შევისწავლე თითოეული მათგანი, მაგრამ ფანტასტიკური ვალის კვალი ვერც ერთზე ვერ აღმოვაჩინე.

„თელასის“ წერილში ნათქვამია: 2011 წლის თებერვალში განხორციელდა გმირ კურსანტთა ქ. №22-ში მცხოვრები, მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის ინდივიდუალური აბონირებაო. ჰოდა, ეს „აბონირება“ შედგა 2011 წლის 11 თებერვალს, მაშინ დაყენებული ახალი მრიცხველის ამონაწერიც ნანახი მაქვს: მრიცხველზე დახარჯული ელექტროენერგია 4 (ოთხ!) კილოვატს უდრის, გადასახადი თანხა — ნულს და მთავარი — გრაფაში „წინა დავალიანება“, ისევ და ისევ, ნულია! მაშ, საიდან მოიძიეთ, სს „თელასის“ ძვირფასო ხელმძღვანელობავ, ეს ოთხათასიანი ვალი?

**— ბატონო გივი, სამი წლის განმავლობაში, რაც თქვენ მაგ მისამართზე ცხოვრობთ, ვალის გადახდით არავის შეუწუხებიხართ. რატომ „გაახსენდა“ სს „თელასს“ თქვენი „დავალიანება“ 2016 წლის თებერვალში?**

— ეს არის წინასაარჩევნო პერიოდი და, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, „თელასი“, სემეკი და „ენერგოპროჯორჯია“, **რომლებშიც უამრავი „ნაციონალია“ დასაქმებული, საბოტაჟს აწყობენ ამჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს საბოტაჟი თანდათან იღებს დიდ მასშტაბს.** მხოლოდ მე კი არ მომივიდა მრავალათასიანი დავალიანება, არამედ თითქმის ყველამ მიიღო ჩემს კორპუსში. ეს კეთდება შეგნებულად, ადამიანების გასაღიზიანებლად, რათა ისინი აუმხედრონ დღევანდელ მთავრობას. მაგრამ, რაოდენ საკვირველია, რომ „ნაციონალების“ აშკარა საბოტაჟს ხელისუფლებიდან არავინ ამჩნევს! ნუთუ „ქართულ ოცნებას“ არ აინტერესებს ამ „დავალიანებების“ ასავალ-დასავალი?

**ცნობისთვის:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლებით, მოხმარებული ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის ყველა ძველი დავალიანება, რომლებიც ჰქონდა მოსახლეობას 2012 წლამდე, ჩამოწერილია! სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეს სასიხარულო ამბავი უცნობია, რითაც სარგებლობენ თაღლითები სემეკიდან და „თელასიდან“.

**გიორგი კორძაძე**

**P.S.** გაუგებარია, თუ დავალიანება ჩამოწერილია, რის საფუძველზე მოითხოვს სს „თელასი“ მოსახლეობისგან ჩამოწერილი ვალის გადახდას? ხომ არ გვაქვს საქმე გამოძალვასთან, რომელიც, სხვათა შორის, სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება? ალო, პროკურატურა!

# «ნებისმიერ დროში მთავრობას ადანაშაულებდნენ, მაგრამ, ვისაც ეს მთავრობა მოჰყავდა ქვეყნის სათავეში, პასუხს არ აგებდა»

**საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მცხოვრები 54 წლის ქართველი ემიგრანტი, პროფესიით ისტორიკოსი მაია ნაჭყებია უცხოეთში მყოფ ქართველებს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე გვესაუბრება. გულისტკივილით გვიამბობს, რომ საბერძნეთში მცხოვრები ბევრი ქართველი თანამემამულეებს დახმარების ხელს არ უწვდის, ზოგი მევახშედაა ქცეული და გაჭირვებულ ქართველს სამსახურის პოვნის სანაცვლოდ ფულს სძალავს.**



**— ქალბატონო მაია, რამ გაიძულათ სამშობლოდან წასვლა?**

— გაუსაძლისმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ — მეუღლე უმუშევარი დარჩა, მე კი ისტორიის მასწავლებელი ვიყავი და სასაცილო ხელფასი მქონდა. 2005 წლის 13 იანვრის შუა ღამეს, ძველით ახალი წელი თენდებოდა, დავტოვე მეუღლე და ორი შვილი — გოგონა და ორი ვაჟი. იმ დღის გახსნებაც მიჭირს. ჩემი ოჯახი, საყვარელი პროფესია... თუ რამ საუკეთესო გამაჩნდა, ყველაფერი მივატოვე იმ იმედით, რომ სამ წელიწადში უკან დავბრუნდებოდი... მაგრამ 12 წელია, აქ ვარ.

ჩემი გამგზავრება დიდი რისკი იყო, ავტობუსით წავედით 8 ადამიანი, თან ვიმალებოდით. მძღოლმაც არ გაგვიმართლა — გზა დაებნა და ზედმეტი ერთი დღე თურქეთში გავჩერდით. შემდეგ ავტობუსი გაფუჭდა... ერთი სიტყვით, ასე სულელელურად არ უნდა წავსულიყავი. 7 საათის განმავლობაში ვიმალებოდით, როგორც იქნა, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში ჩავედით. იქ მანქანა დამხვდა, რომელსაც ათენში უნდა ჩამოვეყვანე. მთელი გზა მეუბნებოდა მძღოლი, შეიძლება საბუთები მოგვთხოვონ და არ შეგეშინდესო. უფლის წყალობით, მშვიდობით ჩამოვედი, აქ კი ჩემი ახლობელი მირანდა დამხვდა მეუღლესთან ერთად. **ჩემამდე 2 წლით ადრე საბერძნეთში წამოვიდა ჩემი მულისშვილი, რომელიც ძალიან დამეხმარა, მიმიყვანა იქ, სადაც თვითონ მუშაობდა. ბერძენი კომპოზიტორის ოჯახი იყო — ლიკუდი პიგის. ერთი ბავშვი ჰყავდათ, საყვარელი კონსტანტინე, მეუღლე და დედა.** ნამდვილად დიდებული ადამიანები არიან, მაგრამ მაშინ ამას ვერ ვაცნობიერებდი, თვალზე ცრემლს ვერ ვიშრობდი, ჩემი ოჯახი და ქვეყანა მენატრებოდა. ნამდვილად თბილი გარემო დამხვდა, მაგრამ ენის უცოდინარობამ გამირთულა ცხოვრება...

**— რომელიმე შემთხვევაზე ხომ ვერ გვიამბობთ, რომელიც ყველაზე მძიმედ გახსენდებათ ემიგრაციაში ყოფნისას...**

**— ეს არის დიდი თანადგომა უცხოელებისგან და დიდი ღალატი ქართველებისგან.** ადამიანს, რომელსაც პურის ფული არ აქვს და ოჯახის გადასარჩენად გოლგოთის გზას ადგება, პროცენტიანი ვალის აღება უწევს. აქ მრავლად არიან ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც ფულის გასესხებით და მიღებული პროცენტებით მდიდრდებიან. ასე რომ, ფულის შოვნა რთული არ არის, საქმე მისი გასტუმრებაა, დიდი პროცენტის გამო, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს სხვა რა გზა აქვთ?! არ დავასახელებ სახელებსა და გვარებს, მაგრამ ყველაფერს მართალს ვამბობ და არა ჭორის დონეზე. ზოგი კი არა, უმრავლესობა მევახშედაა ქცეული. რატომ არავის უჩნდება კითხვა — უცხოეთში მცხოვრებ ადამიანს, რომელსაც ხელფასი თუნდაც 800 ევრო აქვს, როგორ შეუძლია ამდენი რამის შეძენა?

მეც ქართველი მევახშისგან ვისესხე 3500 დოლარი და ასე მოვექეცი მის კლანჭებში. ბერძენმა უთბილესმა ქალბატონმა, კატერინამ, 6 შვილის დედამ, დახმარების ხელი გამომიწოდა და 3000 ევრო მომცა. მეც გავანაწილე — ვიფიქრე, ვისი ვალიც 3000 მქონდა, იმას 2000-ს მივცემ და 1000 სხვა მევალეებს გავუნაწილებ-მეთქი. მაგრამ, როდესაც დავურეკე მევალე ქართველს, 2000-ს მოგიტან-მეთქი, ტელეფონში ყვირილი ატეხა, — მე რა, 2000 მოგეციო?

**— ამბობენ, რომ უცხოეთში მყოფი ზოგი ქართველი გაჭირვებულ თანამოძმეებს სამსახურის შოვნის საფასურად თანხას სთხოვს...**

**— მე არასდროს მიშოვნია სამსახური ფულით, მაგრამ საბერძნეთში მცხოვრები ქართველების უმრავლესობა სწორედ ასე იქცევა: ვინმე ბერძენი ნაცნობ ქართველს ეტყვის, მაპოვნინე ვინმეო. ქართველი კი თავის ახლობელს ეუბნება, გიშოვე სამსახური და სანაცვლოდ 200 ან 300 ევრო უნდა გადამიხადოო...**

**— როგორი ურთიერთობა გაქვთ საბერძნეთში მცხოვრებ ქართველებს ერთმანეთთან?**

**— აქ პატივისცემა ისაა, ფულს პროცენტით რომ გასესხებენ. სიცოცხლეში არავის მიაქვს შენი გასაჭირი გულთან, მაგრამ, თუ ვინმე გარდაიცვალა, შეიქნება ერთი ამბავი — არა ჩვენ გადავასვენებთ და არა ჩვენი...** მერთაც შემეძლო, ქუჩაში გამვლელ-გამომვლელსაც კი დავხმარებივარ, მაგრამ წლების შემდეგ მივხვდი, რომ უკეთესია, შენთვის იყო. ყველა გამოყენებაზეა, ვერ დავინახე, სხვისი ტკივილი ვინმეს ადარდებდეს.

ბერძნებთან ურთიერთობაში უფრო გამიმართლა. გარკვეულ ხანს პედაგოგების ოჯახში ვმუშაობდი, მათ ჩვენი ქვეყნის შესახებ საკმაოდ ბევრი რამ იცოდნენ. დღესაც კარგი ურთიერთობა მაქვს ბევრთან. რა თქმა უნდა, არსებობენ ნერვების მომშლელებიც და შენი შრომის არდამფასებლებიც, მაგრამ საქმე ის არის, აიტან თუ ვერა.

კიდევ ერთ ამბავს გიამბობთ: რადგან მევახშეებს ვერ ვუმკლავდებოდი, ჩემმა გოგონამ მომწერა, იქნებ მეც წამიყვანო, ვიმუშავებ და დაგეხმარებიო. დიდი ფიქრის შემდეგ ასეც გადავწყვიტე. **გავიცანი საბერძნეთში მცხოვრები ქართველი, რომელსაც 3500 ევროს საფასურად ვიზით უნდა ჩამოეყვანა ჩემი შვილი, მაგრამ მომატყუეს და ეს ყველაფერი 9500 ევრო დამიჯდა. ბავშვი, ათენში ჩამოყვანის ნაცვლად, 3 ქალთან ერთად თურქეთში დამიტოვეს და ხომ უნდა მეშველა? დატრიალდნენ ნაცნობი მევახშეები და ჩამოვიყვანეთ ჩემი ნინიკო, ფული კი ქარმა წაიღო... დაიწყო ნინიკომ მუშაობა, 16 წლის გოგონა ვაჟკაცურად ამომიდგა მხარში, მაგრამ უსაბუთობის გამო დედა-შვილი ციხეში მოვხვდით. ისევ ბერძენი ოჯახი დაგვეხმარა — კატერინა, 6 შვილის დედა, გვაკითხავდა და დარბოდა ადვოკატებთან ერთად, დიახ, 6 შვილის დედა. რომ გავეთავისუფლებინეთ და ქვეყნიდან არ გავეძევებინეთ, საჭირო შეიქნა 2000 ევროს გადახდა. და ვინ გადაიხადა? — ვისთანაც ადრე ვმუშაობდი, ლიკუდი პიგის ოჯახმა. ისევ ბერძნები დამეხმარნენ.** თაღლითი **ინგა ონიანი** ჩემი გოგონას ჩამოყვანისთვის მესამედ რომ მაგზავნინებდა ფულს, 500 ევრო მაკლდებოდა. სასოწარკვეთილი სახლში რომ მივედი, ჩემი ბინის მეპატრონე ბერძენმა, რომელთანაც ქირით ვცხოვრობდი, დამირეკა, კარის ქვემოთ კონვერტი დავდე და ნახეო. კონვერტში 500 ევრო იდო. დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ...

ამის შემდეგ დაიწყო ჩემმა შვილმა, 16 წლის ნინიკომ, 12 წლის პოლინასთან მუშაობა, რომელიც გონებრივად შეზღუდული ბავშვია. ისე შეიყვარა მისმა დედამ ნინიკო, რომ რეკომენდაციაც გაუწია და კოლეჯში პედაგოგიურზე მოაწყო.

**— როგორი პირობები უნდა იყოს საქართველოში, დაბრუნება რომ გადაწყვიტოთ?**

— 2 წლის წინათ დავბრუნდი საქართველოში. ახლობლის დახმარებით ოპერაცია გავიკეთე, მისახვედრია, ეკონომიკურად როგორ ვიყავი. შემდეგ ისევ საბერძნეთში წამოვედი და კვლავ შემართებით განვაგრძე მუშაობა.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, **ნებისმიერ დროში მთავრობას ადანაშაულებდნენ, მაგრამ პასუხს არ აგებდა, ვინც ეს მთავრობა მოიყვანა ქვეყნის სათავეში. აი, ესაა მიზეზი იმისა, ასეთ დღეში რომ ვართ. მაგრამ აქ არც სააკაშვილს და არც ივანიშვილს გამოუშვია ვინმე, ერთმანეთს პროცენტიანი ვალებით ამოჰხადეთ სულიო. ხელისუფლების დაუხმარებლად გამანადგურეს ქართველებმა.** გული მწყდება, რომ უბრალო ადამიანები გადაეკიდნენ ერთმანეთს. თუ რამეს იტყვი, ან ქოცი ხარ, ან ნაცი. ვინ მოიგონა ეს სიტყვები, არ ვიცი. უკეთესი იქნებოდა, ჩვენ, ემიგრანტებს, ქვეყნის დესპანობაც და ადამიანობაც უკეთესად გაგვეწია. მგონი, მთავრობასაც იქით მოვუვლიდით მაშინ. ყველაფერი სხვას უნდა დავაბრალოთ — ეს ქართული წესია. ულრმესი მადლობა ბერძენ ერს. არ ვნანობ, აქ რომ წამოვედი, მით უმეტეს, სახლები არ შემიძენია, რაც მქონდა, ისიც გავყიდე. მადლობელი ვარ უფლისა და კეთილი ადამიანების!

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ჩემი რჩევაა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლისადმი, ახსოვდეთ დეპუტატთა ვადამდე გაწვევის უფლება, თვალყური ადევნონ დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა ვალდებულია, დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევაა, გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი“.**

# სტალინი და საარჩევნო სისტემა,
## ანუ არის თუ არა არჩევნები ყველა უბედურებისა და გაუგებრობის სათავე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-11 (339-340)

**თავის გადაწყვეტილებაში, ჩატარებულიყო საყოველთაო, ფარული და პირდაპირი არჩევნები, სტალინი სრულიად დარწმუნებული იყო და მას ქვეყნის განვითარების ერთადერთ სწორ გზად მიიჩნევდა. ის ამბობდა:**

„საქმე ეხება არა იმას, რომ ჩვენ გვექნება საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები, თუმცა ამას თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ საქმე ეხება იმას, რომ საყოველთაო არჩევნები ჩატარდება როგორც ყველაზე თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნის არჩევნებთან შედარებით. საყოველთაო არჩევნები ტარდება ზოგიერთ კაპიტალისტურ, ეგრეთ წოდებულ დემოკრატიულ ქვეყანაშიც, მაგრამ რა ვითარებაში ტარდება იქ არჩევნები? კლასობრივი შეტაკებების ვითარებაში, კლასობრივი შუღლის ვითარებაში, კაპიტალისტების, მემამულეების, ბანკირებისა და კაპიტალიზმის სხვა სვავების მხრიდან ამომრჩეველზე ზეგავლენის ვითარებაში. ასეთ არჩევნებს, საყოველთაო თანასწორი, ფარული და პირდაპირი რომც იყოს, არ შეიძლება ეწოდოს სრულიად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები. მინდა მოგცეთ რჩევა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლისადმი. თუ ავიღებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, იქ დეპუტატებსა და ამომრჩეველს შორის არსებობს თავისებური, მე ვიტყოდი, საკმაოდ უცნაური ურთიერთობა. **ვიდრე არჩევნები მიმდინარეობს, დეპუტატები ელაციცებიან ამომრჩევლებს, ელაქუცებიან მათ, ეფიცებიან ერთგულებას, აძლევენ ათასგვარ დაპირებას. გამოდის, რომ დეპუტატები დამოკიდებული არიან ამომრჩეველზე. როგორც კი არჩევნები ჩატარდება და კანდიდატები დეპუტატებად გადაიქცევიან, — ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლება. ამომრჩეველზე დეპუტატების დამოკიდებულების ნაცვლად იწყება მათი სრული დამოუკიდებლობა.** ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში, ესე იგი, ახალ არჩევნებამდე, დეპუტატი არის სრულიად თავისუფალი. ხალხისაგან, თავისი ამომრჩევლისაგან დამოუკიდებელი. მას შეუძლია გადავიდეს ერთი ბანაკიდან მეორეში, შეუძლია გადაუხვიოს სწორი გზიდან, შეუძლია გაებას არასაკადრისი ხასიათის მაქინაციაშიც კი, მას შეუძლია ყირაზე გადავიდეს, როგორც ნებავს — იგი დამოუკიდებელია. **დეპუტატმა უნდა იცოდეს, რომ იგი არის ხალხის მსახური, მის მიერ წარდგენილი უმაღლეს საბჭოში და იგი უნდა გაჰყვეს იმ ხაზს, რომელიც ხალხმა დაუწესა.** თუ გზას გადაუხვია, ამომრჩეველს უფლება უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს ახალი არჩევნების დანიშვნა და ის დეპუტატი, რომელმაც გზას გადაუხვია, ყორანივით გააშავოს. ეს შესანიშნავი კანონია. **ჩემი რჩევაა, დეპუტატობის კანდიდატის რჩევა თავისი ამომრჩევლისადმი, ახსოვდეთ დეპუტატთა ვადამდე გაწვევის უფლება, თვალყური ადევნონ დეპუტატებს, კონტროლი გაუწიონ მათ და, თუ ისინი განიზრახავენ სწორი გზიდან გადახვევას, თავიდან მოიშორონ, მოითხოვონ ახალი არჩევნების დანიშვნა. მთავრობა ვალდებულია, დანიშნოს ახალი არჩევნები. ჩემი რჩევაა, გახსოვდეთ ეს კანონი და გამოიყენოთ იგი“.**

**სტალინური არჩევნების შედეგად ხელისუფლება ხალხის კონტროლქვეშ მოექცეოდა და თავიდან იქნებოდა აცილებული სახელისუფლო ბიუროკრატიის გახრწნისა და გადაგვარების მოსალოდნელი საფრთხე. ამიტომ იყო, რომ ძველი გვარდია, რომელიც ფეხს ვერ უწყობდა ახალ ცხოვრებას, არჩევნების გზით უნდა ჩამოცილებულიყო ხელისუფლებას და არა რეპრესიებით. სწორედ ამიტომ დაატრიალეს ტროცკისტებმა სისხლიანი კალო ქვეყანაში და დაბეჭდილი ბიულეტინები, რომლებშიც რამდენიმე კანდიდატი იყო დასახელებული ასარჩევთა შორის, მყისიერად შეიცვალა.** სტალინი იძულებული შეიქნა, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერთიანობა და მდგრადობა განემტკიცებინა და შემდეგ მიეხედა დემოკრატიისთვის. სტალინი დარწმუნდა, რომ წინასაარჩევნოდ მას არც ერთიანი გუნდი ჰყავდა ხელისუფლებაში და არც უმრავლესობა. ასეთ რთულ ვითარებაში სტალინი და **ვიაჩესლავ მოლოტოვი,** პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, პირადად შევიდნენ სარჩევნო საკითხების შემმუშავებელ კომისიაში დემოკრატიული არჩევნების ლობირებისთვის. მაგრამ პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე, რომელსაც 9-ვე წევრი ესწრებოდა, არჩევნების რეფორმის საკითხს მხოლოდ **სტალინმა, ანდრია ჟდანოვმა, ანდრია ანდრეევმა** და **მიხეილ კალინინმა** დაუჭირეს მხარი. როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, **კლიმენტი ვოროშილოვმა, ლაზარ კაგანოვიჩმა, ანასტას მიქოიანმა, სტანისლავ კოსიორმა** და **ვლას ჩუბარმა** ხმა სტალინის წინააღმდეგ მისცეს, შედეგად პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც გამორიცხა დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, რადგან საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები და მდივნები პარტიული ორგანოების მიერ უნდა ყოფილიყვნენ შერჩეულნი. არადა, როგორც სტალინის ზემოთ ნათქვამიდან იყო ცნობილი, საარჩევნო კომისიები პარტიულ კონტროლს არ უნდა დამორჩილებოდნენ.




**სტალინური არჩევნების შედეგად ხელისუფლება ხალხის კონტროლქვეშ მოექცეოდა და თავიდან იქნებოდა აცილებული სახელისუფლო ბიუროკრატიის გახრწნისა და გადაგვარების მოსალოდნელი საფრთხე. ამიტომ იყო, რომ ძველი გვარდია, რომელიც ფეხს ვერ უწყობდა ახალ ცხოვრებას, არჩევნების გზით უნდა ჩამოცილებულიყო ხელისუფლებას და არა რეპრესიებით. სწორედ ამიტომ დაატრიალეს ტროცკისტებმა სისხლიანი კალო ქვეყანაში და დაბეჭდილი ბიულეტინები, რომლებშიც რამდენიმე კანდიდატი იყო დასახელებული ასარჩევთა შორის, მყისიერად შეიცვალა**

**რეპრესიების ტალღამ მთელ ქვეყანას გადაუარა. არჩევნების ჩატარების თარიღამდე, 15 დეკემბრამდე, რეპრესიები შეეხო სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს, ალტერნატიული საარჩევნო სისტემის ავტორებსა და ხელმძღვანელებს. ეს არ იყო ანტირეფორმისტების უბრალო გაბრძოლება, ეს იყო გადამწყვეტი შეტევა სტალინზე და სტალინურ პოზიციებზე. სტალინმა ნათლად დაინახა ტრაგედიის მოახლოება. განსაზღვრა, რომ არ უნდა აჰყოლოდა ანტირეფორმატორთა გამოწვევას და ეფიქრა სახელმწიფოებრივად.**

**ნიკიტა ხრუშოვმა მოითხოვა, 41 500 კაცით გასაზღვრულიყო რეპრესირებულთა ლიმიტი, რობერტ ეიხე 10 800 კაცს დასჯერდა, ნიკოლაი ეჟოვმა საქართველოს 3000 კაცის რეპრესირება განუსაზღვრა.**

გარეშე და შინაური მტრებით გარშემორტყმული სტალინი დინჯი ნაბიჯით მი-მოდიოდა თავის კაბინეტში და ქვეყნის გადარჩენის გზებს ეძებდა. მან კარგად იცოდა, რომ სისხლმოწყურებულ „ძველ გვარდიას“ მხოლოდ სისხლი შეაჩერებდა...

1937 წლის ბოლოს სისხლის კალო უკვე გალეწილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ, საუბედუროდ, უამრავი სისხლი დაკარგა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბევრის სისხლი სამართლიანად დაიღვარა.

ამ გამოუცხადებელი სამოქალაქო ომის შედეგები 1938 წლის პარტიის იანვრის პლენუმზე შეაჯამეს. სიტყვით **გიორგი მალენკოვი** გამოვიდა, რომელმაც ფარდა აჰხადა ძველი გვარდიის სისხლიან ანგარიშსწორებას და მოუწოდა, გამოეძიათ მათი საქმეები, ვინც ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ქვეყანაში პოლიტიკურ ტერორს ახორციელებდა. სწორედ მათ შეუშალეს ხელი სტალინს, რომ რეფორმების გატარებით ქვეყანაში დემოკრატია და ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლება ჩამოყალიბებულიყო.

**ანტირეფორმისტულმა ძალებმა თვითონვე დაუგეს თავიანთ თავს მახე და თვითონვე გაებნენ ამ მახეში. სტლინმა პარტიული ფუნქციონერების მიერ ჩადენილი დანაშაულები მათივე დასაპატიმრებლად გამოიყენა.**

თვალი გადავავლოთ იმ ღონისძიებებს, რომლებიც სტალინმა გააანალიზა და შემდგომ ცხოვრებაში გაატარა:

* 1938 წლის 17 ნოემბერს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად შინსახკომსა და პროკურატურას აეკრძალათ მასობრივი დაპატიმრებები და დასაპატიმრებელთა ლიმიტების დაწესება. გაიცა მითითება, რომ დაპატიმრება მომხდარიყო მხოლოდ კონსტიტუციის მიხედვით პროკურორის სანქციისა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

* 1938 წლის 23 ნოემბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ნიკოლაი ეჟოვი დაიბარეს სტალინის კაბინეტში, სადაც, აგრეთვე, იმყოფებოდნენ მოლოტოვი და ვოროშილოვი. ეჟოვმა აღიარა სახელმწიფო დონეზე უკანონობის დამკვიდრება და ის გადაყენებული იქნა თანამდებობიდან. ჯერ გადაიყვანეს საწყლოსნო ტრანსპორტის კომისრად, ხოლო 1939 წლის აპრილში დააპატიმრეს და 1940 წლის თებერვალში სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრიტეს.

**იმ პერიოდის უკანონობას ხალხი უწოდებდა ეჟოვშჩინას, რაც მოგვიანებით, ხრუშჩოვის მიერ სტალინის მიმართ ანტისახელმწიფოებრივ-მოღალატური ბრალდებების შედეგად, რომელიც, როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევებით ირკვევა, დასავლეთის სახელისუფლო წრეებთან იყო შეთანხმებული, სტალინიზმად მონათლეს.**

ეჟოვთან ერთად დახვრიტეს შინსახკომის ხელმძღვანელობის თითქმის მთელი შემადგენლობა, რომელთა კისერზეც იყო 1937-38 წლების რეპრესიები. ეჟოვის ადგილზე დანიშნულმა ბერიამ 1939 წელს თანამდებობრივი დანაშაულის ბრალდებით კომისარიატიდან გაათავისუფლა 7372 ადამიანი (საერთო რაოდენობის 23%), ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობდა 6195 ადამიანი, გაათავისუფლეს 3830, ანუ 62%, ცენ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეპრესიების ტალღამ მთელ ქვეყანას გადაუარა. არჩევნების ჩატარების თარიღამდე, 15 დეკემბრამდე, რეპრესიები შეეხო სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს, ალტერნატიული საარჩევნო სისტემის ავტორებსა და ხელმძღვანელებს. ეს არ იყო ანტირეფორმისტების უბრალო გაბრძოლება, ეს იყო გადამწყვეტი შეტევა სტალინზე და სტალინურ პოზიციებზე. სტალინმა ნათლად დაინახა ტრაგედიის მოახლოება. განსაზღვრა, რომ არ უნდა აჰყოლოდა ანტირეფორმატორთა გამოწვევას და ეფიქრა სახელმწიფოებრივად.**

◀ტრალური აპარატიდან დაითხოვეს 695 ადამიანი. იმავე 1939 წელს მიიღეს 14 506 ახალი თანამშრომელი, მათ შორის 45% იყო ახალი ოპერატიული მუშაკი.

სხვათა შორის, **ბერიამ საქართველოდან რუსეთში გადაიყვანა და მაღალ თანამდებობებზე დანიშნა ბოგდან ქობულოვი, ვლადიმერ დეკანოზოვი, ლავრენტი ცანავა, სერგო გოგლიძე და სხვები, რომლებიც საბჭოეთის დემოკრატიზაციის პიონერად წარმოჩენილმა ხრუშჩოვმა, ბერიას ლიკვიდაციის პარალელურად დახვრიტა, როგორც მისი ერთგული თანამშრომლები.**

მხოლოდ 1939 წელს ბანაკებიდან გაათავისუფლეს 223 600 პატიმარი, ხოლო კოლონიებიდან — 103 800. ამ პერიოდს „ბერიას დათბობას“ უწოდებდნენ, რაც შემდგომ ხრუშჩოვმა დაიბრალა თავის თავზე. ეს პროცესი გაგრძელდა 1940-41 წლებშიც.

**ბერიას მმართველობისას, 1939 წელს, კონტრევოლუციური საქმიანობისთვის ბრალი დაედო 63 889 ადამიანს, მათგან 24 720-ს — ანტისახელმწიფოებრივი აგიტაციისთვის, მათგან 25 წელი მიუსაჯეს 526 ადამიანს, 11-დან 15 წელი — 883-ს, 6-დან 10 წელი — 23 723-ს, 3-დან 5 წელი — 29 737 ადამიანს, დახვრეტა მიუსაჯეს 2 552 ადამიანს, ხოლო 1940 წელს — 1649 ადამიანს.**

ეს მონაცემები იმიტომ მოგვყავს, რომ გასაგები გახდეს, რა მასშტაბით მცირდებოდა ბრალდებულთა რაოდენობა 1937-38 წლებთან შედარებით, რაც კაციჭამია ხელისუფლებისთვის, როგორსაც ლიბერალისტური იდეოლოგია სტალინის მმართველობას ხატავს, სრულიად ულოგიკო მოვლენაა.

რეპრესირებულთა ზუსტი რაოდენობის შესახებ შესანიშნავი გამოკვლევები აქვს დაწერილი ისტორიკოს **ვიქტორ ზემსკოვს**, რომელიც 7 წელიწადი თავაუღებლად მუშაობდა გასაიდუმლოებულ არქივებში.

**ვიქტორ ზემსკოვმა საბჭოთა ისტორიოგრაფიის გამყალბებელთა მოსყიდული არმია წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე ამხილა ურცხვ სიცრუეში, რომ თითქოს სტალინი იყო მსოფლიო ისტორიაში სისასტიკით გამორჩეული ჯალათი და დამნაშავე პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც შექმნა ადამიანების მასობრივად გამანადგურებელი დანაშაულებრივი სისტემა. ისტორიის ეს გამყალბებლები მცდელობას არ აკლებენ, რომ სტალინის მმართველობა, ფაშისტური მმართველობის მსგავსად, საერთაშორისო ტრიბუნალის სამსჯავროს გადასცენ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის.**

მანამდე კი სიმართლედ ასაღებდნენ **ალექსანდრე სოლჟენიცინის** მსგავსი თაღლითების ზღაპრებს, რომ სტალინის ეპოქამ თითქოს ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თვითონ სოლჟენიცინი მეორე მსოფლიო ომის წლებში კონტრდაზვერვის ოფიცრებმა დაიჭირეს ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის და სამშობლოს ღალატის ბრალდებით ბანაკში გამოამწყვდიეს, ხრუშჩოვის პერიოდში რეაბილიტირებული იქნა, მაგრამ შემდგომ დასავლეთში გააძევეს, 1970-80-იან წლებში კი ანტისაბჭოთა სიყალბეების წერისთვის ნობელის პრემია მიაკუთვნეს. სოლჟენიცინის სიძულვილი ისე დიდი იყო საკუთარი სამშობლოს მიმართ, რომ დასავლეთს მოუწოდებდა, ატომური ბომბები ჩამოეყარათ რუსეთის მოსასპობად. სოლჟენიცინის რეალური სახის აღქმის შემდგომ პატრიოტი რუსების დიდი ნაწილი მას რუსეთის მოღალატედ თვლის.




**სიცრუეს ემსახურება დისიდენტურ მოძრაობას მიტმასნილი რუსი მწერალი როი მედვედევიც, რომელიც, სხვათა შორის, თბილისშია დაბადებული. მისი ფანტაზიები იმდენად უსაზღვროა, რომ უაპელაციოდ ამტკიცებდა, სტალინის ეპოქამ 40 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირაო, მაგრამ შემდგომში იძულებული შეიქნა, შეცდომა ეღიარებინა.**

ამერიკელი ავტორებიც არ იხევენ უკან სიყალბის გავრცელებაში. მაგალითად**, სტივენ კოენი 1968 წელს რობერტ კონკვესტის მიერ გამოცემულ წიგნზე („დიდი ტერორი“) დაყრდნობით წერს, რომ 1939 წლის ბოლოს საბჭოთა ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში 9 მილიონი პატიმარი იხდიდა სასჯელს.**

ზემსკოვის მიერ მოძიებული ზუსტი გათვლების საფუძველზე კი რეალობა ასეთია: 1940 წლის იანვარში ბანაკებში იმყოფებოდა 1 მილიონ 334 408 პატიმარი, კოლონიებში — 315 584 და ციხეებში — 190 266 პატიმარი. სულ მათი რაოდენობა შეადგენდა 1 850 258 პატიმარს, რაც 5-ჯერ ნაკლებია იმ მონაცემებზე, რომლებზეც ეს ამერიკელი მკვლევარები ლაპარაკობენ.

**ცნობისთვის: იყო პერიოდები, როცა აშშ-ის საპატიმროებში სამიდან ოთხ მილიონამდე ადამიანი იხდიდა სასჯელს. ამერიკა ახლაც ლიდერია პატიმრების რაოდენობით — ამჟამად დემოკრატიის ციტადელად სახელდებული ამერიკის ციხეებში 2,2 ადამიანი იხდის სასჯელს — ეს რაოდენობა პლანეტის ყველა პატიმრის 25 პროცენტია(!).**

სტალინს ერთ-ერთ ბრალდებად უყენებენ გადასახლებული ხალხების ტრანსპორტირებისას მასობრივ სიკვდილს. მაგალითად, **ერთი ცნობილი ყალბისმქნელის — მანსუროვის ანგარიშით, ყირიმიდან გაასახლეს 194,1 ათასი ყირიმელი თათარი, ბერძენი, სომეხი და სხვ., მაგრამ 1944 წლის 1 ივლისს დანიშნულების ადგილზე — უზბეკეთში მხოლოდ 151 424 ადამიანი ჩავიდა, დანარჩენმა ცოცხალმა ვერ ჩააღწია მგზავრობისას არაადამიანური პირობების გამოო. საარქივო დოკუმენტაციით უკვე უდავოა, რომ 42 ათასი ადამიანი სხვა რეგიონებში გაანაწილეს, რის შედეგადაც 193,8 ათასი კაცი დაგეგმილ ადგილას ჩაიყვანეს და გზაში მხოლოდ გადასახლებულთა 0,1 პროცენტი დაიღუპა.**

სტალინის ეპოქის კრიტიკოსები განგაშს ტეხენ სტალინის ეპოქის დროინდელი შრომითი ბანაკების, ე.წ. გულაგის შესახებ. არავინ უარყოფს, რომ „გულაგი“ არსებობდა და დამნაშავეთა მთელი არმია სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა, რაც საბჭოეთის ეკონომიკურ გაძლიერებას უწყობდა ხელს, თუმცა საბჭოთა ეკონომიკის მასშტაბურ მშენებლობაში წილობრივად ის გადამწყვეტი მნიშვნელობისა ნამდვილად არ იყო.

ამასთანავე, თუ პატიმრების იძულებითი მუშაობა მკრეხელობად მიაჩნიათ დასავლური დემოკრატიის აპოლოგეტებს, მაშინ საინტერესოა, რატომ ხუჭავენ თვალს ამერიკის ისტორიის იმ ეპიზოდზე, როცა ზუსტად კოლექტივიზაციის პერიოდში, 1929-33 წელს, ამერიკის ეკონომიკური კრიზისის — „დიდი დეპრესიის“ — წლებში მილიონობით ამერიკელი ფერმერი გაკოტრდა და კრედიტებისა და გადასახადების გადაუხდელობის გამო ბანკებისა და სახელმწიფოს მიერ განდევნილნი იქნენ თავიანთი მიწებიდან.

ამერიკის იმჟამინდელი დემოგრაფიული დანაკლისი 7 მლნ ადამიანს შეადგენდა, რომელთა ნაწილი შიმშილით დაიღუპა. ამერიკის მთავრობამ ეს გაღატაკებული ხალხი შრომით ბანაკებში გადაანაწილა. ეს ოპერაცია „დიფარლინგ“-ის სახელით არის ცნობილი. ისინი ჩააბეს საზოგადოებრივ სამუშაოებში და 3 მილიონ ადამიანს პატიმრებთან ერთად ამუშავებდნენ გზების, ხიდების, რკინიგზისა და სხვა ინფრასტრუქტურულ მშენებლობაზე. თითოეული მუშის ანაზღაურება თვეში შეადგენდა 30 დოლარს, მაგრამ 25 დოლარს საშემოსავლოს უკავებდნენ და მხოლოდ 5 დოლარს აძლევდნენ, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ.

ამ იდეის ავტორი იყო **ჰაროლდ იკესი,** აშშ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც 1930-იან წლებში ფინანსური კრიზისიდან სახელმწიფოს გამოყვანის კომისიის ხელმძღვანელი გახლდათ. იკესის შრომით ბანაკებში 2 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა და თითქმის მონასავით შრომობდა. ბევრს, ვისთვისაც ამ ბანაკებში ადგილი არ მოიძებნა, პირდაპირ ქუჩაში ეძინა. ასე რომ, ამერიკასაც ჰქონდა შრომითი ბანაკები, მაგრამ ამის შესახებ ხმას არ იღებენ, სხვას კი უკიჟინებენ ანალოგიური ქმედებისთვის.

ხრუშჩოვისა და მის მიერ წახალისებული შოვინიზმით გაჟღენთილი ავტორების სტალინის მიმართ კიდევ ერთი შეთითხნილი ცინიკური ბრალდებაა ჰიტლერულ გერმანიასთან ომის წინ საბჭოთა არმიის გენერალიტეტისა და ოფიცრების მიმართ რეპრესიები, რომელთა შედეგადაც თითქოს პროფესიონალი სამხედროების გარეშე დარჩა შეიარაღებული ძალები. ამ ავტორებისგან გამოირჩევა **გენერალი ვოლკოგონოვი**, რომელსაც ბოლო ხანს მხარი აუბა რუსეთის დუმის წევრმა **ჟირინოვსკიმ.**

ეს ვაიისტორიკოსები ამბობენ, რომ 1937 წლის მაისიდან 1939 წლის სექტემბრამდე საბჭოთა არმიაში რეპრესირებული იქნა 40 ათასი სამეთაურო კადრი. ამ განცხადებას ამყარებენ სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსის, 1940 წლის 5 მაისს გენერალ-ლეიტენანტ **შჩადენკოს** მიერ სტალინისადმი წარდგენილი ანგარიშით. **არადა, ამ ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ 1937-39 წლებში არმიიდან გათავისუფლებული იქნა 36 898 მეთაური, მათგან 1937 წელს — 18 658 (13,1% საერთო სამეთაურო და პოლიტიკური შემადგენლობიდან), 1938 წელს გაათავისუფლეს 16 362 ადამიანი (შემადგენლობის 9,2%), ხოლო 1940 წელს — 1878 (0,7%).**

**გათავისუფლების მოტივები იყო: 1) ასაკი; 2) ჯანმრთელობის მდგომარეობა; 3)დისციპლინარული დარღვევები; 4) მორალური არამდგრადობა; 5)პოლიტიკური მოტივების გამო გაათავისუფლეს 19 106 კაცი (მათგან საჩივრის განხილვის შემდეგ 9 247 აღადგინეს სამსახურში 1938-39 წლებში), 6) დაპატიმრებული, ანუ რეპრესირებული იქნა 9 579 ადამიანი, მაგრამ მათგან 1457 გაამართლეს და აღადგინეს სამსახურში 1938-39 წლებში.**

ამრიგად, დაპატიმრებული ოფიცრების რაოდენობა შეადგენდა 8122 კაცს, რაც იყო 1939 წლის სამხედრო მეთაურთა შემადგენლობის მხოლოდ 3%. მათგან დახვრეტა მიუსაჯეს 70 კაცს, ხოლო დახვრიტეს 17, მათგან 3 მარშალი: **მიხეილ ტუხაჩევსკი** — ტროცკისტული სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორი, **ალექსანდრე ეგოროვი** — ჯაშუშობის ბრალდებით და **ვასილი ბლიუხერი** — სამხედრო-ფაშისტური შეთქმულებისთვის, რის შედეგადაც ხასანის ტბასთან სამხედრო ოპერაციის ჩავარდნამ დიდი მსხვერპლი გამოიწვია.

**კიდევ ერთი ბრალდება, რომელსაც სტალინს უყენებენ, არის, რომ თითქოს მისი ბრძანებით ყველა ტყვედყოფილს ბანაკებში აგზავნიდნენ, როგორც მოღალატეებს. სინამდვილეში მათ ამოწმებდნენ საფილტრაციო ბანაკებში, რადგან ომის პირობებში მტრის აგენტურასთან ბრძოლა აუცილებელი იყო.** შედეგად, 1944 წლის 1 მარტისთვის, საფილტრაციო ბანაკები გაიარა 312 594 ტყვედყოფილმა, მათგან 75% დააბრუნეს არმიაში ან სახალხო მეურნეობაში, ან სამკურნალოდ გაუშვეს. 0,6% გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის გამო, რომელიც ნაცისტური მძიმე ტყვეობის მიზეზით იყო გამოწვეული. მხოლოდ 6,2 % დააპატიმრეს ან გაუშვეს საჯარიმო ბატალიონებში.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ე .წ. **გადამღობი ბატალიონების** შესახებ, რომლებიც თითქოს მასობრივად ხოცავდნენ უკანდახეულ საბჭოთა ჯარისკაცებს. 1941 წლის 10 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ შინსახკომის განსაკუთრებული ნაწილების მიერ დაკავებული იქნა 657 364 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც თავიანთ ნაწილებს ჩამორჩნენ ან ფრონტიდან გაიქცნენ. მათგან დააპატიმრეს 25 878 კაცი (4%), დანარჩენი ფრონტზე დააბრუნეს. სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, პანიკიორობის, დეზერტირობის, თვითდაზიანების, ღალატისა და ჯაშუშობისთვის დახვრიტეს 10 201 ადამიანი (დაკავებულთა 1.6%), მათგან სამხედრო მწყობრის წინ დახვრიტეს 3 321.

რაც შეეხება **საჯარიმო ბატალიონებს,** არიან ისეთი ცინიკოსებიც, რომლებიც ომის მოგებას საბჭოთა არმიაში საჯარიმო ბატალიონების დიდი რაოდენობით ხსნიან. სტატისტიკური მონაცემებით, ომის პერიოდში საჯარიმო ბატალიონებში გაიგზავნა 427 910 სამხედრო. ომის დროს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა 34 მილიონ 476, 7 ათასი ადამიანი. გამოდის, რომ საჯარიმო ბატალიონებში ჯარისკაცთა მხოლოდ 1, 24 % მოხვდა. ასე რომ, საერთო ჯამში მათი წვლილი ომის მოგებაში მეტად მოკრძალებულია.





ყურადღება!

ამა წლის 20 მარტიდან „ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1917 წლის დასაწყისში რუსეთი ემზადებოდა ოსმალეთის იმპერიის გვირგვინის ძვირფასი თვლების დასაუფლებლად, მათ შორის: კონსტანტინოპოლის, სრუტეების, სომხეთისა და ქურთეთის — ეს ყველაფერი გათვალისწინებული იყო საზონოვ-საიქს-პიკოს შეთანხმებით. შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ბათუმიდან ტრაბზონამდე რუსი ინჟინრები აგებდნენ სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც მომარაგების ბაზად უნდა ქცეულიყო რუსი ჯარისკაცების შეტევისას სივასსა და ანკარაზე. რადგან შავ ზღვას პრაქტიკულად რუსეთი აკონტროლებდა, ის ამზადებდა ბოსფორზე დარტყმას სამხედრო-საზღვაო დესანტის მეშვეობით, და ამ ოპერაციისთვის სპეციალურად შექმნილ ცარგრადის პოლკს უნდა ეხელმძღვანელა.**

# პუტინი რუსი მეფეების საქმეს განაგრძობს

## რუსეთი დაბრუნდა ახლო აღმოსავლეთში, საიდანაც სინამდვილეში არასოდეს წასულა

**საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახელმწიფოს“ აღმოცენებამ კარტოგრაფიული ბუმი გამოიწვია. ახლა, როდესაც სირიისა და ერაყის საზღვრები ნელ-ნელა იცვლება, ჟურნალისტებმა გაიხსენეს 1916 წლის მაისში ხელმოწერილი ე.წ. *საიქს-** პიკოს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა თითქოს ერთმანეთში გაიყვეს ოსმალეთის იმპერია. ამ თვალსაზრისით, სირიის კონფლიქტში რუსეთის ჩარევა, რომელმაც აშშ და მისი მოკავშირეები უკანა პლანზე გადასწია, არის დასტური იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთში დასავლეთის გავლენის ეპოქა დასრულდა. ამით რუსეთმა საიქს-პიკოს კუბოს ბოლო ლურსმანი ჩააჭედა.**



**1946 წელს სტალინი შეეცადა ყარსისა და არდაღანის დაბრუნებას, აგრეთვე, სრუტეების, და ამ ნაბიჯმა, საბერძნეთიდან, თურქეთიდან და პალესტინიდან ბრიტანელების გამოსვლასთან ერთად, გამოიწვია ტრუმენის დოქტრინის შექმნა**

სინამდვილეში არც ერთი სადავო პოსტოსმალური საზღვარი ახლო აღმოსავლეთში არ დადგენილა ისე, როგორც საიქს-პიკოს 1916 წლის შეთანხმებით იყო გათვალისწინებული: არც ყბადაღებული საზღვარი ერაყსა და ქუვეითს შორის, რომელიც 1990 წელს გადაკვეთა **სადამ ჰუსეინის** არმიამ; არც იორდანიიდან და სირიიდან პალესტინის გამმყოფი საზღვრები; არც 1948 წელს დადგენილი ძალიან სადავო და ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი საზღვარი პალესტინასა და ისრაელს შორის, არც, თუკი უფრო თანამედროვე მაგალითს მოვიშველიებთ, სირიისა და ერაყის გამყოფი საზღვარი.

ბოლო პერიოდის ყველაზე ნათელი მაგალითია ერაყის ქალაქი **მოსული,** რომლის დაპყრობის შემდეგ, 2014 წლის ივნისში, „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერმა **აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ** თავი ხალიფა იბრაჰიმად გამოაცხადა. არადა, მოსული, 1916 წლის შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთს ეკუთვნის. ჟურნალისტები კიდევ უფრო დიდ შეცდომას უშვებენ, როდესაც ოსმალეთის იმპერიის გაყოფის შეთანხმებას მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთისა და ბრიტანეთის ხელშეკრულებას უწოდებენ და უგულებელყოფენ როლს, რომელიც ამ გაყოფაში მეფის რუსეთის საგარეო მინისტრმა *** **სერგეი საზონოვმა** ითამაშა.

**საბოლოო პირობები შეთანხმებისა, რომელსაც უფრო ზუსტი იქნებოდა, საზონოვ-საიქს-პიკოს შეთანხმება ეწოდოს, 1916 წლის გაზაფხულზე რუსეთის იმჟამინდელ დედაქალაქ პეტროგრადში შეიმუშავეს რუსეთის მიერ ერზურუმში, ერზინჯანში, ბათუმსა და ტრაბზონში თურქეთის გამანადგურებელი დამარცხების ფონზე. ბრიტანელებმა კი დამამცირებელი მარცხი იწვნიეს გალიპოლის ნახევარკუნძულსა და ერაყში, სადაც მათი საექსპედიციო ჯარები ტყვედ ჩაბარდნენ.**

1916 წელს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის ხელში ჩაგდებამ რუსეთს, მისი ხარბი მოკავშირეებისაგან განსხვავებით, მოუტანა იმ ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდა, გარდა კონსტანტინოპოლისა (ამ ქალაქს რუსები ცარგრადს უწოდებენ) — ეს ქალაქი ჯერ კიდევ დასაპყრობი ჰქონდა.

**1917 წლის დასაწყისში რუსეთი ემზადებოდა ოსმალეთის იმპერიის გვირგვინის ძვირფასი თვლების დასაუფლებლად, მათ შორის, კონსტანტინოპოლის, სრუტეების, სომხეთისა და ქურთეთის — ეს ყველაფერი გათვალისწინებული იყო საზონოვ-საიქს-პიკოს შეთანხმებით. შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ბათუმიდან ტრაბზონამდე რუსი ინჟინრები აგებდნენ სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც მომარაგების ბაზად უნდა ქცეულიყო რუსი ჯარისკაცების შეტევისას სივასსა და ანკარაზე. რადგან შავ ზღვას პრაქტიკულად რუსეთი აკონტროლებდა, ის ამზადებდა ბოსფორზე დარტყმას სამხედრო-საზღვაო დესანტის მეშვეობით და ამ ოპერაციისთვის სპეციალურად შექმნილ ცარგრადის პოლკს უნდა ეხელმძღვანელა.**

დაინახა რა, როგორ ცდილობდნენ მოკავშირეები ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქის ხელში ჩაგდებას დარდანელის 1915 წლის სამხედრო კამპანიის დროს (იმხანად საზონოვმა პირველად განაცხადა რუსეთის სუვერენულ პრეტენზიებზე კონსტანტინოპოლისა და ბოსფორ-დარდანელის სრუტეების მიმართ), რუსეთი მოემზადა, ეს პრიზი თვითონ ჩაეგდო ხელში, როგორც კი ამის საშუალებას ამინდი მისცემდა, ანუ 1917 წლის ივლისში.

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის არმიასა და ფლოტში დაიწყო ამბოხება, რომელმაც შავი ზღვის ფლოტიც მოიცვა. კონსტანტინოპოლისა და ბოსფორ-დარდანელისთვის კი სწორედ ამ ფლოტს უნდა დაერტყა.

**ამ განსაცვიფრებელი დამთხვევის შესახებ ცოტამ თუ იცის, მაგრამ იმ დღეს, 1917 წლის 4 აპრილს, როდესაც დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა პავლე მილიუკოვმა პირველად განარისხა პეტროგარდის საბჭო და ბოლშევიკები, რადგან კატეგორიულად შეეწინააღმდეგა რუსეთის მხრიდან უარის თქმას ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებზე, ბოსფორს მიუახლოვდა რუსული ხომალდების დივიზია, მათ შორის, გემსაწინააღმდეგო და საბაზო კრეისერები, აგრეთვე, თვითმფრინავები, რომლებიც ჰაერიდან ზვერავდნენ კონსტანტინოპოლის სამხედრო ნაგებობებს.**

რუსებმა კონსტანტინოპოლის დაპყრობაზე უარი მხოლოდ მაშინ თქვეს, როდესაც ფლოტის მეთაურმა, ადმირალმა **კოლჩაკმა** თავისი დაშნა ხომალდის ბორტიდან გადააგდო. ეს მოხდა 21 ივნისს, ამბოხების მომენტში.

ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ რუსეთი ჩაიძირა სამოქალაქო ომში, რომელმაც ის გამოფიტა და გერმანიის გავლენის ქვეშ მოაქცია. 1918 წლის მარტში ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერით რუსეთმა უარი თქვა თავის პრეტენზიებზე სომხეთის, ქურთეთის, კონსტანტინოპოლისა და სრუტეების მიმართ, ამით მან ხაზი გადაუსვა საზონოვ-საიქს-პიკოს 1916 წლის შეთანხმებას. არენაზე კი გამოჩნდნენ ამ ტერიტორიებზე პრეტენზიის მქონე ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა იტალია და საბერძნეთი, რომ არაფერი ვთქვათ ადგილობრივ მოთამაშეებზე. ებრაელების, არაბებისა და სომხების რაზმები შეუერთდნენ ბრიტანელი გენერლის — **ალენბის** არმიას, რომელიც პალესტინასა და სირიას უტევდა. სწორედ ამ არმიამ, საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის საექსპედიციო ნაწილებთან ერთად, რომლებიც იქ ომის შემდეგ გაგზავნეს, აგრეთვე, მათთვის წინააღმდეგობის გასაწევად ანკარაში თავმოყრილმა თურქმა ნაციონალისტებმა, **მუსტაფა ქემალის** ხელმძღვანელობით, საბოლოოდ განსაზღვრეს პოსტოსმალური საზღვრები 1918-1922 წლებში, პატარა ომების სერიების შემდეგ.

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ 1918 წელს პრეტენზიებზე უარის თქმას ოსმალეთის ტერიტორიის ნაწილების ხელში ჩაგდების მოსურნე სხვა მოთამაშეები სიხარულით შეხვდნენ, რეგიონში დადებითი ცვლილებები არ დაწყებულა.**

1919 წელს, ისარგებლეს რა რუსეთის საოკუპაციო ჯარების არყოფნით, რომელსაც შეეძლო თვალყური ედევნებინა წესრიგისა და შეთანხმების პირობების შესრულებისთვის, მოკავშირეებმა აშშ-ს შესთავაზეს რუსეთის კუთვნილი ტერიტორიის წილი, მაგრამ სენატმა უარყო ვერსალის ხელშეკრულება და ამით შეთანხმებას ძალა გამოაცალა. მოკავშირეები დაეყრდნენ სუსტ შუამავლებს, ისეთებს, როგორიც იყვნენ იტალიელები, ადგილობრივი ბერძნები და სომხები. ამან კი მუსლიმების უკმაყოფილების ზრდა და თურქების წინააღმდეგობის მოძრაობის აზვირთება გამოიწვია ქემალის (მომავალი ათათურქი) მეთაურობით. სომხებს, ბერძნებსა და ქურთებს ისღა დარჩენოდათ, რომ ეწუწუნათ იმ ვაკუუმზე, რომელიც რუსული ჯარების წასვლით შეიქმნა. შედეგად ისინი გააფთრებული თურქების პირისპირ მარტონი აღმოჩნდნენ.

**საბჭოთა რუსეთი საკმაოდ მალე დაბრუნდა ახლო აღმოსავლეთში და ეს საკვანძო დიპლომატური პარტნიორის — მუსტაფა ქემალის მეშვეობით მოახერხა 1920-1922 წლებში.**

რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრეროგატივის შეხსენება იყო მომენტი, როცა ცივმა ომმა სიჩქარე აკრიფა:

**1946 წელს სტალინი შეეცადა ყარსისა და არდაღანის დაბრუნებას, აგრეთვე, სრუტეების, და ამ ნაბიჯმა, საბერძნეთიდან, თურქეთიდან და პალესტინიდან ბრიტანელების გამოსვლასთან ერთად, გამოიწვია ტრუმენის დოქტრინის შექმნა.**

1917-1918 წლების ისტორიის განმეორება იყო პერიოდი, როდესაც 1991 წელს საბჭოთა რეჟიმის კრახის შემდეგ მოსკოვმა ყურადღება გადაიტანა საშინაო პრობლემებზე და წავიდა ახლო აღმოსავლეთიდან. ამით მოსკოვმა დასაბამი დაუდო ამ რეგიონში აშშ-სა და დასავლეთის ჰეგემონიას. შედეგები ისეთივე სავალალო აღმოჩნდა, როგორც ახლო აღმოსავლეთისთვის ბრძოლა 1918-1922 წლებში. დაკნინებული და გაღარიბებული რუსეთი ვერ შეეწინააღმდეგა 1991 წლის ომს სპარსეთის ყურეში და, მრისხანე განცხადებების გარდა, ვერაფერი მოიმოქმედა 2003 წლის ერაყის ომის პერიოდში.

**პუტინის მმართველობის პერიოდში ძალების აღდგენამ და მორალური მდგომარეობის გაუმჯობესებამ რუსეთი მიიყვანა ახლო აღმოსავლეთში დაბრუნებამდე, საიდანაც სინამდვილეში არც არასოდეს წასულა.**

**ახლო აღმოსავლეთში რუსეთის დაბრუნებამ, სირიის კონფლიქტში მისი ჩარევის გამო თურქეთის დაუფარავ გულისწყრომასთან ერთად, აღადგინა ისტორიული მოდელი, რომელიც საიქს-პიკოს შეთანხმებაზე გაცილებით ძველია. ოსმალეთის იმპერია მრავალი ასწლეულის განმავლობაში იყო რუსი მეფეების იმპერიული ამბიციების რეალიზაციის არენა, და რუსები თურქების ყველაზე დაუძინებელი მტრები იყვნენ.**

მრავალი თვალსაზრისით 1853-1856 წლების ყირიმის ომი, რომელშიც დასავლეთის რამდენიმე სახელმწიფოც (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და პიემონტ-სარდინი) მონაწილეობდა და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ომს ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ამბიციების განხორციელების წინააღმდეგ, გაცილებით შესაფერისი ანალოგიაა სირიაში დღეს არსებული კრიზისისა, ვიდრე 1916 წლის ფსევდოისტორიული მითი. დროა, სანაგვე ყუთში მოვისროლოთ ლეგენდა საიქს-პიკოზე, სწორედ იქ არის მისი ადგილი.

**შონ მაკმიკინი,**
**ბარდ-კოლეჯის პროფესორი, ისტორიკოსი. ავტორი წიგნისა „ოსმალური ენდშპილი: ომი, რევოლუცია და თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ჩამოყალიბება. 1908-1923 წლებში“.**
**„ჩატემ ჰაუსი“, დიდი ბრიტანეთი**

*** მარკ საიქსი** (1879-1919) — ბრიტანელი მწერალი, პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელმაც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ხელი მოაწერა ე.წ. საიქს-პიკოს შეთანხმებას. არის პალესტინის დროშის შემქმნელი.

**** ფრანსუა ჟორჟ პიკო** (1870-1951) — ფრანგი დიპლომატი.

***** სერგეი საზონოვი** (1860-1927) — რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1910-1916 წლებში.

**ფრანგმა და ბელგიელმა პოლიტიკოსებმა, ისევე, როგორც მასმედიამ, აბდესლამის დაპატიმრების შედეგები ძალიან გააბუქეს. ორი ქვეყნის სპეცსამსახურებმაც ყურადღება სალაჰ აბდესლამზე გადაიტანეს, არადა, ის მხოლოდ შეუმდგარი თვითმკვლელია, რომელსაც „ისლამური სახელმწიფო“ სიკვდილით ემუქრება. მისგან კი ვარსკვლავი შექმნეს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ლოჯისტიკის ორგანიზებაში მონაწილეობდა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტერაქტები ბრიუსელში — შემოღლაწუნება საფრანგეთისა და ბელგიისთვის

**არაბული და, საერთოდ, ისლამური სამყაროს საკითხების ექსპერტი მატიე გიდერი ბრიუსელის ტერაქტებში „ისლამური სახელმწიფოს“ ხელწერას ხედავს.**



მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ადგილებზე კოორდინირებული დარტყმები ძალიან ჰგავს იმას, რაც მოხდა პარიზში. მოქმედების ისეთივე მანერა, როგორიც პარიზში იყო, ისეთივე მიზნები, ხელწერა. ადგილის დაზვერვა, ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადება, ავტომობილების არენდით აღება... გულდასმით მომზადებული ტერაქტი. მის განსახორციელებლად ამოქმედებული იყო მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური რესურსი, მაგრამ რეალიზებისთვის ბევრი ადამიანი საჭირო არ იყო. როგორც პარიზში, ბრიუსელშიც, სავარაუდოდ, 2-3-კაციანი ჯგუფი მოქმედებდა. ეს არის „ისლამური სახელმწიფოს“ საფირმო ნიშანი. ადრე ლოჯისტიკით დაკავებული იყო მცირერიცხოვანი ჯგუფი, ტერაქტში კი ბევრი ადამიანი მონაწილეობდა. „ისლამური სახელმწიფო“ თავის აქციებს დიდი ხნით ადრე ამზადებს და ამისათვის ბევრ აქტივისტს იყენებს.

**სალაჰ აბდესლამის** დაპატიმრებამ, რა თქმა უნდა, დააჩქარა კარგა ხნის წინათ დაგეგმილი ოპერაციის განხორციელება. გამორიცხული არ არის, რომ დაპატიმრება შეიძლება საწყისი წერტილიც იყო: „თუ დამაკავებენ, დაიწყეთ!“

ეს, პირველ რიგში, ცხვირში დარტყმა იყო საფრანგეთისა და ბელგიისთვის, რომლებიც აბდესლამის დაპატიმრების შემდეგ გაჰყვიროდნენ, — გავიმარჯვეთო.

**„ისლამური სახელმწიფოს“ გზავნილი ასეთია: „თქვენ დააპატიმრეთ მხოლოდ ხელის ბიჭი, ახლა ნახავთ, როგორ მუშაობენ ნამდვილი პროფესიონალები“.**

ნებისმიერ შემთხვევაში, **ფრანგმა და ბელგიელმა პოლიტიკოსებმა, ისევე როგორც მასმედიამ, აბდესლამის დაპატიმრების შედეგები ძალიან გააბუქეს. ორი ქვეყნის სპეცსამსახურებმაც ყურადღება სალაჰ აბდესლამზე გადაიტანეს, არადა, ის მხოლოდ შეუმდგარი თვითმკვლელია, რომელსაც „ისლამური სახელმწიფო“ სიკვდილით ემუქრება. მისგან კი ვარსკვლავი შექმნეს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ლოჯისტიკის ორგანიზებაში მონაწილეობდა. ამ ყველაფრის პარალელურად კი, უსაფრთხოების ზომების მიღების მიუხედავად, მზადდებოდა კოორდინირებული ტერორისტული აქტი.**

იყვნენ კი ეს ტერორისტები სალაჰ აბდესლამის გარემოცვიდან? ვფიქრობ, ბრიუსელში სხვა ჯგუფები აამოქმედეს. ეს „ბოევიკები“ კარგად შეიარაღებული და საომრად მომზადებული იყვნენ. ის, ვინც დაგეგმა ოპერაცია, ნამყოფია ერაყში. რაც შეეხება შემსრულებლებს, გამორიცხული არ არის, რომ მათგან რამდენიმე არასოდეს გასულა ბელგიისა და საფრანგეთის საზღვრებს გარეთ.

აფეთქებები მოაწყვეს აეროპორტში და ევროპის ინსტიტუციური ორგანოების სიახლოვეს. აეროპორტის აფეთქებით „ისლამური სახელმწიფო“ ცდილობს, კონკურენცია გაუწიოს „ალ ქაიდას“, აჩვენებს, რომ მას არათუ ჩამორჩება, არამედ სჯობნის კიდეც.

თავდასხმის ორგანიზატორებს, აგრეთვე, სურდათ, დაესაჯათ ბელგია საფრანგეთთან თანამშრომლობის გამო და ეს სიგნალი გაეგზავნათ სრულიად ევროპაში. ეს ისეთივე შეტყობინებაა, როგორიც იყო 2015 წლის ნოემბერში: „მოგვაყენეთ წერტილოვანი დარტყმები და დაგვბომბეთ, ჩვენ მაინც განვაგრძობთ ჩვენს საქმეს და მასობრივად მოვაწყობთ ტერაქტებს“.

არსებობს კი „ლონდონსტანის“ მსგავსი „ბრიუსელსტანი“? — სიმართლეა ის, რომ **ბელგია ჯიჰადიზმის ბაზად იქცა, როგორც ადრე ინგლისი. ალჟირელმა ისლამისტებმა დაკარგეს ლონდონში მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა, სადაც ისინი 1990-იან წლებში თავს აფარებდნენ მარაკოელ ძმებთან ერთად და ბრიუსელში გადასახლდნენ, სადაც 2000 წელს შექმნეს მცირერიცხოვანი თემები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში აყვავდნენ და გაძლიერდნენ.**

ბელგია კი თვალს ხუჭავდა და იმედოვნებდა, რომ ეს მაროკოელი ისლამისტები ქვეყანას საფრთხეს ვერ შეუქმნიდნენ, მაგრამ „შარლი ებდოზე“ თავდასხმის შემდეგ ვითარება შეიცვალა: საფრანგეთმა გააძლიერა წნეხი ბელგიაზე და მოითხოვა, წმენდა დაეწყო.

ახლა „ბრიუსელსტანი“, ალბათ, გაქრება, მაგრამ კვლავ აღმოცენდება სხვა ადგილზე, შესაძლოა, იტალიის სამხრეთში — ლიბიიდან წამოსული მიგრანტების გზის გასაყარზე, სადაც „ისლამური სახელმწიფო“ ტერიტორიის გაფართოებას ცდილობს.

**„ლე ფიგარო“**

# ყველაზე საშიში ტერორისტები ევროპისთვის

**ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროპოლიტენში აფეთქებების შემდეგ ევროპაში მთავარი თემა კვლავ ტერორიზმია. ამჟამად ბელგიაში 31 დაღუპულია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ 300 ადამიანი დაჭრილია, ამ ისლამიტური ტერაქტის მსხვერპლთა რაოდენობამ შეიძლება მოიმატოს.**

სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ რადიკალური ისლამი არ არის ყველაზე დაუნდობელი ტერორისტი ევროპაში. 2001-2014 წლებში ევროპის მიწაზე მოწყობილ ტერაქტებში 420 ადამიანი დაიღუპა, ხოლო მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მოწყობილ ტერაქტებში — 108 294.

## ისლამზე უარესი

სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე, მიუთითებს, რომ **ირამ (ირლანდიის რესპუბლიკური არმია) — ნახევრად გასამხედროებულმა დაჯგუფებამ, რომელიც ირლანდიის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, ევროპაში გაცილებით მეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, ვიდრე ისლამისტურმა ტერორისტულმა ჯგუფებმა.**

1969-2005 წლებში ირამ 620 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ძირითადად, ბრიტანელების. ყველაფრის მიუხედავად, 1970 წლიდან დღემდე ევროპაში ტერაქტის შედეგად დაღუპული ადამიანების რაოდენობა მცირდება.

## ევროპა გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე ოდესმე ყოფილა





ყველაზე მძიმე იყო 1988 წელი, როდესაც ლოკერბის ტრაგედიის მომენტში 270 კაცი დაიღუპა და დამყარდა რეკორდი ტერორისტულ აქტებში დაღუპულთა რაოდენობის მიხედვით — 450 კაცი.

„სინამდვილეში დასავლეთი ევროპა დღეს გაცილებით უსაფრთხოა, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო, და გაცილებით უსაფრთხო, ვიდრე მსოფლიოს სხვა ნაწილები“, — ამბობს ლიდსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის პროფესორი **ადრიან გელაჰერი.**

1992 წლიდან ევროპაში შესამჩნევად შემცირდა ტერორისტების ხელით დაღუპულთა რაოდენობა, თუმცა 2004 წელს მადრიდში და 2015 წელს პარიზში მოწყობილმა ტერაქტებმა ძალიან შეცვალა სტატისტიკა. მიუხედავად ამისა, ტენდენცია მკაფიოა: ევროპაში დღეს უფრო ნაკლები ადამიანი იღუპება, ვიდრე გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში.

## ისტორიულად უსაფრთხო

ბოლო წლებში ტერორისტთა ხელით ყველაზე მეტი ადამიანი ერაყში დაიღუპა — 2001-2014 წლებში ტერორისტებმა 42 759 ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე. სიაში შემდეგი ქვეყანაა ავღანეთი, სადაც იმავე პერიოდში ტერორმა 16 888 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ სიაში დასავლეთის ქვეყნებს შორის პირველია აშშ, სადაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად 3 ათასი ადამიანი დაიღუპა.

„ეს ციფრები იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთი ევროპა თავისი ისტორიის განმავლობაში ყველაზე მშვიდ პერიოდში ცხოვრობს“, — ამბობს პროფესორი გელაჰერი.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს კუნძულ უტოიაზე **ანდერს ბრეივიკის** მიერ მოწყობილ ხოცვა-ჟლეტასა (დაიღუპა 63 ადამიანი) და პარიზის ტერაქტს (2015) შორის პერიოდში ევროპაში ტერორისტთა ხელით 25 ადამიანი დაიღუპა.

## ტერორი ბელგიაში

მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ევროპის არც ერთი ქვეყნიდან არ წასულა „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იმაზე მეტი „ბოევიკი“, რამდენიც ბელგიიდან. ბრიუსელის რაიონ მოლენბეკს „ევროპაში ტერორიზმის ყველაზე დიდ გამავრცელებელს“ უწოდებენ.

ექსპერტთა აზრით, ევროპის ქვეყნების დაზვერვა და კონტრტერორისტული ორგანოები ჩაფლავდნენ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ ტერაქტის მზადების შესახებ, ტრაგედია თავიდან ვერ აიცილეს. ბელგიის პოლიციის განცხადებით, ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროპოლიტენის სადგურებში აფეთქებები მოაწყვეს თვითმკვლელებმა — ძმებმა **ხალიდ** და **იბრაჰიმ ელ-ბაკრაუიებმა.** მესამე ეჭვმიტანილზე ძებნაა გამოცხადებული.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2005 წელს „ნამდვილი მდიდრების“ (30 მლნ-ზე მეტი აქტივებით) რაოდენობა მსოფლიოში 116 800 იყო. შარშან მათი რაოდენობა 187 500-მდე გაიზარდა. სულ კი 2015 წელს 13 მილიონი მილიონერი იყო, ანუ „ნამდვილი მდიდრები“ მილიონერთა საერთო რაოდენობის 1,4%-ს შეადგენდნენ.**

# «ნამდვილი მდიდრები», ანუ რა ცვლილებები განიცადა მსოფლიოს პლუტოკრატიამ*

**მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების შესახებ ბევრი რამ ცნობილი არ არის. ამ თემაზე ყველაზე პოპულარული წყარო არის ჟურნალი „ფორბსი“, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს მილიარდერების სიას.**



„ფორბსის“ ბოლო, 29-ე სიაში მილიარდერების აქტივები შეფასებული იყო 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით. ამ სიაში მოხვდა 1826 ადამიანი (2014 წელს — 1645), მათმა ერთობლივმა ქონებამ 7,05 ტრილიონი დოლარი შეადგინა, 600 მილიარდით მეტი 2014 წელთან შედარებით.

ამასთანავე, „ფორბსი“ არ არის ერთადერთი წყარო, რომელსაც აქვს ინფორმაცია მსოფლიოს ოლიგარქებზე. სხვა წყაროებს შორის ყურადღებას იმსახურებს ბრიტანული კომპანია **„ქნეით ფრანკი“**, რომელიც ელიტურ უძრავი ქონების სფეროში მუშაობს და მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს ემსახურება. ეს კომპანია, უკვე რამდენიმე წელიწადია, აქვეყნებს მოხსენებას, რომელშიც მოყვანილია დედამიწის ყველაზე მდიდარი ადამიანების ქონების სტატისტიკური მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ „ქნეით ფრანკის“ მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება „ფორბსის“ მონაცემებისგან. პირველ რიგში, ბრიტანულ კომპანიას სიაში შეჰყავს არა მხოლოდ მილიარდერები, არამედ მილიონერებიც, რომელთა ქონება 30 მლნ-ზე მეტია;

**მეორე** — ქონების შეფასებისას გათვალისწინებულია სუფთა აქტივები, ანუ აქტივები, რომლებიც შესაძლოა სხვადასხვა გარემოების გამო შემცირდეს („ფორბსი“ სარეიტინგო სიას მხოლოდ აქტივების შესახებ მონაცემებით ადგენს);

**მესამე** — ბრიტანული კომპანიის მოხსენებაში შეყვანილია პირები, რომლებსაც უწოდებენ „ზემდიდრებს სუფთა ქონების სიდიდის მიხედვით“;

**მეოთხე** — ინგლისური კომპანიის ინფორმაციის ძირითადი წყარო არის შედეგები გამოკითხვისა, რომელსაც ატარებენ, როგორც მსოფლიოს ელიტის წარმომადგენელთა, აგრეთვე, მათ შორისაც, ვინც ამ ელიტას ემსახურება (ბანკები, კონსალტინგური კომპანიები, რიელტორები და სხვ.) „ფორბსი“ კი მხოლოდ ბანკებისა და კომპანიების ოფიციალურ ინფორმაციას იყენებს. „ქნეით ფრანკის“ ბოლო მოხსენება 2016 წლის 1 მარტს გამოქვეყნდა, და ის იმით არის საინტერესო, რომ მოცემულია უაღრესად მდიდარი ადამიანების აქტივების პანორამაში მომხდარი ცვლილებების ბოლო ათეული წლის განმავლობაში — 2005-დან 2015 წლამდე.

**2005 წელს „ნამდვილი მდიდრების“ (30 მლნ-ზე მეტი აქტივებით) რაოდენობა მსოფლიოში 116 800 იყო. შარშან კი მათი რაოდენობა 187 500-მდე გაიზარდა. სულ კი 2015 წელს 13 მილიონი მილიონერი იყო, ანუ „ნამდვილი მდიდრები“ მილიონერთა საერთო რაოდენობის 1,4%-ს შეადგენდნენ.**

10 წლის განმავლობაში „ნამდვილი მდიდრების“ რაოდენობის მატებამ 61% შეადგინა. პორტუგალიაში ეს მაჩვენებელი 2 პროცენტია, აშშ-ში — 32, დიდ ბრიტანეთში — 39, გაერთიანებულ არაბულ საემიროებში — 110, ავსტრალიაში — 135; რუსეთში — 195; ჩინეთში — 330; ინდოეთში — 340.

საინტერესოა, რომ **„ნამდვილი მდიდრების“ აქტივების ძირითადი ელემენტი არის ფინანსური ინვესტიციები აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების სახით. მათზე მოდის 28%; მეორე ადგილზეა უძრავი ქონება (საცხოვრებელი) — 24%; მესამეზე — სასტუმროების, რესტორნებისა და მომსახურების სფეროს სხვა სახის ბიზნესი — 19%; შემდეგ მოდის ფულადი სახსრები — 15%; კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება (ოფისები, საწყობები და ა.შ.) — 11%; კოლექციები (მონეტების, ნახატების, ავტომობილების და ა.შ.) — 2%; ძვირფასი ლითონები — 1%.**

ბრიტანული კომპანიის ანგარიშში ყველაზე საინტერესოა მონაცემები „ნამდვილი მდიდრების“ კაპიტალის მოძრაობის შესახებ.

2005-2015 წლებში „ნამდვილი მდიდრების“ მიერ ყველაზე მასშტაბური ინვესტიციები ჩაიდო აშშ-ში, ამასთანავე, ინვესტიციების დაგროვების მაღალი ტემპი აღინიშნებოდა ჩინეთში (მატება 500%-ით), შემდეგ — ინდოეთში, ბრაზილიაში, სინგაპურში, ტაილანდში, ჰონგკონგში. ეს ტემპი შენარჩუნდა, „ნამდვილი მდიდრების“ მიერ ჩადებული ინვესტიციებით „დიდი ჩინეთი“ (ჩინეთი პლუს ჰონგკონგი) მალე გაუსწრებს აშშ-ს. ჯერჯერობით კი კაპიტალის იმპორტისა და ექსპორტის მიხედვით აშშ-ს პირველი ადგილი უკავია, მეორეა დიდი ბრიტანეთი, მესამე — ჰონგკონგი, მეოთხე — ირლანდია, მეხუთე — ჩინეთი. **ამ ქვეყნებიდან გატანილი კაპიტალი აქტივების სახით ილექება აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების ოფშორულ ზონებში.**

აღსანიშნავია კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც მდიდრების მემკვიდრეებთან არის დაკავშირებული. უფროსი თაობა, რომელიც აქტიურად ულრმავდება ქონების მართვის საკითხებს, დარწმუნებული არ არის, რომ მათი შვილები ეფექტიანად განაგრძობენ საქმეს. ამასთანავე, ახალგაზრდა თაობის უმრავლესობას არ სურს ბიზნესში ჩართვა, მას სხვა ინტერესები აქვს — სხვა სფეროში მოღვაწეობა სურს.

**ფონდსკ.რუ**

**«ნამდვილი მდიდრების» აქტივების ძირითადი ელემენტი არის ფინანსური ინვესტიციები აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების სახით. მათზე მოდის 28%; მეორე ადგილზეა უძრავი ქონება (საცხოვრებელი) — 24%; მესამეზე — სასტუმროების, რესტორნებისა და მომსახურების სფეროს სხვა სახის ბიზნესი — 19%; შემდეგ მოდის ფულადი სახსრები — 15%; კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება (ოფისები, საწყობები და ა.შ.) — 11%; კოლექციები (მონეტების, ნახატების, ავტომობილების და ა.შ.) — 2%; ძვირფასი ლითონები — 1%**

* **პლუტოკრატია** — მმართველობის ფორმა, როდესაც მთავრობის გადაწყვეტილებები განისაზღვრება არა ხალხის აზრით, არამედ გავლენიანი მდიდრების კლასის მიერ.

# როგორ არის დაკავშირებული საუდის არაბეთთან დადებული კონტაქტები ტერაქტებთან



**ბევრი მიზეზი არსებობდა იმისათვის, რომ ბელგია რადიკალური ისლამიზმის კერად გადაქცეულიყო. ამ საკითხზე გაჩენილი კითხვების პასუხები კი უნდა ვეძებოთ 1960-იანი წლების მოვლენებში, როდესაც ბელგიაში გამოჩნდნენ სალაფიზმის (სუნიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც IX საუკუნეში შეიქმნა) მქადაგებლები საუდის არაბეთიდან.**

1967 წელს ბრიუსელში ჩასულ საუდის არაბეთის მეფე **ფეირალ იბნ აბდულ-აზიზ ალ საუდს** ბელგიის მეფე **ბოდუენ I** სანავთობე კონტაქტების გაფორმება შესთავაზა. მოლაპარაკებების თანახმად, ბელგიის დედაქალაქში დაიგეგმა მეჩეთების აგება, აგრეთვე, ისლამური სასულიერო პირების მოწვევა არაბეთის ნახევარკუნძულიდან. იმხანად ბელგია აქტიურად იყენებდა მაროკოელებსა და თურქებს იაფ მუშახელად.

მეფეების გარიგების შედეგად ახალი მიგრანტების კულტურული ურთიერთობის ადგილად მეჩეთი იქცა.

ბრიუსელში ახალი მეჩეთის გასახსნელად იდეალური ადგილი შეირჩა — ნაციონალური გამოფენის აღმოსავლეთ პავილიონის ორიგინალური შენობა, რომელიც არქიტექტორმა **ერნესტ ვან ჰამბიკამა** არაბულ სტილში ააშენა 1880 წელს. სწორედ ეს შენობა გადააკეთეს მეჩეთად ბელგიის მუსლიმანური თემისთვის, რომელიც სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა. ხანგრძლივი რეკონსტრუქციის შედეგად 1978 წელს, მეჩეთი, რომელიც, ამასთანავე, კულტურის ცენტრიც იყო, როგორც იქნა, გაიხსნა.

ძალიან მალე რადიკალური სალაფიტური მოძღვრება ახალი იმიგრანტების ტრადიციად იქცა. **ამჟამად 11-მილიონიანი მოსახლეობის ბელგიაში 600 ათასი ეთნიკური მაროკოელი და თურქი ცხოვრობს.**

„მაროკოელთა თემს ფესვები აქვს მთიან რაიონებსა და ატლანტიკის სანაპიროების დაბლობებზე, და არა უდაბნოებში. მათი წინაპრები აღიარებდნენ მალიქიტურ მოძღვრებას (მალიქიტურ მოძღვრება ბაზჰამს უწოდეს ცნობილი მოძღვრის — მალიქ იბნ ანასის პატივსაცემად), ისინი უფრო თვინიერები და გულწრფელები არიან, ვიდრე სხვა რეგიონების მუსლიმანები; ისეთის, როგორც საუდის არაბეთია, — ამბობს ბელგიის პარლამენტის სამიგრაციო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ჟორჟ დალემანი, — თუმცა, სალაფიტმა სასულიერო პირებმა და დიდი მეჩეთის მოძღვრებმა მათგან ბევრი რადიკალური ისლამის მიმდევრებად აქციეს . ზოგიერთ მაროკოელს სტიპენდიასაც კი უხდიდნენ, ოღონდ მედინაში, საუდის არაბეთში ესწავლათ“.

**„ინდეპენდენტი“**

„მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშალა და ვარშავის ხელშეკრულება გაუქმდა, ნატოს მოღვაწეობა უნდა შეეწყვიტა. დასავლურმა სამხედრო ალიანსმა ჯერ კიდევ იმხანად ამოწურა თავისი როლი. ამჟამინდელ ვითარებაში კი ნატოს არსებობა ქმნის სამხედრო-პოლიტიკურ დისბალანსს, რომელიც, თავის მხრივ, ახალი კონფლიქტების აღმოცენების რისკს ზრდის“

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იორდანიის მეფემ ევროპაში მოწყობილ ტერაქტებში თურქეთის როლზე ისაუბრა

**„იორდანიის მეფე აბდალა II იბნ ჰუსეინი ამერიკელ კონგრესმენებს თურქეთის მიერ რადიკალრი ისლამისტების მხარდაჭერაზე ესაუბრა“, — იუწყება ბრიტანული გაზეთი „გარდიანი“.**



გაზეთმა მოიპოვა იორდანიის მონარქისა და ამერიკელი კანონმდებლების, მათ შორის, შეიარაღებული ძალების სენატის კომიტეტის თავმჯდომარის — **ჯონ მაკკეინის** საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი. შეხვედრები 2016 წლის 11-17 იანვარს გაიმართა.

„ტერორისტების ევროპაში გადასვლა თურქეთის პოლიტიკის ნაწილია. ამის გამო თურქეთს ხელებზე ურტყამენ, მაგრამ ის თავისას არ იშლის“, — ამბობს იორდანიის მეფე.

მონარქი ხაზს უსვამს, რომ იორდანია გეგმავს სპეცდანიშნულების რაზმის ამოქმედებას ლიბიაში, აგრეთვე, ბრძოლას სომალელი ისლამისტების წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ ქაიდას“ მებრძოლებთან.

„პრობლემა „ისლამურ სახელმწიფოზე“ გაცილებით მეტია, ეს მესამე მსოფლიო ომია“, — მოჰყავს იორდანიის მეფის ნათქვამიდან ციტატა „გარდიანს“.

# ნატოს არსებობა ახალი კონფლიქტების წარმოქმნის რისკს ზრდის

SYDSVENSKAN

**„როდესაც აშშ-ში მოხდება სკოლაში სროლის ატეხვის მორიგი ინციდენტი, ადამიანები იარაღზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას მოითხოვენ, მათი მოწინააღმდეგეები კი შეუპოვრად დაიცავენ თვალსაზრისს, რომ ბოროტებასთან საბრძოლველად იარაღი აუცილებელია მართალი კაცის ხელში“, — წერს შვედური გაზეთი „სვიდსვენსკონი“.**



გამოცემის აზრით, შვედეთში ნატოს მომხრეები ისეთივე იდეოლოგიით არიან ნასაზრდოები, როგორითაც იარაღის ლობი აშშ-ში.

„გასულ საუკუნეში ევროპა ორ ნაწილად გახლიჩა ორმა დამანგრეველმა ომმა. ახალი მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად ჩვენ შევქმენით ევროპის კავშირი — დიდი პროექტი მშვიდობის სახელით. იდეის არსი იყო ის, რომ ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან, ვაჭრობენ და აქვთ შრომის საერთო ბაზარი, ისე უნდა დაახლოებულიყვნენ, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ომზე არ უნდა ეფიქრათ. ერთიანობა და არა შეიარაღების გაძლიერება, სამხედრო ალიანსები, ანტანტები და პაქტები ამცირებს დაძაბულობას და ომის დაწყების რისკს.

ყველაზე ველურ ფანტაზიაშიც კი წარმოუდგენელია, რომ შვედებმა ომი დაიწყონ დანიასთან; ან რომელიმე დანიელი ფიქრობდეს შვედეთის წინააღმდეგ ომზე, არადა, შვედეთი ისტორიულად სწორედ დანიასთან ომობდა ყველაზე ხშირად.

მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშალა და ვარშავის ხელშეკრულება გაუქმდა, ნატოს მოღვაწეობა უნდა შეეწყვიტა. დასავლურმა სამხედრო ალიანსმა ჯერ კიდევ იმხანად ამოწურა თავისი როლი. ამჟამინდელ ვითარებაში კი ნატოს არსებობა ქმნის სამხედრო-პოლიტიკურ დისბალანსს, რომელიც, თავის მხრივ, ახალი კონფლიქტების აღმოცენების რისკს ზრდის“, — წერს შვედური გამოცემა.

# რადოვან კარაჯიჩს 40 წლით აღუკვეთეს თავისუფლება

**ჰააგის ტრიბუნალმა სერბეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი რადოვან კარაჯიჩი დამნაშავედ ცნო ბოსნიაში გაჩაღებული ომის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში და მას 40 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ეს 72 წლის კარაჯიჩისთვის სამუდამო პატიმრობის ტოლფასია.**



კარაჯიჩს მოუხსნეს ბრალდება ბოსნიის ხორვატიულ რეგიონებში გენოციდის განხორციელების შესახებ, მაგრამ დამნაშავედ ცნეს სარაევოს ალყის ორგანიზებასა და ნატოს დაბომბვების თავიდან ასაცილებლად გაეროს სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა ტყვედ აყვანაში.

კარაჯიჩი, აგრეთვე, დამნაშავედ ცნეს მუსლიმანურ ანკლავ სრებრენიცაში სერბ მოსახლეობაზე თავდასხმის საპასუხოდ რამდენიმე ათასი მცხოვრების დახოცვაში.

ტრიბუნალმა გამოიტანა დასკვნა, რომ სერბეთის რესპუბლიკის ყოფილი ლიდერი მასობრივი მკვლელობების ორგანიზატორია.

რადოვან კარაჯიჩი 13 წლის განმავლობაში ემალებოდა საერთაშორისო ტრიბუნალს, მაგრამ 2008 წლის ივლისში ბელგრადში ავტობუსით მგზავრობისას დააპატიმრეს. ჰააგის ტრიბუნალისთვის კარაჯიჩის გადაცემა ერთ-ერთი პირობა იყო ევროკავშირში სერბეთის შესვლის პროცესის დასაჩქარებლად.

**ცნობისათვის: სპეციალობით ექიმმა რადოვან კარაჯიჩმა, რომელიც ექიმობას ლიტერატორობასაც უთავსებდა, 1989 წელს დააარსა სერბეთის დემოკრატიული პარტია, რომელსაც ბოსნიაში მცხოვრები სერბების ინტერესები უნდა დაეცვა.**

1992 წელს ბოსნია და ჰერცეგოვინა გამოეყო იუგოსლავიას. ამ საქმეში წამყვანი როლი ბოსნიელმა მუსლიმებმა ითამაშეს. საპასუხოდ რესპუბლიკაში მცხოვრებმა სერბებმა გამოაცხადეს თავიანთი სახელმწიფოს — სერბეთის რესპუბლიკის შექმნის შესახებ, რომლის პირველი პრეზიდენტი (1992-1996) რადოვან კარაჯიჩი იყო.

# რომის პაპმა მიგრანტებს ფეხები დაბანა

**24 მარტს რომის პაპმა ფრანცისკმა რომის გარეუბანში მოწყობილ ლტოლვილთა მიმღებ ცენტრში, სადაც 900 ლტოლვილი, ძირითადად, მუსლიმი იმყოფება, მესა ჩაატარა. მესის მიმდინარეობისას მან ფეხის დაბანის რიტუალი ჩაუტარა 12 ადამიანს — ერთ იტალიელსა და 11 მიგრანტს, მათ შორის 4 ნიგერიელ კათოლიკეს, კოპტური მართლმადიდებელი ეკლესიის 3 წარმომადგენელს ერითრეადან, 3 მუსლიმს (სირიიდან, პაკისტანიდან და პალესტინიდან) და ერთ ინდუსს.**



გასული კვირის ხუთშაბათს რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა გაიხსენეს საიდუმლო სერობა, როდესაც ქრისტემ ევქარისტია (პურისა და ღვინის კურთხევა და შეჭმა) დაადგინა. სახარების მიხედვით, იმავე საღამოს იესომ თავის 12 მოწაფეს ფეხი დაბანა, შემდეგ კი განაცხადა: „თუკი მე მიწოდებთ მოძღვარსა და უფალს, და სწორად ამბობთ, რადგან ვარ, ამიტომ, თუკი მე, უფალმა და მოძღვარმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები, რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ“.

ამ დღეს კათოლიკურ ტაძრებში მღვდელმსახურები ფეხის დაბანის რიტუალს მართავენ. ასე მოიქცა რამდენიმე დღის წინათ რომის პაპიც.



# გაერო ცენტრალურ აფრიკაში მშვიდობისმყოფელთა სექსუალური ძალადობის ახალ ფაქტებზე ალაპარაკდა

**ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაეროს სამშვიდობო მისიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ გაეროს მშვიდობისმყოფელების მხრიდან სექსუალური ძალადობის ახალი ბრალდებების შესახებ ინფორმაცია მიიღეს.**

საუბარია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, კემოს პრეფექტურაში 2014 და 2015 წლებში მომხდარ შემთხვევებზე. გაერო სასწრაფოდ გაგზავნის ადგილზე ჯგუფს, რომელიც ბოლოს გავრცელებულ ბრალდებებს გამოიძიებს და მსხვერპლს დაეხმარება. ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს კი გაუზიარებენ იმ ქვეყნებს, რომელთა სამხედროებმა და მოქალაქეებმა, სავარაუდოდ, ჩაიდინეს დანაშაული. გაეროს პრესსპიკერი ამბობს, რომ ბრალდებული პირების ეროვნების შესახებ ინფორმაცია ჯერ არ არის ცნობილი.

გაეროს მისიაში მონაწილე სამხედროები არასრულწლოვანების მიმართ სექსუალურ ძალადობაში არაერთხელ დაადანაშაულეს. ერთ-ერთი ცნობა ამა წლის თებერვლის დასაწყისში გავრცელდა, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანთა ძალადობაში ქართველ და ფრანგ სამხედროებსაც ადანაშაულებდნენ.

# ვისკონსინელი მამაკაცი, რომელიც სოციალურ ქსელში ობამას მკვლელობით დაემუქრა, 3 წლით ციხეში ჩასვეს

**აშშ-ის საოლქო სასამართლომ ვისკონსინის შტატის მცხოვრები ბარაკ ობამას მკვლელობის განზრახვაში დაადანაშაულა და სამი წლით აღუკვეთა თავისუფლება.**

ქალაქ ტომის მკვიდრმა, 55 წლის **ბრაიან დატჩერმა,** 2015 წლის ივნისში „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც წერდა, რომ აპირებდა ქალაქ ლა კროსში ჩასვლას და თავისი „კონსტიტუციური ვალდებულების“ შესრულებას — ობამას მკვლელობას 2 ივლისს, ქალაქში ვიზიტისას. დატჩერმა 1 ივლისს განაცხადა, რომ ობამას მკვლელობას ლა-კროსის საჯარო ბიბლიოთეკაში აპირებდა.



სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრაიან დატჩერს სამწლიანი პატიმრობის შემდეგ კიდევ სამი წლის განმავლობაში სამართალდამცველების ზედამხედველობის ქვეშ მოუწევს ყოფნა.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2016 წლის 27 იანვარს მამა ბერნარ პრეინის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა რამდენიმე მსხვერპლმა, სასამართლოსთვის მიემართა. მათი თქმით, 1970-1991 წლებში ლიონის დასავლეთ გარეუბანში მდებარე ეკლესიაში მღვდელმსახურებას ეწეოდა მამა ბერნარ პრეინი, რომელმაც სენ-ლუკას სკაუტების სკოლის ბიჭები გააუპატიურა. გამოძიების პროცესში მღვდელმსახურმა აღიარა, რომ სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა 13 მოზარდთან, მათ შორის 3 გააუპატიურა.**

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## სკანდალი — ლიონის არქიეპისკოპოსი პედოფილ მღვდელმსახურთა დანაშაულების დამალვაშია ბრალდებული



კარდინალი ფილიპ ბარბარენი

**საფრანგეთის პრემიერმინისტრმა მანუელ ვალსმა ლიონის არქიეპისკოპოსს, კარდინალ ბარბარენს, მიმართა და მოუწოდა, მას დაქვემდებარებულ მღვდელმსახურ პედოფილთა საქციელის გამო პასუხისმგებლობა დაიკისროს.**

საქმე პედოფილი მღვდლებისა, რომლებიც 1980-იან წლებში მსახურობდნენ ლიონისა და მისი შემოგარენის ეკლესიებში, ახალი ფაქტებით შეივსო. დაზარალებულთა ჯგუფმა რომის პაპსაც კი მიმართა, განეხილა და დაეგმო არა მხოლოდ მღვდელმსახურთა, არამედ კარდინალ ფილიპ ბარბარენის საქციელი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მალავდა ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტებს.

**2016 წლის 27 იანვარს მამა ბერნარ პრეინის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა რამდენიმე მსხვერპლმა, სასამართლოსთვის მიემართა. მათი თქმით, 1970-1991 წლებში ლიონის დასავლეთ გარეუბანში მდებარე ეკლესიაში მღვდელმსახურებას ეწეოდა მამა ბერნარ პრეინი, რომელმაც სენ-ლუკას სკაუტების სკოლის ბიჭები გააუპატიურა. გამოძიების პროცესში მღვდელმსახურმა აღიარა, რომ სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა 13 მოზარდთან, მათ შორის 3 გააუპატიურა.**

როგორც ეს უკვე 70 წელს მიღწეული სასულიერო პირი ამბობს, უშუალო უფროსებმა 1991 წლიდან უკვე ყველაფერი იცოდნენ მისი საქციელის შესახებ, მაგრამ არაფერი მოუმოქმედებიათ. სინამდვილეში, როდესაც ერთ-ერთმა ოჯახმა ლიონის ეპარქიას მიმართა, ბერნარ პრეინი სკაუტებს კი ჩამოაშორეს, მაგრამ მან კვლავ განაგრძობდა კატეხიზმოს სწავლება სკოლაში. რამდენიმე მსხვერპლმა სწორედ ამიტომ მისწერა რომის პაპს წერილი და პედოფილ მღვდელთან ერთად კარდინალის დასჯაც მოითხოვა.

რამდენიმე დღის წინათ კი ლიონის პროკურატურამ კიდევ ერთი საჩივარი მიიღო პედოფილის საქმეზე, მაგრამ უკვე სხვა მღვდელმსახურის მიმართ და ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, ახლაც ლიონის არქიეპისკოპოსია დადანაშაულებული სექსუალური ძალადობის ფაქტების წინასწარგანზრახვით დამალვაში.

მღვდელმსახურს უჩივლა 42 წლის მამაკაცმა, რომელსაც ამჟამად საკმაოდ მაღალი თანამდებობა უკავია საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში. მისი თქმით, მამა **ჟერომ ბიიუ**, რომელიც ლიონის კრუა-რუსის ეკლესიაში მსახურობდა, ორჯერ შეეცადა მის გაუპატიურებას, როცა წმინდა ადგილებში მოსალოცად გაემგზავრნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იმხანად 16 წლის იყო. მამაკაცი ამტკიცებს, რომ კარდინალმა ბარბარენმა მშვენივრად იცოდა, რაც ხდებოდა მის ეპარქიაში, მაგრამ ჩუმად იყო.

ფრანგმა სამართალდამცველებმა კარდინალ ბარბარენის წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. მას დანაშაულის დამალვაში ადანაშაულებენ, საქმეში კიდევ 6 მღვდელმსახური ფიგურირებს.



## ბრიუსელის პოლიციის კომისარი — გეი და ტრანსვესტიტი



**ალან ვანდერპურტი მთავარი პასუხისმგებელია წესრიგზე ბელგიის დედაქალაქში. ის ბრიუსელის პოლიციის კომისარია, ამასთანავე, ტოლერანტობის განსახიერებაა ამ სიტყვის ევროპული გაგებით.** ალან ვანდერპუტი ჰომოსექსუალია, თავისუფალი აზროვნების ქალი თუ კაცი, რომლის მხოლოდ გარეგნობა ადგილზე გააშეშებს კანონის დამრღვევს, პოლიციის კომისარი ხშირად ჩნდება საზოგადოებაში ქალის ტრუსით, შლაპით, ქვედა კაბითა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით...

და, **თუ ალან ვანდერპურტის გარეგნობას, მისწრაფებებსა და „ტოლერანტობას“ გავითვალისწინებთ, გასაგები იქნება, რატომ მოახერხეს ასე იოლად ტერორისტებმა ბრიუსელის აეროპორტისა და მეტროპოლიტენის სადგურების აფეთქება.**

## გეი მღვდელმსახური ანგლიკანური ეკლესიის სინოდში აირჩიეს

**„ლონდონის ჩრდილოეთში მდებარე ეკლესიის ვიკარიუსი (ეპარქიის ეპისკოპოსის თანაშემწე), გეი მღვდელმსახური ენდრიუ კეინი, რომელმაც თავის პარტნიორზე ორი წლის წინათ იქორწინა, ანგლიკანური ეკლესიის სინოდის წევრად აირჩიეს“, — იუწყება ბრიტანული გამოცემა „დეილი ტელეგრაფი“.**

„ეს არის იმედი იმისა, რომ ეკლესია უფრო კეთილი და გულმოწყალე გახდება“, — დაწერა სოციალურ ქსელში ენდრიუ კეინმა, რომლის არჩევასაც შეშფოთებით შეხვდნენ ტრადიციონალისტები და მოითხოვეს, გეი მღვდელმსახური სასწრაფოდ ჩამოეშორებინათ ეკლესიის ხელმძღვანელობისგან. ერთ-ერთი კონსერვატიული ჯგუფის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მღვდელმსახურმა თავისივე სქესის წარმომადგენელზე დაქორწინებით ეკლესიის საფუძვლები შეარყია. „ენდრიუ კეინმა თავისივე სქესის წარმომადგენელზე დაქორწინებით უგულებელყო ბიბლიური სწავლება და ეპისკოპოსთა პალატის მკაფიო ინსტრუქციები. მისი მოქმედება ძირს უთხრის ეკლესიასა და მის სწავლებას ქორწინების შესახებ. კეინის არჩევა სინოდში დაუშვებელია და ის აუცილებლად უნდა გაირიცხოს ეკლესიის ხელმძღვანელობიდან“, — განაცხადა კონსერვატიული ჯგუფის წარმომადგენელმა ანდრეა უილიამსმა.



გეი მღვდელთმსახური ქმართან ერთად

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

„პრომეტეის“ შეუძლია ერთდროულად აღმოაჩინოს და გაანადგუროს წამში 7000 მ სიჩქარით მფრენი ბალისტიკური რაკეტების 10 ქობინი, დააზიანოს 600 კმ-ით დაშორებული მიზნები, აგრეთვე, 185 კმ სიმაღლეზე მფრენი ობიექტები. ეს ნიშნავს, რომ „ეს-500“ თავისუფლად გაანადგურებს ახლო კოსმოსურ სივრცეში მყოფ საბრძოლო მასალებსა და ობიექტებს.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ს-500» «უჩინარი» თვითმფრინავების წინააღმდეგ



**რუსეთი ახალი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის — „ს-500“ „პრომეტეის“ გამოცდას იწყებს. ეს კომპლექსი თავისი შესაძლებლობებით გაცილებით აღემატება მის წინამორბედს — „ს-500“-ს. პენტაგონის მაღალჩინოსნები შიშობენ, რომ რუსულ პერსპექტიულ სისტემას ვერ სტელსის ტექნოლოგიებით დამზადებული ე.წ. უჩინარი თვითმფრინავები“, — იუწყება ამერიკული გამოცემა „ნეიშენელ ინტერესტსი.“**



გამოცემა წერს, რომ ახალი კომპლექსი 2017 წელს გადაეცემა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებთან იქნება ინტეგრირებული.

**„ს-500“** შესაძლებლობებით გაცილებით აღემატება მის წინამორბედ კომპლექს — **„ს-500“**-ს („ტრიუმფს“), რომლებიც რუსეთს ამჟამად განლაგებული აქვს კალინინგრადსა და სირიაში.

„პრომეტეის“ შეუძლია ერთდროულად აღმოაჩინოს და გაანადგუროს წამში 7000 მ სიჩქარით მფრენი ბალისტიკური რაკეტების 10 ქობინი.

ამას გარდა, ახალ კომპლექსს შეუძლია დააზიანოს 600 კმ-ით დაშორებული მიზნები, აგრეთვე, 185 კმ სიმაღლეზე მფრენი ობიექტები. ეს ნიშნავს, რომ **„ს-500“** თავისუფლად გაანადგურებს ახლო კოსმოსურ სივრცეში მყოფ საბრძოლო მასალებსა და ობიექტებს.

ისევე, როგორც მის წინამორბედი კომპლექსები, **„ს-500“**-ც მაღალი მობილურობით გამოირჩევა და რადიოსალოკაციო სადგურების ქსელის გამოყენებით შეუძლია შორ მანძილზე მყოფი ობიექტების დაზიანება.

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ბევრი მაღალჩინოსანი შიშობს, რომ „ს-500“, მისი ფართო შესაძლებლობების გათვალისწინებით, დიდ საფრთხეს შეუქმნის ამერიკულ ე.წ. უჩინარ თავითმფრინავებს, როგორებიცაა „ფ-22“, „ფ-35“ და „ბ-2“.**

## ლეგენდარული იარაღი

# «მი-12» — ყველაზე დიდი ვერტმფრენი მსოფლიოში



**„მი-12“ (ოფიციალური სახელწოდება „ბე-12“, ნატოს კლასიფიკაციით —„ჰომერი“) მსოფლიოში ყველაზე მძიმე და ტვირთამწე ვერმტმფრენია, რომელიც მნახველს განაცვიფრებს არა მხოლოდ თავისი ზომებით, არამედ კონსტრუქტორის გაბედული ჩანაფიქრით. ეს საფრენი აპარატი საბჭოთა კავშირის ძლიერების სიმბოლოა, ხოლო მის მიერ დამყარებული რეკორდები დღესაც მოუხსნელია.**

1960-იან წლებში საბჭოთა კავშირში ყალიბდებოდა სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები. სასტარტო მოედნები შენდებოდა ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეებში — მოწინააღმდეგის თვალს მოფარებულ ადგილებში, ანუ აეროდრომებიდან ასეულობით კილომეტრის მოშორებით. სამხედროები აღმოჩნდნენ ამოცანის წინაშე, როგორ გადაეტანათ დაუშლელად ბალისტიკური რაკეტა ქარხნიდან სასტარტო მოედნამდე. იმხანად 40-50 ტ ტვირთის გადატანა არც ერთ ვერტმფრენსა და თვითმფრინავს არ შეეძლო, ამიტომ რამდენიმე საკონსტრუქტორო ბიუროს დაევალა მაღალი ტვირთამწეობის მქონე ვერტმფრენის შექმნა. საუკეთესო ვერსია კი „მი-12“ აღმოჩნდა. ეს არის მიხეილ მილის უკანასკნელი ქმნილება, რომლითაც ნებისმიერი კონსტრუქტორი იამაყებდა. მანამდე ამ კონსტრუქტორმა შექმნა „მი-2“; „მი-4“; „მი-6“; „მი-8“; „მი-10“ და სხვა ვერტმფრენები.

აპარატის ასაფრენი მასა 105 ტონაა, სატვირთო ნაკვეთურითა და გარე საკიდურებით 41 ტ ტვირთის გადატანა შეიძლება.

**შესადარებლად:** ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „გრადის“ წონა დაახლოებით 10 ტონაა, „ბე-ტე-ერ-80“-ის — 13 ტონა; ტანკ „ტე-72“-ის — 41 ტ; მეტროპოლიტენის ვაგონის — 34 ტ.

განსაცვიფრებელია ვერტმფრენის ზომები და სიმძლავრე: წამყვანი ხრახნის დიამეტრი 35 მ-ია, ფიუზელაჟის სიგრძე — 37მ (სიგანე — ფეხბურთის მინდვრის სიგანის ტოლია — 45 მ), 4 ძრავის საერთო სიმძლავრე 26 ათას ცხ. ძალას უდრის სატვირთო ნაკვეთურში შეიძლება მოთავსდეს 196 ჯარისკაცი.

„მი-12“-ის კრეისერული სიჩქარე საათში 260 კმ-ია. ფრენის სიშორე — 1000 კმ.

1969 წლის 6 აგვისტოს „მი-12“-მა 2255 მეტრის სიმაღლეზე 44205 კგ ტვირთი აიტანა და ვერტმფრენებისთვის ტვირთამწეობის რეკორდი დაამყარა.

**ცნობისათვის: აშშ-ის ყველაზე დიდი ტვირთამწეობის ვერტმფრენ „ჩეროკი 47“-ის ტვირთამწეობა 12,2 ტონას არ აღემატება. „მი-12“-ის წარმოება გასული საუკუნის 70-იან წლებში შეწყდა, რადგან დაიწყო ახალი თაობის უფრო ეკონომიური ვერტმფრენების გამოშვება.**

# «მფრინავი კუბოები»

**ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლებმა ბრიტანული წარმოების საგემბანო (ვერტიკალური აფრენა-დაფრენის) გამანადგურებლების „სი ჰარიერის“ შეიარაღებიდან ჩამოწერის შესახებ განაცხადა.**

ინდოეთმა 27 ასეთი თვითმფრინავი დიდი ბრიტანეთისაგან შეიძინა, მათგან სხვადასხვა შემთხვევისა და კატასტროფის მიზეზით განადგურდა 17, ანუ 63%.

ეს, სპეციალისტების აზრით, მსოფლიოს რეკორდია და დასავლური ტექნიკისა და ტექნოლოგიების მაღალხარისხიანობასა და საიმედოობაზე სრულიად სხვაგვარ თვალსაზრისს აჩენს.

**„სი ჰარიერი“** ერთადერთი თვითმფრინავი არ არის, რომელიც არასაიმედოობით გამოირჩევა. დასავლეთის ავიაცია ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ავარიულობით. მაგალითად, აშშ-ის მიერ წარმოებული 4540 ერთეული „ეფ-16“-დან ავარია განიცადა (ძირითადად, მშვიდობიან პირობებში) 640-მა. ამასთანავე, ეს საავიაციო არმადა პრაქტიკულად უსარგებლო იყო საბრძოლო მოქმედებებში — „ეფ-16“-ის ექსპლუატაციის განმავლობაში ამ გამანადგურებლებით პილოტებმა საჰაერო ბრძოლებში მოწინააღმდეგის მხოლოდ 50 თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თანაც, არცთუ მაღალი კლასის. ამ 50 გამარჯვებიდან 40 ისრაელის საჰაერო-სამხედრო ძალების პილოტებზე მოდის, 10 კი — ნატოს წევრი ქვეყნების მფრინავებზე, თუმცა ამას უნდა დავუმატოთ თურქების მიერ ბანდიტურად ჩამოგდებული რუსული „სუ-24“-ც.

**ავარიულობის რეკორდი კი ეკუთვნის 1960-იანი წლების ამერიკულ „ეფ-104“-ს („სტარფაიტერი“), რომელსაც „ქვრივებისმკეთებელი“ და „მფრინავი კუბო“ შეარქვეს. ამ თვითმფრინავმა ყველაზე ცუდი რეპუტაცია მოიხვეჭა გერმანიაში: ამ ქვეყანამ 916 „სტარფაიტერი“ შეიძინა, მათგან 292 (ანუ 30%) ავარიების გამო განადგურდა, დაიღუპა 116 პილოტი.**



„სტარფაიტერების“ კატასტროფის თემას დიდი რეზონანსი ჰქონდა გერმანიაში (გერმანელები მწარედ ხუმრობდნენ: თუ გინდა, „სტარფაიტერი“ შეიძინო, ფერმა იყიდე და დაელოდე, როდის დაეცემა თავზეო). თუმცა, თუ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ამ ტიპის გამანადგურებლების 30% დაკარგეს, ეს მაჩვენებელი კანადელებისთვის 40% შეადგენს და ეს — მშვიდობიან პერიოდში!

ამ ფაქტებზე კრინტს არ ძრავს დასავლური პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც მიდრეკილია სიცრუის პიარისკენ და რომელსაც დაუწერელი კანონებით აკრძალული აქვს ხმაურის ატეხვა ნებისმიერ ნეგატივზე. სწორედ ამიტომ საძიებო სისტემა „გუგლში“ „ეფ-104“ „სტარფაიტერის“ კატასტროფის“ მხოლოდ ორიოდე ფოტოს თუ იპოვით. არადა, კატასტროფა ასეულობით იყო, ფოტოები კი, ალბათ, — ათასეულობით.

თუ „სტარფაიტერს“ ავარიულობის მიხედვით შევადარებთ ამ მხრივ საბჭოთა რეკორდსმენებს — „მიგ-21“-სა და „სუ-73“-ს, საბჭოთა თვითმფრინავების ფრენის 4,5-5 ათას საათზე 1 ავარია მოდიოდა, „სტარფაიტერის“ მაჩვენებელი კი 7-ჯერ მეტია.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ჯეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არის ფაქტები, რომლებიც პირდაპირ მიგვითითებს, რომ 1920-იან წლებში სსრკ-ის ხელისუფლებამ ხელი მოაწერა კონტრაქტებს, რომლებშიც დასავლეთის მხრიდან ფიგურირებდნენ არა შვედი შუამავლები, არამედ იმ გვარების წარმომადგენლები, რომელთა სახელებიც ოქროს ასოებითაა დაწერილი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის დაფებზე.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-11 (330-340)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

ვლადიმერ ლენინის რეაქცია ჟურნალ „ეკონომისტის“ კრიტიკულ პუბლიკაციაზე საკმაოდ საინტერესო იყო.

ვლადიმერ ილიას ძე გაერკვია სიტუაციაში და გააკეთა სწორი დასკვნები? გამოასწორა ამხანაგ ტროცკის შეცდომა და აუხსნა მას და სხვა ამხანაგებს, რომ პროლეტარული რევოლუცია კეთდებოდა არა იმისთვის, რომ ასე უნიჭოდ გაეფლანგათ კოლოსალური სახალხო ფული? რომ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის პროლეტარიატი უნდა ყოფილიყო გამოკვებილი? რომ ამისთვის ყოველი კაპიკის ეკონომია იყო საჭირო?

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მართლაც გაერკვია შექმნილ სიტუაციაში, გააკეთა დასკვნები, ესაუბრა ამხანაგ ტროცკის და... სთხოვა ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის, დაეხურა ჟურნალი „ეკონომისტი“. „ისინი აშკარა კონტრრევოლუციონერები არიან, ანტანტის თანამზრახველები, მისი მოსამსახურეები და ჯაშუშები, ახალგაზრდობის გამრყვნელი ორგანიზაცია. უნდა გავაკეთოთ ისე, რომ ეს „სამხედრო ჯაშუშები“ დავიჭიროთ და რეგულარულად განვახორციელოთ მათი დაჭერა და საზღვარგარეთ გაძევება“, — მისწერა პროლეტარიატის ბელადმა რუსეთის ჩეკას.

საეჭვო კონტრაქტი? ილიას ძის ჩარევის შემდეგ იგი უცვლელი დარჩა...

როგორ უნდა დაუბრუნოთ დასავლელ ბანკირებს ფული? გაგზავნით დასავლეთში ამანათს და დააწერთ — „ნიუ იორკის ბანკი. ამერიკელ ბანკირებს“? ხოლო გრაფაში „დანიშნულება“ ჩაწერთ: „რუსული რევოლუციასა და სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების სახსრების დაბრუნება“? ამის გაკეთება შეუძლებელია. პროლეტარიატის ბელადებს არ შეუძლიათ „სახალხო“ ფულის მიცემა უცხოელი ბურჟუებისთვის. მით უმეტეს, რომ ახლა საკმაოდ რთული დროა. შეგახსენებთ, რომ 1921 წლის მარტში, როდესაც რუსეთი პირველ 50 ორთქლმავალს იღებდა, კრონშტადტის აჯანყება მოხდა. ხოლო 1920 წელს, როცა კონტრაქტის ვალის გადახდა მიმდინარეობდა, არც ვრანგელის ჯარები იყო ევაკუირებული ყირიმიდან და არც სამოქალაქო ომი დასრულებული.

საზღვარგარეთ ფულის გაგზავნას მიზეზი სჭირდება. უნდა მოხდეს რაიმეს შესყიდვა დასავლეთში და ოქროს ეშელონის გაგზავნას პრობლემა არ შეექმნება. ჟურნალ „ეკონომისტში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაზე ლენინის საკმაოდ მძაფრი რეაქცია იმით აიხსნება, რომ ეს მოქმედება დაგეგმილი და შეთანხმებული იყო ვლადიმერ ილიას ძესთან. წინააღმდეგ შემთხვევაში შეთანხმება ტროცკის კარიერისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობაში ადგილის დაკარგვად დაუჯდებოდა.

**თქვენთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, რატომ მოიგეს ბოლშევიკებმა სამოქალაქო ომი, ხოლო თეთრებმა, რომლებსაც დასავლელი დემოკრატები „ეხმარებოდნენ“, წააგეს?**

სხვათა შორის, ყველა არსებული დოკუმენტის თანახმად, სწორედ შვედური საბანკო სისტემის გავლით შემოდიოდა რუსეთში რევოლუციის ფული. ახლა მისივე გავლით უკან ბრუნდებოდა. **ბოლო ეჭვს „ოქროს“ ორთქლმავლების შეძენის მიზეზების შესახებ ამხანაგ ტროცკის მიერ დადებული და ამხანაგ ლენინის მიერ დადასტურებული კონტრაქტის თანხა გაფანტავს:** ერთგული რევოლუციონერები, ეტყობა, რაღაცას მალავდნენ რევოლუციის შავი დღისთვის. შეგახსენებთ, რომ **კონტრაქტის თანხა 200 მილიონი ოქროს რუბლია. ბევრია თუ ცოტა? — ამის გასაგებად ჯერ გავარკვიოთ, რა არის ოქროს რუბლი.**

**ოქროს რუბლი იყო რევოლუციამდელი რუსეთის სრულფასოვანი ფულადი ერთეული. რუსეთის სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგი ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მომენტისთვის 1101 მილიონ ოქროს რუბლს შეადგენდა. ოქროს ნაწილი, 650 მილიონი რუბლი, ევაკუირებულ იქნა ყაზანში, შემდეგ ეს ფული კოლჩაკს ჩაუვარდა ხელში, მისი დამარცხების შემდეგ დაახლოებით 409 მილიონი რუბლი დაუბრუნდა რუსეთს. ამგვარად, სამოქალაქო ომის დამთავრებისას ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო 860 მილიონი რუბლი. თან იმ პირობით, რომ ბოლშევიკები ოქროს მარაგიდან კაპიკს არ დახარჯავდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.**

**200 მილიონი ოქროს რუბლი, უბრალოდ, კოლოსალური თანხა კი არა, ქვეყნის ოქროს მარაგის მეოთხედია.**

რევოლუციის მეთაური იმავე რევოლუციის სხვა ხელმძღვანელს ხელს აფარებს? ისინი, უბრალოდ, შავი დღისთვის „იპარავენ“? ასე უხეშად და ასე ბევრს? ქვეყნის ოქროს მარაგის მეოთხედს?! სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას ფული არ სჭირდება? პირიქით, ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პერიოდში ბოლშევიკებს ფული ძალიან დასჭირდებათ. სწორედ სახსრების უქონლობით ახსნიან ისტორიკოსები 1920-იან წლებში შეთანხმებული კონცესიების კაბალურ პირობებს.

კითხვა ძალიან ბევრია, ხოლო პასუხი — ერთი. **კონკურენტი ქვეყნის დასანგრევად დახარჯული სახსრები, რუსეთის იმპერიის დასამხობად ამერიკელი ბანკირების მიერ გამოყოფილი ფული უნდა დაბრუნებულიყო. ასეთი იყო დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენელთა და ბოლშევიკთა შორის დადებული ერთ-ერთი შეთანხმება. ლენინი ხელისუფლებაში იმიტომაც გაჩერდა ამდენ ხანს, რომ თავის „პარტნიორებთან“ ყველა შეთანხმებას, ერთბაშად კი არა, თანდათან არღვევდა. ხელისუფლების საჭესთან დაყენებულმა ილიჩმა ხმაურის ფონზე რუსეთის ტერიტორია გააერთიანა.**

თუ 1917 წლის რევოლუციის გამო რუსეთმა ლენინი ანათემას უნდა გადასცეს, შემდგომ მიწების შემომტკიცების, ქვეყნის საბოლოო დემონტაჟის შესახებ მისი უცხოელი პარტნიორების სურვილის შეუსრულებლობის გამო, იგი ჭეშმარიტად ძეგლს იმსახურებს. აი, ასეთი პარადოქსია — ჯერ დაანგრია, შემდეგ თავადვე გააერთიანა.



**ვინ იყო გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყნის პირველი ბანკირი? ლენინი? მეზღვაური დიბენკო? — არა, შვედი ბანკირი ულოფ აშბერგი, რომლის ბანკის გავლითაც ფულს რუსეთში რევოლუციისთვის გზავნიდნენ, ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ — კი რუსეთიდან შვედეთში**

ლენინმა არ იცოდა, ვინ და რისთვის აკეთებდა რევოლუციას მეფის რუსეთში. იგი ტროცკისთან ერთად მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, იძლეოდა დაპირებებს, რომლებსაც თვითონვე არღვევდა ან ასრულებდა გარემოებების მიხედვით. აქედან გამომდინარეობს მისი ქცევის ლოგიკაც. მეფის ვალებს არ გადავიხდით. კონცესიას გავცემთ. ძალაუფლებას არ დავთმობთ, ხოლო რევოლუციაზე დახარჯულ სახსრებს დავაბრუნებთ...

არის ბევრი მტკიცებულება, რომ მგზნებარე რევოლუციონერები „აბრუნებდნენ“ ფულს. ყველაზე იოლი ხერხი იყო ძვირფასეულობის საზღვარგარეთ გატანა. მან კი, **ვისაც სჯერა, რომ სახსრები „მსოფლიო რევოლუციას“ ხმარდებოდა, ყურადღება ორ რამეს უნდა მიაქციოს. ამ „მსოფლიო რევოლუციის“ მოწყობას ლენინი და მისი ამხანაგები რატომღაც მხოლოდ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში აპირებდნენ და საერთოდ არ ახსენდებოდათ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, რაც მთავარია, დაფინანსების თანხა, რომელიც გერმანული იმპერიის დასანგრევად იყო მიმართული, არ ემთხვევა რუსეთიდან გატანილი ძვირფასეულობის რეალურ ოდენობას.** შვედეთის პოლიცია იუწყება, რომ ბოლშევიკებმა უცხოეთში (გერმანიაში) რევოლუციური პროპაგანდისთვის 2 მილიონი რუბლი გამოყვეს. 1918 წლის შემოდგომაზე გერმანიაში რევოლუციის დასაფინანსებლად **ისიდორ გუკოვსკის**, საბჭოთა რუსეთის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილეს, სტოკჰოლმში ჩააქვს ფულითა და ძვირფასეულობით სავსე ყუთები. შვედური პოლიციის წყაროები ამ „განძს“ 40-დან 60 მილიონ რუბლამდე აფასებს.

რისთვის იყო განკუთვნილი ოფიციალურად ლენინის მიერ გერმანული რევოლუციისთვის ოფიციალურად გამოყოფილ ფულზე 20-30-ჯერ დიდი თანხა? მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტსაც, რომ ძირფასეულობა კვლავ შვედეთის გავლით გაედინება, სადაც 1917 წლის ნოემბერში გაიხსნა საბჭოთა საელჩო **ვაცლავ ვოროვსკის** მეთაურობით. მილიონობით რუბლი სტოკჰოლმის ბანკში ილექება — **აშბერგის** „ნუა ბანკენში“. აშბერგის გვარი ხშირად გვხვდება გერმანელების მიერ ბოლშევიკების დაფინანსების შესახებ გამოცემულ წიგნებში. საინტერესო სურათი იხატება: **ფული ხან შემოაქვთ, ხან გააქვთ რუსეთიდან, მაგრამ მიწოდების არხები ერთი და იგივეა. ამასთანავე, როცა ფული შვედეთის გავლით რუსეთში იგზავნებოდა, თითქოს „გერმანული“ იყო. ხოლო როცა 1918 წელს იმავე მარშრუტით უკან დაბრუნდა, გგონიათ ილიას ძემ გერმანიას გადასცა? კაიზერმა კი საკუთარ ქვეყანაში რევოლუციისთვის დახარჯა?**

**კონფისკაციის წესით მოპოვებული ძვირფასეულობითა და ვალუტით სავსე ჩემოდნები, რომლებიც კურიერებს არეული რუსეთიდან დასავლეთში გადაჰქონდათ, რევოლუციის ავანსის დაბრუნების პირველი ეტაპი იყო. შემდეგ ფულს აბრუნებდნენ ორთქლმავლების შესყიდვით. შეიძლება დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ბოლშევიკურ ხელისუფლებას არაფერი მსგავსი საზღვარგარეთ არ შეუძენია? რომ შვედებთან კონტრაქტი თავისთავად ერთადერთი იყო? — არა, რევოლუციის ბევრი საიდუმლო ჯერ კიდევ ელის მკვლევარებს...**

პროლეტარიატის ბელადებისა და კაპიტალისტური სამყაროს მათი შეურიგებელი მეგობრების ფინანსური თანამშრომლობის მესამე ეტაპი კონცესიები გახდა. ისინი ბევრი იყო და „ლენა გოლდფილდსი“ მხოლოდ ერთი ეპიზოდია. **ვინ იყო გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყნის პირველი ბანკირი? ლენინი? მეზღვაური დიბენკო? არა, შვედი ბანკირი ულოფ აშბერგი, რომლის ბანკის გავლითაც ფულს რუსეთში რევოლუციისთვის გზავნიდნენ, ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ კი — რუსეთიდან შვედეთში.** ისტორიკოსები გვეუბნებიან, რომ ულოფ აშბერგი გერმანელებისთვის მუშაობდა, მაგრამ 1922 წელს, როდესაც „წითელი“ რუსეთიდან ფულის გადინება გრძელდებოდა, გერმანია ნანგრევებში იყო, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე არც კი არსებობდა.

ყოველთვის მეგონა, რომ პროლეტარის საუკეთესო მეგობარი გლეხია. ვცდებოდი. პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ბანკირი პროლეტარის ჭეშმარიტად საუკეთესო მეგობარია, განსაკუთრებით — შვედი ბანკირი.

„რუსეთის კომერციული ბანკი“ ულოფ აშბერგმა ჩამოაყალიბა. შვედმა ფინანსისტმა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოკლევადიანი დაკრედიტების სააქციო ბანკის ორგანიზების კონცესია მიიღო. როსკომბანკს ეძლეოდა უფლება, განეხორციელებინა ყველა ოპერაცია სახელმწიფო ბანკის ოპერაციების მსგავსად, ემისიების გარდა“.

მაგრამ **არის ფაქტები, რომლებიც პირდაპირ მიგვითითებს,** ▶




**რუსეთის სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგი ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მომენტისთვის 1101 მილიონ ოქროს რუბლს შეადგენდა. ოქროს ნაწილი, 650 მილიონი რუბლი, ევაკუირებულ იქნა ყაზანში, შემდეგ ეს ფული კოლჩაკს ჩაუვარდა ხელში, მისი დამარცხების შემდეგ დაახლოებით 409 მილიონი რუბლი დაუბრუნდა რუსეთს. ამგვარად, სამოქალაქო ომის დამთავრებისას ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო 860 მილიონი რუბლი, თანაც იმ პირობით, რომ ბოლშევიკები ოქროს მარაგიდან კაპიკს არ დახარჯავდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ რომ 1920-იან წლებში სსრკ-ის ხელისუფლებამ ხელი მოაწერა კონტრაქტებს, რომლებშიც დასავლეთის მხრიდან ფიგურირებდნენ არა შვედი შუამავლები, არამედ იმ გვარების წარმომადგენლები, რომლებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის დაფებზე.**

„სამოქალაქო ომის პერიოდში და უშუალოდ მის დამთავრებამდე ლენინური იმპერიის მიერ ამერიკული ფირმებისთვის გადაცემული კონტრაქტების, კონცესიებისა და ლიცენზიების რაოდენობა არის უტყუარი მტკიცებულება ბოლშევიზმის დასავლელი მოკავშირეების მიერ ფინანსური მხარდაჭერის შესახებ: 25 მილიონი დოლარი საბჭოთა საკომისიო ამერიკელი მეწარმეებისთვის 1919 წლის ივლისიდან 1920 წლის იანვრამდე; 1921 წელს **არმანდ ჰამერისთვის** გადაცემული აზბესტის კონცესია; 60 წლით დადებული საიჯარო ხელშეკრულება (1920 წლიდან) ფრენკ ვანდერლიპსა და მის კონსორციუმთან, რომელიც ითვალისწინებდა ნახშირისა და ნავთობის საბადოების ექსპლუატაციასა და თევზის რეწვას ციმბირის ჩრდილოეთ რეგონში 600 ათას კვადრატულ კილომეტრზე“.

**სსრკ-ში ამხანაგ სტალინის ნაცვლად ამხანაგ ტროცკის რომ გაემარჯვა, ბატონი ვანდერლიპის კონცესია სხვა კონცესიებთან ერთად არა 1930-იან, არამედ 1980-იან წლებში დასრულდებოდა. შემდეგ ხელშეკრულებებს კიდევ სამოცი წლით გააგრძელებდნენ.** და ამგვარი კონცესიები, რომლებიც ევროპული სახელმწიფოების ფართობს უდრიდა, იქნებოდა არა ერთი და ორი. **მთელ ქვეყანას, სადაც რაიმე სასარგებლოა, დაანაწევრებდნენ ინვესტორების „გასახარად“, ხოლო ყოველი გაფორმებული „მომგებიანი“ კოტრაქტიდან საბჭოთა კავშირი მიიღებდა არა ლომის წილს, არამედ 7%-ს 80 წლის განმავლობაში.** რევოლუცია — ეს არა მხოლოდ გეოპოლიტიკური კონკურენტების ჩამოცილებაა, არამედ ძალიან მომგებიანი ბიზნესიც. რადგან შიდა აფეთქებით განადგურებული კონკურენტის მთელი ლონება გადადის იმ ძალის ხელში, რომლებიც რევოლუციონერებს ფულს აძლევდნენ.

**მთელი ეს ისტორია „ინვესტორებით“, „ოქროს ორთქლმავლებით“, „7%-ით“ და სხვა ეკონომიკური სასწაულებით რუსეთ-სსრკ-ის უახლესი ისტორიიდან არაფერს გაგონებთ?**

არანაკლებ საინტერესოა მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფოსა და მისი კაპიტალისტური გარემოს ურთიერთობის მესამე ჩანახატი.

## ისტორია მესამე. „გოლოდომორი“ და ოქროს თუმნიანი

„არ არსებობს ისეთი დანაშაული, რომელზეც კაპიტალი 300%-იანი მოგების გამო არ წავიდოდა“, — ამბობდა ბურჟუაზიის დაუკმაყოფილებელი მადის შესახებ **კარლ მარქსი.** თუმცა რუსეთის ისტორიაში შეგვიძლია ვიპოვოთ ფაქტები, რომლებიც თითქოს უარყოფენ ამ გამონათქვამს. საუბარია ჩვენი ქვეყნის რევოლუციის შემდგომ აღდგენაზე. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ესჭიროებოდა ინდუსტრიული წარმოების პრაქტიკულად ყველა პროდუქტი: სამოქალაქო ომის შედეგად რუსეთის ეკონომიკა ნანგრევებში იყო. **უცხოური კაპიტალისთვის ჭეშმარიტად უსაზღვრო მოხმარების ბაზარი იხსნებოდა. სანაცვლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო მხოლოდ სამი რამ შეეთავაზებინა: ხორბალი, სასარგებლო წიაღისეული და ოქრო. აი, სწორედ აქ მოხდა პრაქტიკულად წარმოუდგენელი რამ.**

კაპიტალისტებმა უეცრად უაზრი განაცხადეს რუსეთთან ვაჭრობისას ოქროს, როგორც საგადასახადო საშუალების მიღებაზე!

კაპიტალისტური ქვეყნების ეს უცნაური საქციელი ისტორიაში **„ოქროს ბლოკადის“** სახელით შევიდა. რატომ მოხდა ეს? დასავლეთისთვის სანედლეულო დანამატად ყოფნაზე უარის აუცილებლობა რუსეთის ლიდერებისთვის აშკარა იყო მაშინაც და ახლაც. არსებობდა ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და არეულობის პრობლემის გადაწყვეტის ორი ხერხი.

*** მრეწველობის შენება პრაქტიკულად ახლიდან სწრაფი ტემპით;**

*** ქვეყნის შიგნით წარმოების აღდგენა ნელი ტემპით, არსებული მწირი რესურსების გამოყენებით.**



ულოფ აშბერგი

პირველ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრა მთელი ქვეყნის ყველა ძალის გამოყენებით 10 წელიწადში იყო შესაძლებელი, მეორეში – მეწარმეობის აღდგენის ვადა გაუგებარი იყო, სამაგიეროდ, არანაირ ძალისხმევას არ მოითხოვდა. იგივე დაპირისპირებები ჩნდება ორ ბელადს შორის, რომლებიც 1924 წლის იანვარში, ლენინის სიკვდილის შემდეგ, ძალაუფლებისთვის იბრძოდნენ. **რუსეთის მრეწველობის აღდგენის მომხრე იყო სტალინი, რომელიც სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების თეორიას სწევდა წინ. რთული მისახვედრი არ არის, რომ ამ ყველაფრის მთავარი მეტოქე ამხანაგი ტროცკი იყო, რომლის ფინანსური „ჭიპლარიც“ ამერიკული ბანკების სარდაფებზე იყო მიბმული. სტალინს მიაჩნდა, რომ სსრკ-ში ქარხნები, ფაბრიკები, რკინიგზები უნდა აგებულიყო. უნდა ჩადებულიყო ფული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, აშენებულიყო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები მშრომელთათვის.** მთელი მსოფლიოს პროლეტარების გამოღვიძების ლოდინი საჭირო არაა — შეიძლება ვერც მოვესწროთ.

რას სთავაზობდა ტროცკი? ლევ დავითის ძე ამბობდა, რომ სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენება პრინციპში შეუძლებელია, ამიტომ მასშტაბური მშენებლობა უაზრობაა. რა აზრი აქვს ჭერის მშენებლობას, თუ საძირკველს არ ჩავუყრით! ხოლო **რუსეთში ბედნიერი ცხოვრების საფუძველი მხოლოდ მსოფლიოს რევოლუცია იქნება.** იგი მოწყობია, შემდეგ კი ყველაფერი თავისი რიგით წავა. ეს ნიშნავს, რომ არ გვჭირდება ბაღები და სანატორიუმები, არ გვინდა ფაბრიკები და ქარხნები. საერთოდ არ არის საჭირო არაფერი, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის დაფინანსებისა და ძლიერი ჯარის შექმნის გარდა, რომელიც ხმლების პრიალით გარიჟრაჟს მოუტანს კაცობრიობას. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ მომენტში სსრკ-ს შეუძლია თავს დაესხას ნებისმიერ ქვეყანას, ამხანაგ ტროცკისა და მისი საზღვარგარეთელი მეგობრების არჩევით და თვალსაზრისით, მათი, ვისაც ლევ დავიდის ძე „ორთქლმავლის ფულს“ უგზავნიდა...

ტროცკისტული ოპოზიცია თავგამოდებით ცდილობდა, წინააღმდეგობა გაეწია ქვეყნის აღდგენისათვის, მაგრამ სტალინმა შეძლო თავისი ხაზის დაცვა. შევხედოთ თარიღებს: 1925 წელს საკავშირო კომუნისტური პარტიის XIV ყრილობაზე ინდუსტრიულ წარმოებაში დიდი ნახტომის – „სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის“ განხორციელებაზე იყო კურსი აღებული. და იმავე 1925 წელს დასავლეთი იწყებს „ოქროს ბლოკადას“. ამ საქციელის აზრი მარტივია – ახლა სსრკ-ის დაზგა-დანადგარების შესყიდვა მხოლოდ თავისი ბუნებრივი რესურსების ფასად შეეძლება. ოქრო სახელმწიფო საცავის სარდაფებში ტყუილად იდება. **ნავთობი, ტყე და მარცვლეული — აი, რისი მიღება უნდა დასავლეთს თავისი აღჭურვილობის მიწოდების სანაცვლოდ.** ხოლო ეს მიწოდებები ინდუსტრიალიზაციის მთავარი არსია. ახალი შენობების აშენება შეგვიძლია, მაგრამ დაზგა-დანადგარების გარეშე ისინი უაზრო აგურის ყუთებად დარჩება. ეკონომიკა, რომელიც პრაქტიკულად განადგურებული იყო, მძიმე მრეწველობის ნაკეთობებს ითხოვდა. დასავლური აღჭურვილობის გარეშე შეიძლება არაფერი გამოსულიყო. მიწოდება ბუნებრივი რესურსებით ანაზღაურდება, რადგან ოქროს არ გვართმევენ!

**ნუთუ კარლ მარქსი შეცდა და მსოფლიოს კაპიტალისტებს აღარ აინტერესებდათ არც მოგება, არც ოქრო? არა, მარქსის სიტყვები დანაშაულის ხარჯზე მოგებისთვის სრულიად გამართლდა.** ოღონდ მზადდებოდა განსაკუთრებული დანაშაული. ხოლო მოგებას ათასობით პროცენტი უნდა შეედგინა. **ტროცკისა და სტალინს შორის „შიგა პარტიული“ ბრძოლა სინამდვილეში წარმოადგენდა გადამწყვეტ ბრძოლას საბჭოთა კავშირის ბუნებრივ რესურსებზე კონტროლისათვის. ამ ბრძოლაში ტროცკის რომ გაემარჯვა, კონცესიები სსრკ-ის მთელ ტერიტორიას დაფარავდა და არანაირი დამატებითი ძალისხმევა საჭირო აღარ იქნებოდა.**

მაგრამ ამხანაგი ტროცკი ნელ-ნელა თმობდა პოზიციებს. 1927 წლის 14 ნოემბერს **ტროცკი** და **ზინოვიევი** პარტიიდან გარიცხეს. რატომ? იმიტომ რომ 7 ნოემბერს ოპოზიციამ სცადა მოსკოვსა და ლენინგრადში „ალტერნატიული“ დემონსტრაციების ჩატარება, რომლებიც უფრო სახელწიფო გადატრიალების დაწყების მცდელობას ჰგავდა. სტალინის პასუხი — ტროცკის გარიცხვა პარტიიდან. შემდეგ პოლიტბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება დედაქალაქიდან მისი განდევნის შესახებ.

1928 წლის 10 იანვარს ტროცკი შორეულ ქალაქ ვერნიში (დღვანდელი ალმა–ატა) გაემგზავრა. მგზავრობდა კომფორტულად: ლევ დავიდის ძის განკარგულებაშია ცალკე ვაგონი, რომელშიც მისი და მისი ოჯახის წევრების გარდა, პირადი არქივი, ბიბლიოთეკა და მისთვის აუცილებელი ნივთები (მათ შორის სანადირო ინვენტარი და ძაღლი) იყვნენ.

1929 წლის 10 თებერვალს ტროცკი სსრკ-დან გაასახლეს.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ რუსეთში ბრძოლა წაგებულია და მისი დამორჩილების სხვა ხერხები უნდა გამოიძებნოს. სამხედრო? არა, ეს უკიდურესი ზომაა და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ, თუ არც ერთი სხვა არ იმუშავებს. დასავლეთი ჯერ კიდევ ემზადება ეკონომიკურად, სამხედრო ჩარევის გარეშე საბჭოთა რუსეთის დასაპყრობად. ამისთვის პირველი ნაბიჯი ნაადრევად გაკეთდა – ეს არის სსრკ-ის ოქროზე უარის თქმა. ეს რუსეთს თავისი ნედლეულის უცხოეთში გატანის თვალსაზრისით მგრძობიარეს ხდის, რაც ახლა ქვეყანაში ვალუტის შემოდინების ერთადერთი გზა ხდება. **ამხანაგ ტროცკის სსრკ-დან განდევნის შემდეგ დასავლეთი მორიგ დარტყმას ახორციელებს: წესდება ემბარგო (შეტანის აკრძალვა) დასავლეთში საბჭოთა საქონელზე. ფაქტობრივად, აკრძალულია ხეტყისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ანუ ყველაფერი იმის, რითაც შეიძლება დასავლეთს გადაუხადონ რუსეთის ეკონომიკის დანგრევისთვის. კვლავ ვუყურებთ თარიღებს:**

*** პირველი ხუთწლედი 1929 წელს იწყება;**

*** 1930-1931 წლებში აშშ-მა შეზღუდვები დააწესა;**

*** მსგავსი დეკრეტი საფრანგეთში 1930 წელს გამოიცა.**

1933 წლის 17 აპრილს ბრიტანეთის ხელისუფლება ემბარგოს აცხადებს. იგი 80%-მდე რუსეთის ექსპორტს მოიცავს. მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ ამ პერიოდში მსოფლიოში დიდი დეპრესია მძვინვარებდა. ბევრ საქონელსა და ნედლეულზე მოთხოვნა მკვეთრად დაეცა. ასე რომ, კრიზისის პირობებში დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობა საკუთარი ეკონომიკის საზიანოდ მოქმედებს. იმ წლებში სსრკ ინგლისელი ჩარხმშენებლების მთავარი დამკვეთი იყო. 1932 წელს ნისლიანი ალბიონიდან გამოტანილი დაზგა-დანადგარების 80% საბჭოთა კავშირში მოდიოდა. ხოლო დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობამ უცნაურად გააკეთა ყველაფერი, რომ ამ საქონლის მიწოდება შეუძლებელი გამხდარიყო.

და იცით, სანქციების დაწესებაზე ინგლისელების მიერ ოფიციალურად გამოცხადებული მიზეზები რა იყო? 1933 წლის 26 იანვარს ბრიტანეთი გადასცემს ჩვენს საელჩოს მემორანდუმს. მასში წარმოდგენილია ვაჭრობის შეუძლებლობის სამი მიზეზი: პირველი — სამეფოსთვის გადაუხდელი ვალები, მეორე — ინგლისი მოითხოვს სსრკ-ში დიპლომატებისთვის სავალუტო მაღაზიების გაუქმებას. რაღა არის მესამე? ჩვენი ძველი ნაცნობის — კომპანია „ლენა გოლდფილდსის“ პრეტენზიების დაკმაყოფილება საბჭოთა კავშირის მიერ...

დასავლეთმა ჯერ უარი თქვა, სსრკ-ს ოქროთი გადაეხადა, შემდეგ დანარჩენი ყველაფერი... მარცვლეულის გარდა! **სტალინის ხელისუფლება არჩევანის წინაშე დგება: ან ინდუსტრიალიზაციის აღდგენაზე უარის თქმა, ანუ კაპიტულაცია დასავლეთის წინაშე, ან ინდუსტრიალიზაციის გაგრძელება, რომელიც საშინელ შიდა კრიზისამდე მიგვიყვანს.** თუ ბოლშევიკები გლეხებს მარცვლეულს წაართმევენ, შიმშილის ალბათობა ძალიან მაღალი იქნება, რამაც თავის მხრივ, შეიძლება შიდა აფეთქებამდე და ხელისუფლების ცვლილებამდე მიგვიყვანოს. **რაც უნდა აერჩია სტალინს, გამარჯვებული ყველა შემთხვევაში დასავლეთი გამოდიოდა. იოსებ ბესარიონის ძემ და მისმა გარემოცვამ გადაწყვიტეს, წინ წასულიყვნენ. 1929 წლის ზაფხულიდან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია იწყება.**

სახელმწიფო აგროვებს მარცვლეულს და გზავნის დასავლეთში, მაგრამ არა იმისთვის, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი შიმშილით მოკლას, არამედ იმიტომ, რომ აღჭურვილობის საფასურის გადახდის სხვა გზა არ არსებობს. **სტალინის იმედი ახალ მოსავალზეა დამყარებული. მოსავალი კი მცირე მოვიდა — ქვეყანაში გვალვა იყო. საკვებს სსრკ ვერ შეისყიდის ვერც ოქროთი (ოქროს ბლოკადა), ვერც ვალუტით (ემბარგოს გამო ვალუტა არ არის). არის მცდელობა, სასწრაფოდ შემოიტანონ მარცვლეული სპარსეთიდან, სადაც თანახმანი არიან ოქროთი გადახდაზე. ხელისუფლება ვერ ასწრებს — ხდება კატასტროფა, სწორედ ის, რასაც დღეს უკრაინაში „გოლოდომორს“ ეძახიან...**

**გაგრძელება იქნება**

**რუსეთის მრეწველობის აღდგენის მომხრე იყო სტალინი, რომელიც სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების თეორიას სწევდა წინ. რთული მისახვედრი არ არის, რომ ამ ყველაფრის მთავარი მეტოქე ამხანაგი ტროცკი იყო, რომლის ფინანსური „ჭიპლარიც“ ამერიკული ბანკების სარდაფებზე იყო მიბმული. სტალინს მიაჩნდა, რომ სსრკ-ში ქარხნები, ფაბრიკები, რკინიგზები უნდა აგებულიყო; უნდა ჩადებულიყო ფული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, აშენებულიყო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები მშრომელთათვის**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მათ, ვინც თავიანთ ცხოველებს ლოგინში იწვენენ, უფრო მშვიდად სძინავთ



**მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ შინაური ცხოველები აუმჯობესებენ თავიანთი პატრონების ჯანმრთელობის მდგომარეობას. სოციალურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ საყვარელ არსებებს ნებას რთავენ, პატრონთან ერთად საწოლში მოკალათდნენ, სხვებზე უფრო მშვიდად სძინავთ. ამ მოვლენის შესაძლო მიზეზთა შორის ექსპერტებმა დაასახელეს შედარებითი დაცულობა.** შინაური ცხოველების ყველა პატრონი რეგულარულად იღვიძებს შუაღამისას იმიტომ, რომ მისმა „აღსაზრდელმა“ გადაწყვიტა, სწორედ შუაღამისას ითამაშოს, „დაალაგოს“ სამზარეულო ან კედლებიდან ჩამოხიოს შპალერი. ამ მომენტში ძაღლებისა და კატების პატრონები ფიქრობენ, რომ უკეთ გამოიძინებდნენ, რომ არ ჰყავდეთ ეს ოთხფეხა „მდგმურები“. მაგრამ გამოკვლევების შედეგად მეცნიერები სულ სხვა დასკვნამდე მივიდნენ. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც თავიანთ ცხოველებს ლოგინში იწვენენ, უფრო მშვიდად სძინავთ, ვიდრე მათ, ვინც ამას არ აკეთებს.

# წვერი შეიძლება ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იყოს

**დღეს მსოფლიოში წვერის ტარების ტენდენცია შეიმჩნევა. მას ატარებენ ჰოლივუდის ვარსკვლავები, მეცნიერები, მსახიობები, სამეფო ოჯახის წევრები...**



მაგრამ კამათი იმაზე, რა საფრთხეს წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის სახის ქვედა ნაწილზე მოშვებული თმა, აზრთა სხვადასხვაობით მთავრდება.

მოშვებულ წვერში უგზო-უკვლოდ დაკარგული საჭმლის ნამცეცები ბევრს აშინებს და უკარგავს სურვილს, მოდას აჰყვეს. წვერის ნიმუშების შესწავლისას მეცნიერებმა მასში ნაწლავის ჩხირი აღმოაჩინეს. თუმცა სუფთად გაპარსული მამაკაცების სახეზე უფრო ხშირად ჩნდება მავნე ბაქტერიები, ვიდრე მათი წვერიანი მეგობრებისაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას „დამიჯერე, მე ექიმი ვარ“ ექსპერიმენტს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვა წერტილი ამ საკითხზე დებატებისთვის, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ წვერი, შესაძლოა, შეიცავდეს უცხო ანტიბიოტიკებს.

**კვლევებმა დაადასტურა, დაბანა ხელს არ უშლის წვერში მიკრობების არსებობას, თუმცა ამცირებს მათ რაოდენობას. ასე რომ, წვერიანი მამაკაცები უფრო მეტ ბაქტერიებს ატარებენ, ვიდრე გაპარსულები და ქალები, მაგრამ, როგორც ჩანს, წვერი არა მხოლოდ სახიფათო შეიძლება იყოს ჯანმრთელობისთვის, არამედ ემსახუროს ადამიანის ჯანმრთელობას.**

ექიმი **კრის ვან ტულეკენი** ქუჩა-ქუჩა ეძებდა წვერიან ადამიანებს, მან 20 შემთხვევითი გამვლელისგან აიღო ნიმუშები და შეუდგა მათ შესწავლას. ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მიკრობიოლოგმა, ექიმმა **ადამს რობერტსმა** კი ნიმუშების კულტივირება მოახდინა, აინტერესებდა, რა ამოვიდოდა. მან წარმატებით შეძლო წვერიდან 100 სხვადასხვა ბაქტერიის მიღება, რომელთა უმრავლესობა, ადამიანს, ჩვეულებრივ, კანზე აქვს ხოლმე. ამას გარდა, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ერთ-ერთი — სტაფილოკოკუს ეპიდერმუსი კლავს სხვა ბაქტერიებს. „როდესაც თქვენ წვერს ატარებთ, მასში სხვადასხვა ბაქტერია ცხოვრობს, ისინი იბრძვიან საკვები რესურსებისთვის და სივრცისთვის, ამიტომ გამოიმუშავებენ ისეთ რამეს, როგორიცაა ანტიბიოტიკი“, — ამბობს რობერტსი. თან დასძენს, რომ ზოგიერთი ბაქტერია გამოიმუშავებს ტოქსინებს სხვების მოსაკლავად და ამ ტოქსინების საფუძველზე იქმნება ანტიბიოტიკები.

ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ინფექციები, სულ ცოტა, 700 ათას ადამიანს კლავს წელიწადში, ხოლო 2050 წლისთვის, როგორც ვარაუდობენ, 10 მილიონს მოუღებს ბოლოს.

მეცნიერები იმასაც შეგვახსენებენ, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში არანაირი ახალი ანტიბიოტიკი არ გამოუშვიათ. წვერში აღმოჩენილი ახალი ანტიბიოტიკის ტესტირება კი საკმაოდ ძვირი და რთული პროცესი იქნება და საეჭვოა, რომ უახლოეს პერიოდში მისი გამოყენება მოხდეს.

# კიბოს საწინააღმდეგო სოსისები

**როგორც ცნობილია, ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა მკურნალობაზე გაცილებით მნიშვნელოვანია. ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) მეცნიერები მუშაობენ კიბოს საწინააღმდეგო სოსისების შექმნაზე. მათი აზრით, ხორცისთვის ანტიოქსიდანტების დამატებას შეუძლია ეს პროდუქტი „ანტისიმსივნურ“ საკვებად აქციოს.**



„ანტიოქსიდანტები ბევრია მცენარეულ საკვებში, ისღა დაგვრჩენია, ისინი ხორცსაც დავუმატოთ. ანტიოქსიდანტებიანი სოსისი კი შეიძლება გამოყენებული იქნას ონკოლოგიური პრობლემების განვითარების რისკის შესამცირებლად მათთვის, ვინც არაბალანსირებულად იკვებება და მცენარეული საკვებიდან არასაკმარისად იღებს ანტიოქსიდანტებს“, — ირწმუნება **ევა ტორნბერგი** ლუნდის უნივერსიტეტიდან.

„სიმსივნის საწინააღმდეგო სოსისების“ შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს. სამუშაოს წარმატებით დასრულების შემდეგ მეცნიერები მის გამოცდას ლაბორატორიულ ცხოველებზე აპირებენ. მიზანი კეთილშობილურია, რადგან მისი მიღწევა ადამიანებს მისცემს უფლებას, ნებისმიერი საკვები უშიშრად მიირთვან. „ხორცი სასარგებლოა, არ იწვევს ალერგიას, შეიცავს დიდი რაოდენობით ცილასა და სასარგებლო ნივთიერებებს“, — ხაზს უსვამს ევა ტორნბერგი. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ანტიოქსიდანტები ანელებს დაბერების პროცესს. გამოდის, რომ „სიმსივნის საწინააღმდეგო სოსისები“ ახალგაზრდობასაც შეგვინარჩუნებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა **ძეხვეული** მიაკუთვნეს კიბოს გამომწვევ ნაწარმთა ჯგუფს. გარდა ამისა, დადგენილია, რომ დიდი რაოდენობით **მწვადის** ჭამა თირკმლის კიბოს განვითარებას უწყობს ხელს. კიბოს გამომწვევ პროდუქტთა რიგშია **ლორიც.**

# კარიესის შეჩერება შესაძლებელია სტომატოლოგიური ჩარევის გარეშე

**სიდნეის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ კარიესის შეჩერება შესაძლებელია სტომატოლოგიური ჩარევის გარეშე.**



„კვლევის შედეგები ამტკიცებს, კარიესთან ბრძოლის მეთოდებში აუცილებელია ცვლილებების შეტანა, რადგან ტრადიციულ სამკურნალო პრაქტიკაზე უფრო ეფექტიანი სხვა ზომები აღმოჩნდა“, — განაცხადა მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ვენდელ ევანსმა.**

აქამდე კარიესის აღმოჩენისთანავე საჭირო იყო მისი სწრაფად მოშორება, რათა არ მომხდარიყო მისი პროგრესირება. მაგრამ გამოკვლევამ აჩვენა, რომ კარიესის განვითარებას — ემალიდან კბილის შიგა შრეებამდე მის ჩაღწევას 4-8 წელიწადი სჭირდება. ეს კი საკმარისი პერიოდია კარიესული დაზიანების აღმოსაჩენად და შესაჩერებლად.

მეცნიერებმა პირის ღრუში კბილების რეგენერაციის ტექნოლოგია შეიმუშავეს.

შვიდწლიანმა კვლევამ დაამტკიცა, რომ კბილების რეგულარულად მოვლა არა მხოლოდ მნიშვნელოვნად ამცირებს კარიესის განვითარების რისკს, არამედ შეუძლია, მთლიანად შეაჩეროს პროცესი. მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ კარიესული კბილის შემდგომი დაშლის აღსაკვეთად საჭიროა შაქრის მოხმარების შემცირება და მეტი ყურადღების დათმობა კბილების გაწმენდაზე. ამასთანავე, მეცნიერებმა ურჩიეს სტომატოლოგებს პაციენტთა მკურნალობისას ფტორის შემცველი ლაქის გამოყენება.

მონიტორინგის პროგრამამ, რომელიც განახორციელა ავსტრალიის ჯანმრთელობისა და სამედიცინო კვლევების საბჭომ, დაამტკიცა, რომ კარიესის განვითარების რისკი და დაბჟენის აუცილებლობა შემცირდა 30-50%-ით იმ პაციენტებში, რომლებმაც ზემოთ მითითებული რჩევები გაითვალისწინეს.

# რძე პარკინსონის დაავადებას იწვევს



**იაპონელმა მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ პესტიციდები, რომლებსაც კვების პროდუქტები შეიცავს, იწვევს პარკინსონის დაავადებას. მეცნიერები დაინტერესდნენ და შეისწავლეს ეს ნივთიერება, რათა გაერკვიათ, როგორ მოქმედებს ის ადამიანის ორგანიზმზე.**



გამოკვლევამ აჩვენა, რომ პესტიციდებიანი პროდუქტების ხშირი გამოყენება პრობლემებს უქმნის თირკმელსა და ღვიძლს. ჩვეულებრივი რძის შემადგენლობაში (ხშირ შემთხვევაში) მეცნიერებმა აღმოაჩინეს გეპტაქლორის ეპოქსიდი. შემდეგ კი შეეცადნენ, დაედგინათ ურთიერთკავშირი დაავადების განვითარებასა და რძის გამოყენებას შორის, რომელიც დიდი რაოდენობით პესტიციდებს შეიცავდა. ექსპერიმენტში 54 წლის 100-ზე მეტმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა, რომელთაც პარკინსონის დაავადება ჰქონდათ. ყველა მონაწილეზე დაკვირვება მათ სიკვდილამდე მიმდინარეობდა. გაკვეთის შემდეგ კი მეცნიერები სწავლობდნენ გარდაცვლილი მოხალისეების ტვინის ქსოვილებში მომხდარ ცვლილებებს. შედეგად მეცნიერებმა გარდაცვლილთა ორგანიზმში 90% გეპტაქლორის ეპოქსიდი აღმოაჩინეს.

# ყავას შეუძლია, ღვიძლი ალკოჰოლისგან დაიცვას

**გიყვართ ყავა და პერიოდულად ალკოჰოლსაც იღებთ? მაშინ თქვენ ყველაზე ნაკლები შანსი გაქვთ, რომ ღვიძლის ციროზით დაავადდეთ. ამერიკელი მეცნიერები სტენდფორდის უნივერსიტეტიდან მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყავა სასარგებლოა ადამიანის ღვიძლისთვის, რომელიც პერიოდულად იღებს ალკოჰოლურ დატვირთვას.**



დღეში რამდენიმე ფინჯანი ყავის დალევით ადამიანი ამცირებს თავისი ღვიძლის ალკოჰოლისგან დაზიანების რისკს. **მეცნიერებმა გულდაგულ შეისწავლეს 430 ათასი მოხალისე და საინტერესო დასკვნები გამოაქვეყნეს. იმ ადამიანთა ღვიძლის ციროზით დაავადების შანსი, რომლებიც ყოველდღიურად 2 ფინჯან ყავას სვამენ, 44%-ით მცირეა; ხოლო მათთვის, ვინც დღეში 4-ჯერ მიირთმევს ყავას, ეს მაჩვენებელი 65%-ია. და ეს მაშინ, როცა ამ უკურნებელი დაავადებით მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონი ადამიანი იღუპება.** ალკოჰოლიზმის გარდა, ციროზის მიზეზი ჰეპატიტი და იმუნიტეტთან დაკავშირებული სხვა დაავადებებიც შეიძლება იყოს.

ყავის მავნებლობასა და სიკეთეზე დღეს გაცხარებული კამათია. ზოგი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ყავის ზომიერი მოხმარება ამცირებს კიბოსა და მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის გაჩენის რისკს; ზოგი კი მიიჩნევს, რომ ყავა ნეგატიურად მოქმედებს გულზე, მაღლა სწევს წნევას და სხვ.

რომელს უნდა დავუჯეროთ? ეს არც ისე მარტივი გადასაწყვეტია, მაგრამ მეცნიერება ერთ ადგილას არ იყინება და ადრე თუ გვიან დაადგენს, ყავა სასარგებლოა თუ მავნე.

**მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სადიდებლად, რომელსაც იმის გამო, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ანჩის ტაძარში ესვენა, ანჩისხატი ეწოდა, ქართველებს მრავალი საგალობელი შეუქმნიათ. ეს საგალობლები გვიდასტურებენ ჩვენი წინაპრების განსაკუთრებულ მოკრძალებას ამ სასწაულმოქმედი ხატის წინაშე, რომელიც მის მოსავთ ცოდვათა შენდობასა და დიდ წყალობას ანიჭებდა. თუ რწმენით და სასოებით შევევედრებით, იგი კვლავაც ღირს გვყოფს, რათა ხილულსა თუ უხილავ მტრებთან ბრძოლაში მფარველად გვექმნეს ქართველებს.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უდიდესი სიწმინდე ანჩისხატი

**მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ან როგორც მას საქართველოში უწოდებენ, პირი ღვთის ხატი, ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდეა.
ამ სასწაულმოქმედი ხატის შექმნა უშუალოდ უფალს ჩვენსას, იესო ქრისტეს, უკავშირდება, როცა განკაცებული ღმერთი ჯერ კიდევ ადამიანთა შორის ცხოვრობდა და მათ სასწაულებით აჯილდოებდა.**

ქალაქ ედესას მთავარი, სახელად ავგაროზი უკურნებელმა სენმა შეიპყრო. ექიმებმა მისი გადარჩენის იმედი დაკარგეს. მაშინ ავგაროზმა შიკრიკი აფრინა იესო ქრისტესთან და მისწერა, რომ, თუ ამ სნეულებისაგან განკურნავდა, მის ყოველ ნებას აღასრულებდა და, ურიებისაგან დევნილს, თავის სამეფოში მოსვენებით აცხოვრებდა.

იესო ქრისტემ საპასუხოდ ლოცვა-კურთხევის წერილი გამოუგზავნა, რომელშიც წერდა, რომ მისვლას ვერ შეძლებდა, რადგან თავისი დიდი საქმე ჯერ ისევ აღსასრულებელი ჰქონდა. მაშინ **ავგაროზმა, რომელსაც იესოზე საუბარი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და აუტანელ ტკივილებს უმსუბუქებდა, კარის მხატვარი გაგზავნა, რათა ქრისტეს სახე დაეხატა და მისთვის მოეტანა. ბევრს ეცადა მხატვარი, მაგრამ მაცხოვრის სახის ტილოზე გადატანა ვერ შეძლო, მაშინ იესომ მას ტილო გამოართვა, სახეზე მიიფარა და მასზე მისი სახე სასწაულებრივად აღიბეჭდა.** გახარებული მხატვარი მოციქულ თადეოზთან ერთად მაშინვე ავგაროზისაკენ გაემართა. ქალაქ იეროპოლისს რომ მიუახლოვდნენ, მგზავრებს დაუღამდათ და ღამე ქალაქის განაპირას მცხოვრებ მექოთნის ოჯახში გაათიეს, ხოლო ხატი, იმის შიშით, რომ არ დაზიანებულიყო, ორ გამომწვარ კეცს შორის ჩაასვენეს.

შუაღამისას ზეციდან ჩამოეშვა და ხატს დაადგა ცეცხლის სვეტი, რომელმაც ქალაქის გამგებლის ყურადღებაც მიიქცია. მას ხატის შექმნის ისტორია უამბეს, ხოლო როცა იგი კეცებიდან ამოასვენეს, ნახეს, რომ მაცხოვრის ხატი ზემო კეცზეც გადასულიყო. ქალაქის გამგებელმა ის კეცი თავის სასახლეში წაასვენა.

**VI საუკუნეში მაცხოვრისხატიანი კეცი მონოფიზიტური მწვალებლობის მიმდევართა ტაძარში მოხვდა. იქ იგი ნახა წმიდა ანტონ მარტომყოფელმა, ათცამეტ მამათაგან ერთ-ერთმა, და ეს დიდი სიწმინდე მწვალებელთა ხელში რომ არ დარჩენილიყო, ფარულად წამოიღო, ხოლო როცა იოანე ზედაზნელთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა, ხატიც თან ჩამოასვენა.**

რაც შეეხება ხელთუქმნელი ხატის პირველ პირს, იგი მხატვარმა და მოციქულმა თადეოზმა ედესაში წაასვენეს. ქალაქის მახლობლად მან უკვე სასწაული მოახდინა — განკურნა კუტი ჭაბუკი, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. მეფემ ეს ამბავი რომ შეიტყო, სასწაულმოქმედ ხატს თავისი კარისკაცები შეაგება, რომლებმაც იგი დიდი პატივით შეასვენეს მასთან. ავგაროზი, რომელიც უკვე ექვსი წელი იყო საწოლზე მიჯაჭვული, ემთხვია თუ არა ხატს, მყისვე განიკურნა. ამ სასწაულით გაკვირვებული მეფეცა და მისი ქალაქის მცხოვრებნიც უფალს ადიდებდნენ. **ავგაროზი და მისი ცოლ-შვილი, რომლებმაც ქრისტე ირწმუნეს, მოციქულმა თადეოზმა წმიდა სამების სახელით მონათლა. მეფემ ტილო, რომელზეც მაცხოვრის სახე იყო აღბეჭდილი, ფიცარზე დააკვრევინა და ქალაქის კარიბჭის თავზე დაასვენებინა, რათა ყველას, ვინც ქალაქში შევიდოდა ან ქალაქიდან გავიდოდა, მისთვის თაყვანი ეცა.** ეს ხატი იქ ორასი წლის მანძილზე ესვენა, მაგრამ დადგა დრო, როცა ქრისტიანების ჟლეტა ედესაშიც დაიწყო, ამიტომ ედესის ეპისკოპოსის რჩევით ხატი ქალაქის კედელში დაკრძალეს და წინ დიდი კელაპტარი დაუნთეს.

**გადმოცემით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თაყვანსაცემად ედესაში მოციქულთა სწორი წმიდა ნინოც მისულა გაიანესა და რიფსიმესთან ერთად. გავიდა კიდევ ხანი და 539 წელს ედესაზე ხოსრო მეფის მეთაურობით სპარსელებმა გაილაშქრეს. ქალაქის ეპისკოპოსს ის ადგილი, სადაც ხატი იყო დაკრძალული, სიზმარში ეჩვენა, კედელი გამოანგრიეს და ხატი გადმოასვენეს. სწორედ ამ დროს სპარსელების ბანაკში დიდი არეულობა მოხდა და ხოსრო მეფე იძულებული შეიქნა, უკან გაბრუნებულიყო.**

ამის შემდეგ ერთი საუკუნეც არ იყო გასული, რომ ამ მხარეს უკვე არაბები შემოესივნენ. მათი ხელყოფისაგან რომ დაეცვათ, ბერძნებმა ხელთუქმნელი ხატი ედესიდან კონსტანტინეპოლში დიდი ლიტანიობით გადააბრძანეს და წმინდა სოფიას ტაძარში დაასვენეს.

VIII-IX საუკუნეებში, როცა ბიზანტია ხატმებრძოლების მწვალებლობამ მოიცვა და ხატებს განადგურების საფრთხე დაემუქრა, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი კლარჯეთში, კერძოდ, ანჩის საეპისკოპოსო ტაძარში გადმოასვენეს, რომელიც მდინარე ჭოროხის ხეობაში იდგა. ანჩაში, მეფიდან დაწყებული და უკანასკნელი მდაბიოთი დამთავრებული, მთელი ქართველი ერი მიდიოდა დიდებული ხატის თაყვანსაცემად და მისგან წყალობის მისაღებად. **1194 წელს თამარ მეფემ, როცა თურქები დაამარცხა, ურიცხვი თვალ-მარგალიტი შესწირა ეკლესიებს ხატების შესამკობად. მაშინ ანჩის ეპისკოპოსმა იოანე რკინაელმა მეფეს ხელთუქმნელი ხატის შემკობაც სთხოვა. თამარის ბრძანებით ხატი სახელგანთქმულმა ოსტატმა ბექა ოპიზარმა მოჭედა დიდი ხელოვნებით, რასაც ხატის არშიაზე მიწერილი წარწერა გვამცნობს.**

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ (1453 წ.) ოსმალებმა საქართველოს სამხრეთ რეგიონებსაც შემოუტიეს. ქართველები საკუთარ მიწა-წყალს მამაცურად იცავდნენ, მაგრამ მტერი რიცხობრივად გაცილებით აღემატებოდა მათ და ამიტომ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოიწევდა წინ, ქვეყნის სიღრმეში... ზედიზედ ნადგურდებოდა წინაპართა ჯაფით აშენებული ტაძრები და იქ დაცული სიმდიდრე. მდგომარეობას ართულებდა ღალატიც ქართველთა მხრიდან, რომლებიც მდგომარეობის შესანარჩუნებლად მაჰმადიანდებოდნენ. თავზევით ძალა აღარ იყო და სამღვდელოება იძულებული შეიქნა, ხატები და ჯვრები, საეკლესიო სამკაულები და წიგნები გამოერიდებინა, რათა ბარბაროსი დამპყრობლების გასაქელად არ ქცეულიყო.



ამ დროს გადმოასვენეს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატიც ანჩიდან ახალციხეში, საიდანაც იგი ჯერ სოფელ ჭალაში, იოთამ ამილახვრის ოჯახში, მოხვდა. იოთამის ვაჟს, ღვთისმოყვარე გივი ამილახვარს, ხატის განახლებისთვის დიდად უზრუნია. 20 წლის შემდეგ ხატი ხელახლა შეუმკიათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დომენტის ბრძანებით, რომელიც ვახტანგ მეექვსის ძმა იყო. კათოლიკოს-პატრიარქ დომენტის ბრძანებით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ამილახვართა ოჯახიდან თბილისში ჩამოასვენეს და საკათალიკოსო ტაძარში დააბრძანეს. ამის შემდეგ ამ საკათედრო ტაძარს, რომელიც VII საუკუნეში აშენდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე, ანჩისხატის ტაძარი ეწოდა.

**ავგაროზმა, რომელსაც იესოზე საუბარი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და აუტანელ ტკივილებს უმსუბუქებდა, კარის მხატვარი გაგზავნა, რათა ქრისტეს სახე დაეხატა და მისთვის მოეტანა. ბევრს ეცადა მხატვარი, მაგრამ მაცხოვრის სახის ტილოზე გადატანა ვერ შეძლო, მაშინ იესომ მას ტილო გამოართვა, სახეზე მიიფარა და მასზე მისი სახე სასწაულებრივად აღიბეჭდა**



ავგაროზი იღებს ხელთუქმნელ ხატს თადეოზისაგან

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სადიდებლად, რომელსაც იმის გამო, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ანჩის ტაძარში ესვენა, ანჩისხატი ეწოდა, ქართველებს მრავალი საგალობელი შეუქმნიათ. ეს საგალობლები გვიდასტურებენ ჩვენი წინაპრების განსაკუთრებულ მოკრძალებას ამ სასწაულმოქმედი ხატის წინაშე, რომელიც მის მოსავთ ცოდვათა შენდობასა და დიდ წყალობას ანიჭებდა. თუ რწმენით და სასოებით შევევედრებით, იგი კვლავაც ღირს გვყოფს, რათა ხილულსა თუ უხილავ მტრებთან ბრძოლაში მფარველად გვექმნეს ქართველებს.

* * *

**მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ისტორიული თბილისის ზემო უბანში, მდებარე ანჩისხატის ტაძარი VI საუკუნის დასაწყისში, ქვეყნის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანისთანავეა აგებული, როცა ქართლში ვახტანგ გორგასლის შვილი, დაჩი უჯარმელი მეფობდა. ანჩისხატის ეკლესია იმ ეპოქიდან შემორჩენილი ერთადერთი ნაგებობაა. ტაძარი ტუფის თლილი ქვებით ნაგები სამნავიანი ბაზილიკაა. იგი ადრეული საუკუნეების არქიტექტურული ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს და მხატვრული გადაწყვეტით ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ძეგლს — ბოლნისის სიონს უახლოვდება.**

ტაძარმა თხუთმეტსაუკუნოვან ქარტეხილს გაუძლო და ჩვენამდე მრავალჯერ აღდგენილმა და გადაკეთებულმა მოაღწია. აგებიდან ერთი საუკუნის შემდეგ ხანგრძლივი ომის შედეგად თბილისი ბიზანტიელთა და ხაზართა გაერთიანებულმა ლაშქარმა აიღო. ამ დროს ტაძარი ისე დაზიანებულა, რომ 634 წელს ქართლის კათოლიკოს ბაბილას ლამის თავიდან აუგია.

1664 წელს ქართლის კათოლიკოსმა დომენტი III-მ თბილისელი ვაჭრისაგან შეიძინა სამცხიდან, ანჩის მონასტრიდან, ჩამოტანილი ბექა ოპიზრის მიერ მოჭედილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი (1555 წელს კლარჯეთი ოსმალთა ხელში გადავიდა და VI საუკუნეში დაარსებული ანჩის საეპისკოპოსოც გაუქმდა). ხატის ახალ ადგილსამყოფელად საკათოლიკოსო ტაძარი, ყოვლადწმიდა მარიამის შობის ეკლესია შეირჩა. სწორედ ამ დროიდან დამკვიდრდა მისი ახალი სახელი — ანჩისხატის ეკლესია.

**არაბთა ბატონობის პერიოდში ანჩისხატი იყო საქართველოში ერთადერთი ტაძარი, რომელშიც ღვთისმსახურებს ეძლეოდათ ზარების დარეკვის უფლება.** 1683 წელს ეკლესია მოხატეს ნიკოლოს კათალიკოსის მეთაურობით.

1755 წელს ტაძართან საერო სკოლა და სასულიერო სემინარია ჩამოყალიბდა. სემინარიამ 1795 წლამდე, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე, იარსება. ამ დროს ეკლესია ძალიან დაზიანდა. 1814 წელს ტაძარი თავიდან მოუხატავთ. 70-იან წლებში მას ყალბი გუმბათი დაადგეს და დასავლეთიდან მრავალსართულიანი სამრეკლო მიაშენეს. ანჩისხატის ეკლესიას რესტავრაცია 1958-64 წლებში ჩაუტარდა და შენობას დაუბრუნდა ისეთი სახე, როგორიც დომენტი კათოლიკოსის დროს ჰქონდა. ათას ხუთასი წლის ანჩისხატის ეკლესია დღესაც მოქმედია.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დობერმანის, გერმანული ნაგაზის ან როტვეილერის ლეკვი, თუკი მას სახლში მარტო დატოვებთ, იმ ნივთებს „გაუსინჯავს გემოს“, რომლებსაც მისწვდება. ასევეა ინგლისური ბულდოგი, 8 საათის გასვლის შემდეგ, როცა მიხვდება, რომ სახლში მარტოა, მაღაზიაში ნაყიდ ძვლებს ზედაც არ შეხედავს. ბორდერ კოლი იმისთვისაა გამოყვანილი, რომ ყოველდღე იმუშაოს, მაგრამ, თუ უმოქმედოდ გავაჩერებთ, თავს უბედურად იგრძნობს და აუცილებლად თვითონ გამოიძებნის „საქმეს“.**

# ყველაზე ჭკვიანი ძაღლები

**ადამიანის მეგობარი ძაღლი რომ ჭკვიანი არსებაა, არახალია, მაგრამ მათ შორისაც არის განსხვავება: ზოგიერთი ჯიში სწრაფად ითვისებს სხვადასხვა დავალებას, ზოგიერთისთვის კი მეტი ვარჯიშია საჭირო. 1994 წელს ბრიტანეთის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრამ ფსიქოლოგიის პროფესორ სტენლი კორენის ხელმძღვანელობით ჩაატარა ცდა.**


ბორდერ კოლი


პუდელი

**მან შეადგინა 133 ჯიშის ძაღლის ინტელექტის შკალა. მათ 200-მდე პროფესიონალი სპეციალისტი მიიწვიეს და დაახლოებით 110 ჯიშის ძაღლი გამოსცადეს. ცხოველებს სხვადასხვა დავალება მისცეს, რათა გაეგოთ, რომელი ჯიშის ძაღლები არიან ყველაზე ჭკვიანები.**

**გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით სტენლი კორენმა დაწერა წიგნი ძაღლის ინტელექტზე, რომელიც იმთავითვე იქცა ბესტსელერად. მასში ახსნილია კორენის თეორიები ინტელექტის სხვადასხვაობის შესახებ ამა თუ იმ ჯიშის ძაღლებში. 2006 წელს წიგნი მეორედაც გამოიცა.**

კორენი თავის წიგნში განსაზღვრავს ძაღლის 3 ინტელექტს:

**1) ინსტინქტური ინტელექტი;**

**2) ადაპტირებული ინტელექტი;**

**3) სამუშაო და მორჩილებითი ინტელექტი.**

ინსტინქტური ინტელექტი ეხება ძაღლის შესაძლებლობას, შეასრულოს დავალებები, რომლისთვისაც ის იქნა გამოყვანილი, მაგალითად: პირუტყვის მწყემსვა, სხვადასხვა ნივთის მოტანა, დარაჯობა ან, უბრალოდ, კომპანიონობის გაწევა ადამიანისთვის.

ადაპტირებული ინტელექტი განსაზღვრავს ძაღლის შესაძლებლობას, გადაჭრას სხვადასხვა პრობლემა.

სამუშაო და მორჩილებითი ინტელექტი კი მიუთითებს ძაღლის შესაძლებლობაზე, ისწავლოს სხვადასხვა რამ ადამიანებისგან.

**მეთოდი:**

ძაღლების სხვადასხვა ჯიშის ინტელექტის მიხედვით კატეგორიებად დასაყოფად წიგნი ფოკუსირებას ახდენს სამუშაო და მორჩილებით ინტელექტზე. ძაღლის ინტელექტის განსაზღვრისათვის ავტორმა საფუძვლად აიღო 2 პარამეტრი: ახალი ბრძანების გაგება და ამ ბრძანების შესრულება პირველივე ჯერზე. სტენლი კორენმა თხოვნით მიმართა ამერიკისა და კანადის კენელ კლუბების მსაჯებს, შეეფასებინათ ძაღლის სხვადასხვა ჯიში ზემოაღნიშნული ორი პარამეტრის მიხედვით და პასუხად მიიღო 199 შეფასება, რომელთა საფუძველზეც შეადგინა სია. ძაღლის ის ჯიშები, რომლებიც არ არის აღიარებული ამერიკული თუ კანადური კენელ კლუბის მიერ (როგორიცაა მაგალითად ჯეკ რასელ ტერიერი), არაა შესული კორენის მიერ შედგენილ სიაში.

თვითონ კორენის აღიარებით, ამ შკალის ნაკლად ითვლება მისი ძლიერი დამოკიდებულება ძაღლის დამჯერობისა და მის მიერ ბრძანების შესრულების შესაძლებლობებზე (მაგალითად, მუშა და მომსახურე ძაღლები) და ასევე სუსტი კავშირი გაგებისადმი (მაგალითად, მონადირე ძაღლები). შედეგად, ძაღლის ზოგიერთი ჯიში თავისი ჯიუტი და დამოუკიდებელი ხასიათის გამო სიაში უფრო მეტად დაბალ საფეხურზე აღმოჩნდა, ვიდრე იგი სინამდვილეშია. ეს ნადვილად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ძაღლები ნაკლებად ჭკვიანები არიან და არ ექვემდებარებიან სწავლებას.

**სტენლი კორენი ძაღლის ყველა ჯიშს 6 კატეგორიად ყოფს:**

**1) ძაღლები, სწავლების ბრწყინვალე დონით;**

**2) ძაღლები, სწავლების შესანიშნავი დონით;**

**3) ძაღლები, სწავლების საშუალოზე მაღალი დონით;**

**4) ძაღლები, სწავლების საშუალო დონით;**

**5) ძაღლები, სწავლების საშუალოზე დაბალი დონით;**

**6) ძაღლები სწავლების ყველაზე დაბალი დონით.**

წიგნის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ბოლო ხანს გამოყვანილი ძაღლის ჯიშები, როგორც წესი, უფრო ჭკვიანები არიან და უფრო ადვილად ექვემდებარებიან წვრთნას, ვიდრე ძველი და დიდი ხნის ცნობილი ძაღლის ჯიშების წარმომადგენლები.

მაშ ასე, ძაღლების პირველი კატეგორია:

*** ახალი ბრძანების გაგება: 5-ზე ნაკლები გამეორებით.**

*** ბრძანების შესრულება პირველივე ჯერზე:** 95 % და მეტ შემთხვევაში.

გამომდინარე ცხოველების შესაძლებლობებიდან, თუ რამდენად შეეძლოთ ბრძანების გააზრება და შესრულება, სტენლი კორენმა ძაღლები რეიტინგში დაყო ჯგუფებად.

პირველი ჯგუფში „აინშტაინები“ — **ყველაზე მეტად გონიერები და განსაკუთრებული უნარის ჯიშებია წარმოდგენილი.**

აქ პირველი ათი ადგილი გაინაწილეს ყველაზე ინტელექტუალური ჯიშის ძაღლებმა, რომლებიც გამოირჩევიან დამჯერი ხასიათით და ბრძანებაზე მყისიერად რეაგირებენ. ასეთი ძაღლების გაწვრთნა ადვილიცაა და სასიამოვნოც.

წაიკითხეთ ეს სტატია და გახსოვდეთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული რეიტინგი არ არის დოგმა. შესაძლოა, ჯიშისა და წლოვანების მიუხედავად, თქვენი ძაღლი ყველაზე ჭკვიანი იყოს.

მაშ, ასე:

**მსოფლიოს კინოლოგები შეთანხმდნენ, რომ ყველაზე ჭკვიანი ჯიში არის ბორდერ კოლი.**

ეს ჯიში დიდ ბრიტანეთში XVIII საუკუნეში გამოიყვანეს. გამოირჩევა ექსტრაორდინარული ინსტინქტით, აქვს შინაგანი მოთხოვნა, ემსახუროს ადამიანს. ამ ძაღლებს უყვართ მუშაობა. მათზე ამბობენ კიდეც, რომ ისინი იმიტომ ცოცხლობენ, რომ იმუშაონ. ალბათ, ამიტომ მეცხვარეები კოლის უძველესი დროიდან იყენებდნენ ინგლისსა და შოტლანდიის სასაზღვრე მთიან რაიონებში სამუშაოდ. ის ჯერ კიდევ ყველაზე პოპულარული მუშა მეცხვარე ძაღლია დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში.

ბორდერ კოლი ლამაზია, კარგად ეგუება სიცივეს, აქვს სქელი, მბზინავი ბალანი, რომლის შეფერილობა შეიძლება იყოს ჟღალი, მარმარილოსებრი (ბლუ-მერლი), სამფეროვანი (შავი, ჟღალი, თეთრი), შავთეთრი, ყავისფერი, შავი. აქვს სწორი და ძლიერი წინა ფეხები, ძალიან დიდი თვალები, კისერს გრძელი ბალანი უფარავს, კუდი დაშვებულია. ადვილად ემორჩილება წვრთნას, მეგობრულია, უყვარს ბავშვები. მოკლედ, მათი გამოყენება შეიძლება, როგორც მცველის, როგორც „ძიძის“ ან, უბრალოდ, როგორც ეზოს ჭკვიანი ძაღლის.

**მეორე ადგილზეა პუდელი,** ჯიში, რომლის ზუსტი წარმომავლობა დღემდე უცნობია. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ეს ერთ ციცქნა ძაღლი თავისი ინტელექტით მეორე ადგილზე გავიდოდა! ზოგი თვლის, რომ ის ფრანგული ჯიშია, ზოგის აზრით კი, პუდელის სამშობლო გერმანიაა.

არსებობს ვერსია, რომ მისი წინაპრები მონადირე ძაღლები იყვნენ, რადგან დღესაც არსებობენ ფრინველზე მონადირე პუდელები.

პუდელი არის მხიარული, ჭკვიანი და მოძრავი ძაღლი. უყვარს სეირნობა და თამაში. ადვილად ექვემდებარება წვრთნას. იგი არის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული დეკორატიული ძაღლი დახვეული შავი, თეთრი, ყავისფერი, ოქროსფერი ან ვერცხლისფერი ბეწვით. არიან პატარებიც და დიდი ტანისანიც.

ამასთანავე, ის საუკეთესო მაშველია, კარგად ცურავს და შეუძლია დახრჩობას გადაარჩინოს ადამიანი.

ისინი არიან საოცრად აქტიურები, სწორედ ამიტომ ხშირად მარტო ყოფნამ, ან უყურადღებობამ შეიძლება ის ღრმა დეპრესიამდე მიიყვანოს.

**მესამე ადგილი წილად ხვდა გერმანულ ნაგაზს.** სპეციალისტების აზრით, ამ ჯიშის წარმომადგენლები საზრიანობით გამოირჩევიან, რის გამოც ისინი სამხედროთა და ძალოვანთა კარგი თანაშემწეები არიან.

დღევანდელი სახით გერმანული ნაგაზი XIX საუკუნის ბოლოს გერმანიაში გამოიყვანა მაქს ფონ შტეფანიცმა. ვიურტემბერგის, ტიურინგისა და ბავარიის მეცხვარე ძაღლების შეჯვარებით **ფონ შტეფანიცმა** მიიღო ლამაზი, ფხიზელი, დამჯერი გერმანული ნაგაზი.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისთვის გერმანული ნაგაზი ძალიან პოპულარული გახდა გერმანიაში და მალე მთელ მსოფლიოში გავრცელდა.


გერმანული ნაგაზი


ოქროსფერი რეტრივერი

**მეოთხე პოზიციაზეა ოქროსფერი რეტრივერი.** მას ბევრი საერთო აქვს ლაბრადორ რეტრივერთან, მაგრამ ოქროსფერი რეტრივერი გაცილებით ჭკვიანია, ადვილი გასაწვრთნელია, მოსწონს ბავშვები.

ამ ჯიშის გონიერება და უნივერსალობა უამრავ საქმეში ვლინდება. ლეკვებს, ძირითადად, წვრთნიან უსინათლოთა მეგზურებად და სმენადაქვეითებულთა კომპანიონებად; მათი მეშვეობით პოულობენ ნარკოტიკებს; მათ ასევე იყენებენ მაძიებელ და სამაშველო მისიებში.

**მეხუთეა დობერმანი.**

XIX საუკუნის ბოლოს გერმანიაში გამოიყვანა **ფრიდრიხ ლუის დობერმანმა,** რომლის პატივისცემის ნიშნად ახალგამოყვანილი ჯიშის ძაღლს ეწოდა დობერმანი.

დობერმანი საშუალო და საშუალოზე მაღალი ზომის ჯიშია. ზრდასრული მამრის სიმაღლე 68-72 სმ-ია, მდედრისა — 63-68 სმ. ▶

**ვიდრე ძაღლს შეარჩევთ, უნდა შეადაროთ თქვენი ენერგია იმ ჯიშის ენერგიას, რომლის აყვანასაც აპირებთ. ხართ კი ის ადამიანი, რომელიც ძაღლს ყოველდღიურად რამდენიმე საათს დაუთმობს? რამდენი დროის დათმობა შეგიძლიათ ცხოველის აღზრდისთვის? რადგან, რაც უფრო ენერგიულია ძაღლი, მით მეტ დროს მოითხოვს თქვენგან**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუდელი არის მხიარული, ჭკვიანი და მოძრავი ძაღლი. უყვარს სეირნობა და თამაში. ადვილად ექვემდებარება წვრთნას. იგი არის მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული დეკორატიული ძაღლი დახვეული შავი, თეთრი, ყავისფერი, ოქროსფერი ან ვერცხლისფერი ბეწვით. არიან პატარებიც და დიდი ტანისანიც. ამასთანავე, ის საუკეთესო მაშველია, კარგად ცურავს და შეუძლია დახრჩობას გადაარჩინოს ადამიანი.**

დობერმანი მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას მოკლე, ხშირი, მბზინავი ბალანი აქვს. ის კარგი მოდარაჯე ძაღლია, გამოირჩევა საოცარი მეგობრულობით და სიმშვიდით. მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 14 წლამდეა. ამ ჯიშის ძაღლების გაწვრთნა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დამორჩილება ძნელია — გააკეთებს იმას, რაც მოესურვება.

**მეექვსეა შელტი.** ამ ჯიშის ძაღლები ძალიან გვანან კოლის. თავდაპირველად შელტიც ცხვარს მწყემსავდა. ამ საქმიანობას ის დღესაც აგრძელებს, მაგრამ ამ ჯიშის ბევრი წარმომადგენელი ქალაქშიაც ცხოვრობს. შელტი მრავალმხრივი და შემგუებლური ბუნების ძაღლია, კარგი სმენა აქვს, ადვილად იწვრთნება, ერთგული კომპანიონია და, თავისი დეკორატიული გარეგნობის მიუხედავად, შეუძლია დაიცვას თავისი პატრონი.

ამ ჯიშის ბევრი მეპატრონე ამტკიცებს, რომ ხანდახან მათი ძაღლების ინტელექტი ადამიანისას უახლოვდება... ეს რამდენად სწორია, ალბათ, მხოლოდ პატრონებმა იციან, მაგრამ ფაქტია, რომ, საზოგადოდ, მეცხვარეები გამოირჩევიან გონებაგახსნილობით, რადგან მათი თავდაპირველი დანიშნულება (მეცხვარეობა) დაკავშირებულია დიდ გონებრივ კონცენტრაციასთან და ინტელექტთან. მისი ყოლა რეკომენდებული არ არის ბავშვებთან და უცხოებთან, თუმცა ნამდვილად არიან პატრონის ერთგულები.

**მეშვიდეა ლაბრადორ-რეტრივერი** — ერთ-ერთი პოპულარული ძაღლის ჯიში. ეს ძაღლი განთქმულია, როგორც მონადირე წყლიან და ჭაობიან ადგილებში მობინადრე ცხოველებზე. ასევე, ცნობილია კომპანიონი ძაღლის სახით. არიან უსინათლოთა ჩინებული მეგზურები. იგი ადვილად ექვემდებარება წვრთნას. როგორც როტვეილერები, ლაბრადორებიც პოლიციაში მსახურობენ და სამართალდამცავებს კარგ დახმარებას უწევენ ნარკოტიკების აღმოჩენაში.

ლაბრადორი შედარებით დიდი ტანის იზრდება. მამალი საშუალოდ 30-36 კგ-ს იწონის, დედალი კი — 25-32 კგ-ს. აქვს მოკლე და სწორი ბეწვი, რომელსაც წლის განმავლობაში ორჯერ იცვლის ან რეგულარულად — მთელი წლის განმავლობაში. წავისებური კუდი და აპკიანი თათები შესანიშნავ მოცურავედ აქცევს. ამაში ხელს უწყობს ბეწვიც, რომელიც არ ატარებს წყალს. ამდენად, ლაბრადორ-რეტრივერები საუკეთესო მაშველები არიან.

ლაბრადორი, ზოგიერთ სხვა ჯიშთან ერთად, გამოირჩევა იმით, რომ არ ხრის უკანა ფეხებს წოლისას.

აშშ-ში ის ოჯახისთვის ყველაზე პოპულარულ ძაღლადაა მიჩნეული და მსოფლიოში ის ერთ-ერთ ინტელიგენტურ ძაღლად ითვლება.

**მერვე — პაპილონი.** ამ ჯიშის წარმომადგენლები განსაკუთრებით ლამაზები და ჭკვიანები არიან. პაპილონი იყო და არის ელეგანტურობის სიმბოლო. მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი ქალბატონები და თვით მეფეებიც კი გვერდიდან არ იცილებდნენ ამ ჯიშის ძაღლებს.

აქედან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, შეიძლება ამ ძაღლის შემხედვარე ვინმეს შიში დაეუფლოს? ალბათ არა, მაგრამ საქმე ისაა, რომ უნდა გეშინოდეთ! ეს ერთი შეხედვით საყვარელი და უწყინარი ძაღლი იმაზე გაცილებით გულადი და აგრესიულია, ვიდრე თქვენ გგონიათ, ზოგი ადამიანი კი მათ ახასიათებს როგორც „განწყობის“ ძაღლს. თუმცა ერთი რამ უდავოა: ისინი პატრონის მიმართ ძალიან ერთგულები და მოსიყვარულენი არიან. როტვეილერის მსგავსად, ისინიც საკმაოდ მარტივად საწვრთნელი ძაღლები არიან.

**მეცხრე — როტვეილერი.**

ეს ჯიში გამოყვანილია გერმანიაში 1820-იან წლებში. მათ ნადირობისას იყენებდნენ და კუდს არ აჭრიდნენ. დღეს ეს ლამაზი, ძლიერ შთამბეჭდავი ტახზე მონადირე ძაღლი მსოფლიოშია პოპულარული, როგორც კომპანიონი და მონადირე. აქვს ძლიერი სხეული და ყბები, უხეში ბეწვი მჭიდროდ ეკვრის სხეულს. უკანა ფეხები წინაზე გრძელი აქვს, მრგვალი კისერი — დაკუნთული.

როტვეილერი კარგად ეგუება ქალაქის პირობებში ცხოვრებას, კარგი მოდარაჯეა. სჭირდება ძლიერი ფიზიკური დატვირთვა. შეიძლება პრობლემები წარმოიქმნას სხვა ძაღლებთან ურთიერთობისას.

სწორად გაწვრთნილი როტვეილერები ერთგული, მოსიყვარულე, შეუცვლელი კომპანიონები არიან. გამოირჩევიან გონიერებით, რაც საპოლიციო, სამხედრო და საბაჟო საქმიანობაში მრავალწლიანი მუშაობით დაამტკიცეს. მისი წვრთნა ადრეული ასაკიდანვეა საჭირო, ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ არ გაავდეს.


დობერმანი


შელტი

**მსოფლიოს კინოლოგები შეთანხმდნენ, რომ ყველაზე ჭკვიანი ჯიში არის ბორდერ კოლი. ეს ჯიში დიდ ბრიტანეთში XVIII საუკუნეში გამოიყვანეს. გამოირჩევა ექსტრაორდინარული ინსტინქტით, აქვს შინაგანი მოთხოვნა, ემსახუროს ადამიანს. ამ ძაღლებს უყვართ მუშაობა. მათზე ამბობენ კიდეც, რომ ისინი იმიტომ ცოცხლობენ, რომ იმუშაონ. ალბათ, ამიტომ მეცხვარეები კოლის უძველესი დროიდან იყენებდნენ ინგლისსა და შოტლანდიის სასაზღვრე მთიან რაიონებში სამუშაოდ. ის ჯერ კიდევ ყველაზე პოპულარული მუშა მეცხვარე ძაღლია დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში**


ლაბრადორი


პაპილონი

**დასარულ, მეათე — ავსტრალიური მეცხვარე ძაღლი.**

ეს ჯიში ავსტრალიერებმა გამოიყვანეს ცხვრის ფარის სამწყემსავად. გამოირჩევა გონიერებით, აქტიურობით, ადვილად იწვრთნება.

მათ ესაჭიროებათ რეგულარული ვარჯიში როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი. ისინი არიან თავისუფალნი, კონტაქტურები. საკმაოდ აქვთ განვითარებული დაცვითი ინსტინქტები და ისევე იცავენ სხვადასხვა ნივთებს, როგორც ადამიანებს, თითქმის უსიტყვოდ ესმით პატრონის.

# არიან თუ არა ჭკვიანი ძაღლები საუკეთესო შინაური ცხოველები

**ხომ არ ფიქრობთ, რომ ჭკვიანი ძაღლი ყოველთვის იმას გააკეთებს, რაც თქვენ გსურთ? რა თქმა უნდა, არა.**



მაგალითად, იმავე **დობერმანის, გერმანული ნაგაზის** ან **როტვეილერის** ლეკვი, თუკი მას სახლში მარტო დატოვებთ, იმ ნივთებს „გაუსინჯავს გემოს“, რომლებსაც მისწვდება.

ასევეა ინგლისური **ბულდოგი**, 8 საათის გასვლის შემდეგ, როცა მიხვდება, რომ სახლში მარტოა, მაღაზიაში ნაყიდ ძვლებს ზედაც არ შეხედავს.

**ბორდერ კოლი** იმისთვისაა გამოყვანილი, რომ ყოველდღე იმუშაოს, მაგრამ, თუ უმოქმედოდ გავაჩერებთ, თავს უბედურად იგრძნობს და აუცილებლად თვითონ გამოიძებნის „საქმეს“. სხვა საქმეა, ეს მოეწონება თუ არა პატრონს.

იყო ჭკვიანი ძაღლის პატრონი, ეს იგივეა, იყო მშობელი ნიჭიერი ბავშვისა, რომელიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, თუკი მოიწყენს. სტენლი კორენი ირწმუნება, რომ მისი საყვარელი ძაღლი ბიგლი, რომელმაც რეიტინგში ყველაზე ცოტა ქულა დააგროვა, უბედნიერესად გრძნობდა თავს კორენის 9 შვილიშვილს შორის, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევდნენ.

ვიდრე ძაღლს შეარჩევთ, უნდა შეადაროთ თქვენი ენერგია იმ ჯიშის ენერგიას, რომლის აყვანასაც აპირებთ. ხართ კი ის ადამიანი, რომელიც ძაღლს ყოველდღიურად რამდენიმე საათს დაუთმობს? რამდენი დროის დათმობა შეგიძლიათ ცხოველის აღზრდისთვის? რადგან, რაც უფრო ენერგიულია ძაღლი, მით მეტ დროს მოითხოვს ის თქვენგან.

როცა ადამიანები ფიქრობენ, რომ აუცილებლად სჭირდებათ ჭკვიანი ძაღლი, ჰგონიათ, რომ მასთან გაცილებით ადვილი იქნება ურთიერთობა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის, ამიტომ, სანამ არჩევანს გააკეთებთ, ეს ყოველივე უნდა გაითვალისწინოთ.


როტვეილერი


ავსტრალიური მეცხვარე

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1853 წლის 30 მარტს ქალაქ ბრედასთან ახლოს, გროტ-ზიუნდერტში (ჰოლანდია) დაიბადა გამოჩენილი ჰოლანდიელი მხატვარი, პოსტიმპრესიონისტი ვინსენტ ვილემ ვან გოგი.**

მისი ცნობილი ტილოებია: „მზესუმზირები“, „ზამბახები“, „ვარსკვლავებიანი ღამე“, „არლის ხედი“, „ზეთისხილის ჭალა“, „ხორბლის ყანა კვიპაროსებით“, „კაფეს ტერასა ღამით“, „დოქტორი გაშე“, „ავტოპორტრეტი მოჭრილი ყურით“ და სხვ.

გარდაიცვალა 1890 წლის 29 ივლისს.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.

*** 1746 წლის 30 მარტს სარაგოსასთან ახლოს, ფუენდეტოდოსში (ესპანეთი) დაიბადა ესპანელი მხატვარი და გრავიორი, რომანტიზმის ეპოქის წარმომადგენელი ფრანსისკო გოია (ფრანსისკო ხოსე დე გოია ი ლუსიენტესი).**

მისი ცნობილი ტილოებია: „შიშველი მახა“, „კოლოსი“, „ქოლგა“, „ფესტივალი სან-ისიდროში“, „ივდითი და ოლოფერნი“, „1808 წლის 3 მაისი მადრიდში“, „შემოსილი მახა“, „მსხვერპლშეწირვა“, „ვენერა და ადონისი“, „ხარების ბრძოლა“ და სხვ.



გარდაიცვალა 1828 წლის 18 აპრილს.



*** 1945 წლის 4 აპრილს დაიწყო ვერმახტის 882-ე ქართული ბატალიონის აჯანყება ნაცისტური გერმანიის მიერ ოკუპირებულ კუნძულ ტექსელზე (ჰოლანდია).**

ვერმახტის 822-ე ქართული ბატალიონი, რომელიც თამარ მეფის სახელს ატარებდა, 1943 წლის ივნისში პოლონეთში ჩამოყალიბდა ტყვედ ჩავარდნილი და „ქართული ლეგიონის“ რიგებში მიღებული ქართველი საბჭოთა ჯარისკაცებისგან. 1945 წლის თებერვალში, როდესაც გერმანიის სარდლობამ ბატალიონი ტექსელზე გადაიყვანა, ის 800-მდე ქართველ და 400-მდე გერმანელ ჯარისკაცს ითვლიდა.

ქართველი ჯარისკაცების აჯანყება, რომელსაც შალვა ლოლაძე ხელმძღვანელობდა 4 აპრილს, ღამით დაიწყო და მალე მთელი კუნძული ამბოხებულთა ხელში აღმოჩნდა, მაგრამ მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმა დაგვიანდა და 20 აპრილს გერმანელთა დამატებითმა ძალებმა აჯანყება ჩაახშეს. მძიმე ბრძოლებში დაიღუპა 800 გერმანელი, 565 ქართველი და 117 ადგილობრივი მცხოვრები.



*** 1889 წლის 31 მარტს პარიზის ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა ლითონის კონსტრუქციის 300 მ სიმაღლის ეიფელის კოშკი, რომელიც შექმნა ფრანგმა ინჟინერმა გუსტავ ეიფელმა (1832-1923).**




*** 1949 წლის 4 აპრილს 12 სახელმწიფომ — აშშ-მა, კანადამ, ისლანდიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა, ნორვეგიამ, დანიამ, იტალიამ და პორტუგალიამ შექმნეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი — ნატო,** რომლის დეკლარირებული მიზანი არის ნებისმიერი ფორმის აგრესიის შეჩერება ნატოს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ან აგრესიისგან დაცვა.

ამჟამად ნატოში 28 სახელმწიფოა გაერთიანებული.



*** 1939 წლის 31 მარტს თბილისში სახელგანთქმული ქართველი მწერლის — კონსტანტინე გამსახურდიასა და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში დაიბადა მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (1973-1990) ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-92) ზვიად გამსახურდია.**

დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტის დოცენტად.

გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები რუსთველოლოგიის, ქართული კულტურის ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, თეოლოგიის, ამერიკული პოეზიის ისტორიის საკითხებზე. გამოცემულია მისი ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, აგრეთვე, შექსპირის, ბოდლერის, გოგოლისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები.

1978 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში.

1990 წლის 28 ოქტომბერს პირველ დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიას ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ და ზვიად გამსახურდია აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ.

1991 წლის მარტში უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად, რაც დადასტურებულ იქნა იმავე წლის 26 მაისის საყოველთაო-სახალხო არჩევნებში მისი გამარჯვებით.

1991 წლის დეკემბერში ოპოზიციამ სამხედრო ძალებით იერიში მიიტანა საქართველოს პარლამენტის შენობაზე, 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ და მისი მთავრობის წევრებმა შენობიდან გააღწიეს და გაიქცნენ აზერბაიჯანში, იქიდან კი ჩეჩნეთში გადავიდნენ, მათ ჯოხარ დუდაევის მთავრობამ თავშესაფარი მისცა.

1993 წლის ოქტომბრის დამლევს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი გარემოცვის წევრები, რომლებიც საქართველოში დაბრუნდნენ, იძულებული შეიქნენ, თავი სამეგრელოს მთიანი ნაწილისთვის შეეფარებინათ. 1993 წლის 31 დეკემბერს ზვიად გამსახურდია ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში დაიღუპა, გარემოებები უცნობია (2004 წლიდან მიმდინარეობს გამოძიება).



*** 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ.**

მოსახლეობას უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე: ხართ თუ არა თანახმა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 აქტის საფუძველზე?

რეფერენდუმში მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაც — სულ 3 302 572 ადამიანი (ამომრჩეველთა 90,3%). რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9%-მა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. შედეგად, იმავე წლის 9 აპრილს, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი.

*** 1809 წლის 1 აპრილს უკრაინაში, პოლტავის გუბერნიის სოფელ სოროჩინციში დაიბადა რუსი პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი ნიკოლაი გოგოლი (იანოვსკი, 1821 წლიდან — გოგოლ-იანოვსკი).**

მისი ნაწარმოებებია: „მკვდარი სულები“, „რევიზორი“, „ქორწინება“, „ტარას ბულბა“, „ცხვირი“, „შინელი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1852 წლის 4 მარტს.






*** 1967 წლის 1 აპრილს გაიმართა პრემიერა პოპულარული კინოკომედიისა „კავკასიის ტყვე ქალი, ანუ შურიკის ახალი თავგადასავალი“.**

ფილმის რეჟისორია: ლეონიდ გაიდაი. მსახიობები: ალექსანდრე დემიანენკო (შურიკი); ნატალია ვარლეი (ნინა); გიორგი ვიცინი (მშიშარა); იური ნიკულინი („გონებაჩლუნგი“); ევგენი მორგუნოვი („გამოცდილი“); ფრუნზიკ მკრტჩიანი (ჯაბრაილი, ნინას ბიძა) და ვლადიმერ ეტუში (ამხანაგი საახოვი).

*** 1932 წლის 4 აპრილს სოფელ ზავრაჟიეში (კოსტრომის ოლქი, რუსეთი) დაიბადა გამოჩენილი რეჟისორი და სცენარისტი, 1980 წლიდან დასავლეთ ევროპაში მოღვაწე ანდრეი ტარკოვსკი, რომლის შემოქმედებამაც დიდი გავლენა იქონია უცხოეთის კინემატოგრაფზე.**

გადაიღო ფილმები: „ანდრეი რუბლიოვი“, „ათასიდან ერთი შანსი“, „სოლიარისი“, „სარკე“, „სტალკერი“, „მსხვერპლშეწირვა“ და სხვ.



გარდაიცვალა 1986 წლის 29 დეკემბერს.

სასიკეთო პერიოდია საკუთარ თავში ჩაღრმავებასა და სულიერ განვითარებაზე დასაფიქრებლად. წარმატებას მიაღწევენ ვერძისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულები.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**30 მარ. – 5 აპრ.**
**ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

რაც უფრო სწრაფად დაისახავთ მიზნებს, მით სწრაფად შეძლებთ მათ მიღწევას. იაქტიურეთ, გაბედულად იმოქმედეთ და წარმატება არ დააყოვნებს. შესაძლოა, შემოგთავაზონ ახალი სამსახური, მაგრამ არ იჩქაროთ, რადგან არ არის გამორიცხული, დაპირებული ანაზღაურება ვერ მიიღოთ და ძველ სამსახურში დაბრუნების შანსიც დაკარგოთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ ემოციების ამოფრქვევისგან და შეეცადეთ, მისი მოთხოვნები მაქსიმალურად შეასრულოთ. თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურად უფრო დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 30 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 1 აპრილი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

სხვადასხვა გარემოების გამო გაგიჭირდებათ ისეთი შედეგის მიღწევა, როგორიც ჩაფიქრებული გქონდათ. თავი აარიდეთ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან კონფლიქტს, რადგან, თუ თავს არ შეიკავებთ, ძალიან დაზარალდებით.

საყვარელი ადამიანის მიმართ ეჭვიანობა კონფლიქტს გამოიწვევს, რომელიც, შესაძლოა, გაყრით დასრულდეს.

შესაძლოა, შეგექმნათ საკვების მომნელებელი სისტემის პრობლემები, ამიტომ გააკონტროლეთ კვების პროდუქტების ხარისხი.

**დადებითი დღე: 5 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 3 აპრილი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო თავისუფალი დრო თითქმის არ დაგრჩებათ, მაგრამ თქვენი აქტიურობა და მუხლჩაუხრელი შრომა ნაყოფს გამოიღებს — შეძლებთ ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

ყურადღებით გააანალიზეთ ინფორმაცია, რომელსაც 3 ან 4 აპრილს მიიღებთ, რადგან ამ ინფორმაციაზე დიდად იქნება დამოკიდებული თქვენი კარიერა.

გადაწყვეტილებები ინტუიციის კარნახით მიიღეთ. სჯობს, ეს პერიოდი ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ. განსაკუთრებით იზრუნეთ ოჯახის უმცროს წევრებზე.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 31 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 2 აპრილი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

მოსალოდნელია ცვლილებები როგორც პროფესიულ სფეროში, ისე პირად ცხოვრებაში. რთული სიტუაციებიდან გამოსავლის პოვნაში შეუპოვარი და მიზანმიმართული მოქმედება დაგეხმარებათ.

გაითვალისწინეთ, რომ მიზანს მხოლოდ კოლექტიური მოქმედებით მიაღწევთ და კოლეგებთან დაპირისპირება კარგს არაფერს მოგიტანთ.

არ არის გამორიცხული კონფლიქტი საყვარელ ადამიანთან, მიუხედავად ამისა, რომ აქამდე თითქმის იდეალური ურთიერთობა გქონდათ. კონფლიქტის მიზეზი კი თქვენი აგრესიულობა და საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა იქნება.

დიდია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 5 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 30 მარტი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

სახელმძღვანელო თანამდებობაზე მყოფი ლომები, თუ მეტისმეტ მოთხოვნებს წაუყენებენ ხელქვეითებს, კონფლიქტი გარდაუვალი იქნება და ეს კონფლიქტი ლომების სასარგებლოდ არ დასრულდება. რეპუტაცია რომ არ შეგელახოთ, მოქნილობა გმართებთ ურთიერთობებში.

მარტოხელა ლომებს მიეცემათ მათთვის საინტერესო საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან რომანტიკული ურთიერთობის გაბმის შანსი, რომლის გამოყენებასაც აუცილებლად უნდა შეეცადონ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, უფრო მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 3 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 1 აპრილი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

აზარტულ თამაშებსა და სარისკო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობა ძალიან დაგაზარალებთ. გაუფრთხილდით ფინანსებს და თავი შეიკავეთ საეჭვო კომერციულ გარიგებებში ჩართვისგან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ უარს იტყვით, პირველ რიგში, საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე და მეტს იფიქრებთ ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მაღალი არტერიული წნევა აწუხებს.

**დადებითი დღე: 3 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 31 მარტი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

აუცილებლად შეამოწმეთ ინფორმაცია, რომელსაც ამ პერიოდში მიიღებთ ახალი კომერციული გარიგების თაობაზე, რადგან არ არის გამორიცხული, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

შესაძლოა, თავიდან ვერ აირიდოთ კონფლიქტი ოჯახში, ამის მიზეზი კი თქვენს ნათესავთან მეუღლის დაპირისპირება იქნება.

ერთადერთი, რის გამოც შეიძლება დისკომფორტი შეგექმნათ, არის საკვების მომნელებელი სისტემა, ამიტომ რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი და ცხარე საკვები, აგრეთვე, თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს.

**დადებითი დღე: 31 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 4 აპრილი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

მოგიწევთ ძველი პრობლემების დაუყოვნებლივ მოგვარება, რადგან ახალი პროექტების დაწყება სხვაგვარად არ გამოგივათ.

კოლეგებისა და ახლობლების მიმართ პრეტენზიების წაყენება, რომლებიც თქვენი ეგოისტური პრინციპებით იქნება განპირობებული, მწვავე კონფლიქტისა და რეპუტაციის შელახვის მეტს არაფერს მოგიტანთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას შეეცადეთ, მისი თვალსაზრისიც გაითვალისწინოთ და უსიამოვნო საუბარს თავი აარიდოთ. გახსოვდეთ, რომ ყველას თავისი სიმართლე აქვს.

თუ ჯანმრთელობის რაღაც პრობლემის გამო გამუდმებით იფიქრებთ, რომ მძიმე დაავადება გჭირთ, არ არის გამორიცხული, დეპრესია დაგეწყოთ.

**დადებითი დღე: 2 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 30 მარტი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

მოსალოდნელია ცვლილებები პროფესიულ სფეროში, მაგრამ წარმატების მისაღწევად კოლეგებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნება აუცილებელია.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება თქვენს მოხერხებულობაზე იქნება დამოკიდებული.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ და ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები, რადგან არ არის გამორიცხული გაუთვალისწინებელი დანახარჯები, რომლებიც ბავშვების პრობლემების მოგვარებას დასჭირდება.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

შესაძლოა, შეგექმნათ სისხლის მიმოქცევის პრობლემა.

**დადებითი დღე: 3 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 30 აპრილი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

რაც უფრო თვინიერად მოიქცევით ხელმძღვანელობასთან, მით სწრაფად შეძლებთ დასახული მიზნების მიღწევას. ამასთანავე, ოჯახში შეიძლება შეგექმნათ პრობლემები, რომელთა სასწრაფოდ მოგვარებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება. ამ ყველაფრის გამო აქეთ-იქით მოგიწევთ სირბილი სამსახურსა და ოჯახს შორის, მაგრამ რამდენიმე დღეში პროცესები თქვენს სასარგებლოდ წარიმართება.

თქვენი საქციელის გამო საყვარელმა ადამიანმა შეიძლება ისეთი უკმაყოფილება გამოხატოს, რომ ურთიერთობის გაწყვეტაზეც კი დაფიქრდეთ, მაგრამ, თუ ის ნამდვილად გიყვართ, ყველაფერი გააკეთეთ ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

იმ თხის რქებმა, რომლებსაც რევმატიზმი ან ართრიტი აწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს.

**დადებითი დღე: 1 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 30 მარტი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

მოგიწევთ ძველი კავშირების აღდგენა-განახლება, აგრეთვე, ადრე დაწყებული პროექტების დასრულება.

ყურადღებით გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, რადგან ამ ინფორმაციაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული თქვენი კარიერა.

შესაძლოა, გაგიჩნდეთ შემოსავლის დამატებითი წყარო.

მარტოხელა მერწყულებს მიეცემათ მეორე ნახევრის პოვნის შანსი. მათზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას დატოვებს რამდენიმე წლით უფროსი ადამიანი.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი, თავი აარიდეთ მოგზაურობას, დიდია ავარიის ალბათობა.

**დადებითი დღე: 2 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 31 მარტი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

კრიზისული პერიოდია. მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, რომ ბევრი გეგმა განუხორციელებელი მოგეჩვენოთ. ვითარება ობიექტურად შეაფასეთ და მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე იმოქმედეთ. შესაძლოა, შეგექმნათ მცირე ფინანსური პრობლემა, რომელსაც იოლად გაუმკლავდებით.

მოსალოდნელია უთანხმოება ნათესავებთან, მიზეზი კი უძრავი ქონება იქნება.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს. დაეხმარეთ მათ პრობლემის მოგვარებაში.

შესაძლოა, შეგექმნათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემა. აუცილებლად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 2 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 30 მარტი.**

# რატომ განაცხადა ობამამ უარი ერდოღანთან შეხვედრაზე

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უარი თქვა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანთან პირად შეხვედრაზე. აშშ-ის სახელმწიფო მეთაურის პრესსამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, ორი ქვეყნის ლიდერის შეხვედრის საჭიროება არ არის.**



„ერდოღანის ვაშინგტონში ვიზიტისას მასთან შეხვედრაზე უარის თქმა უპატივცემულობად არავინ უნდა აღიქვას, რადგან პრეზიდენტები გასული წლის ნოემბერში თურქეთში გამართულ G20-ის სამიტზე უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, თებერვალში კი ტელეფონით ისაუბრეს", — თეთრი სახლის ეს განცხადება „უოლ სტრიტ ჯორნალმა" გამოაქვეყნა.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ შეხვედრას, რომელსაც ერდოღანი მოითხოვდა, დაუფარავად უწოდეს „არასაჭირო", კიდევ უფრო საყურადღებოა სიტყვები **„უპატივცემულობად არავინ უნდა აღიქვას".**

ექსპერტთა აზრით, ამ დიპლომატიური ნაბიჯით თეთრი სახლი აჩვენებს, რომ ახლა მისთვის ასეთი კონტაქტები არასასურველია და მისი გადასაწყვეტია, შეხვდება თუ არა ერდოღანს.

იმის შესახებ, რომ ობამა იმედგაცრუებულია აშშ-ის ახლო აღმოსავლელი მოკავშირეების მოქმედებით, არაერთხელ ითქვა, მაგრამ თურქეთის პრეზიდენტისგან დისტანცირების უკან შეიძლება უფრო სერიოზული მიზეზი არსებობდეს. მაგალითად, სკანდალი, რომელშიც გარეული არიან თურქეთის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები. საუბარია აშშ-ში თურქი ბიზნესმენის — **რეზა ზარაბის** დაკავებაზე. მას ადანაშაულებენ ფინანსურ მაქინაციებში, რომლებმაც ირანს საშუალება მისცა, ამერიკული სანქციებისთვის გვერდი აევლო. ეს სქემები მუშაობდა თურქების საფინანსო კომპანიების გავლით და, რადგან ოპერაციების მასშტაბი მილიარდობით დოლარს აღწევდა, მათი განხორციელება თურქეთის ხელისუფლების აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო. კორუფციულ სქემებში თურქეთის პრეზიდენტის მონაწილეობა კი მიუთითებს იმაზე, რომ „ვიღაცას" მისი მოშორება სურს.

# გარდაიცვალა ნანა მჭედლიძე

**90 წლისა გარდაიცვალა ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ნანა მჭედლიძე.**



ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ნანა მჭედლიძე 1926 წელს ხონში დაიბადა. თბილისის შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა იმავე ინსტიტუტში განაგრძო რეჟისურის განხრით, რომელიც 1957 წელს დაასრულა.

ნანა მჭედლიძის პირველი რეჟისორული ნამუშევარი იყო კინონოველა სახელწოდებით „ჩქარი მატარებელი", რომელიც მან სადიპლომო ნამუშევრად წარადგინა. 1950-54 წლებში მუშაობდა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

ნანა მჭედლიძის გადაღებულია ფილმები: „პირველი მერცხალი"; „იმერული ესკიზები"; „დიდედები და შვილიშვილები"; „დანაშაული მოხდა", „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება" და სხვ.

ნანა მჭედლიძემ რამდენიმე ქართულ ფილმში დაუვიწყარი კინოროლები შექმნა.

# ვანდალიზმი მცხეთაში — ჯვრის მონასტერზე თურქული, არაბული და ლათინური წარწერები გაჩნდა!



**მოქალაქე ნინო ანდრიასოვამ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მცხეთაში, ჯვრის მონასტერზე ვანდალიზმის ფაქტები ნახა – წარწერები თურქულ, არაბულ და ლათინურ ენებზე. იქვე არის მის მიერ გადაღებული ფოტომასალაც:**

„დღეს ვიყავი სტუმრებთან ერთად ჯვარზე და რა ვნახე... — ჯვრის მონასტრის კედლებზე წარწერები თურქულად, არაბულად და, როგორც ხედავთ, ლათინურად. როგორ შეიძლება ასე?"

ეს არის ძალიან მძიმე დანაშაული, რომელიც კონკრეტული კულტურულ-რელიგიური ძეგლის შეურაცხყოფას სცდება და შესაბამისმა სამსახურებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ამის ჩამდენები კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ, აგრეთვე, შეიმუშავონ მექანიზმი, რათა მომავალში აღარ განმეორდეს მსგავსი რამ საქართველოს ტერიტორიაზე.



# თამაზ მეჭიაური არასამთავრობოებზე: ბოლოს იმდენი დარჩებიან, რომ პლაკატების დამჭერიც არ ეყოლებათ

**დეპუტატები თამაზ მეჭიაური იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს გამოეხმაურა, რომლებიც სამართალდამცველებს მოუწოდებენ, თამაზ მეჭიაურისა და დავით ლორთქიფანიძის განცხადებებით დაინტერესდნენ.**

„მე ღიად ვთქვი ყველაფერი და პროკურატურა იქნება თუ ნებისმიერი სამართალდამცავი, შეუძლია ეს გამოიყენოს ჩვენებად, თუ სურვილი ექნებათ. დამატებით იმავეს გავიმეორებ, რაც ვთქვი. მე არ მაქვს ისეთი სუსტი ნერვები, ზოგიერთს რომ აშანტაჟებენ უცხოური ფულით დაფინანსებული არასამთავრობოები და ენის მოჩლექით რომ ალაპარაკებენ. ბოლოს ეგენი იმდენი დარჩებიან, რომ პლაკატის დამჭერიც არ ეყოლებათ. თანდათან პლაკატებს აპატარავებენ იმიტომ, რომ დამჭერები აღარ ჰყავთ", — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

# ვენესუელაში «იუდა-ობამას» ფიტული დაწვეს

**27 მარტს ვენესუელაში აღნიშნეს კათოლიკური აღდგომის დღესასწაული, რომლის დროსაც ტრადიციულად წვავენ „იუდებს". წელს ვენესუელელებმა ბარაკ ობამას ფიტული დაწვეს.**




აღდგომას ვენესუელაში ატარებენ „იუდების დაწვის" რიტუალს — ცეცხლს უკიდებენ ფიტულებს იმ პოლიტიკოსებისა, რომლებმაც მოქალაქეებს იმედი გაუცრუეს.

ამჯერად ამ რიტუალის მთავარი პერსონაჟები იყვნენ ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო და მისი ოპონენტი, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა.

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894